პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ძამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ. ფეების და მასწავლებლებისათვის 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია ძამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 20 იანვარი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 16 (2362)

დღიური

- ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს მიმართვა.
- სამხრეთ-სლავიაში დაშალეს გერმანელთა ორგანიზაციები.
- კომპარტიის გამარჯვება ინგლისში.
- მღელვარება სირიაში.—ფრანგები ამაგრებენ [illegible]
- პროფკავშირების მონაწილეობა იმპერიალიზმთან ბრძოლაში.
- დააპატიმრეს კოლუმბიის კომუნისტების ბელადი კასტრილიონი.
- მიწისძვრა ვენეცუელაში.—მოკლულია მრავალი.

1929 წლის 23 იანვარს, სალ. სრულ 6 საათ., სასახლის წითელ დარბაზში
დანიშნულია
ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის
მე-4 მორიგი პლენუმი
დღის წესრიგი:
1) მოხსენება თვითკრიტიკის მსვლელობის შესახებ.
2) მოხსენება ც. ს. კ. და მ/გ. ინსპ.-ის 1928/29 წ. სამუშაო გეგმის შესახებ.
3) მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების კანდიდატთა რიგების გადასინჯვის შედეგების შესახებ.
4) მოხსენება ს. კ. პ. (ბ) სოფლის უჯრედების გაწმენდის შესახებ
5) მიმდინარე საკითხები.
ს. კ. პ. (ბ) ც. ს. კომისიის თავმჯდომარე: **ივანოვ-კავკასიელი.**

ინდუსტრიალიზაცია და შავი ლითონი

სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ძირითად ღერძს წარმოადგენს შავი მეტალურგია. მძლავრი მძიმე მრეწველობის შექმნის საქმეში დასახული ამოცანების განხორციელება, მსუბუქი ინდუსტრიის უზრუნველყოფა მანქანებით, მრეწველობის ხელმძღვანელი როლის განხორციელება სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, ტრანსპორტის გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება,— ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ შავი მეტალურგიის განვითარების ისეთი ტემპის საფუძველზე, რომელიც არ უნდა ჩამორჩებოდეს მეურნეობის სხვა სექტორების განვითარების გათვალისწინებულ ტემპს. შავი ლითონის პრობლემას, რომელსაც დღემდე უმნიშვნელო ადგილი ეჭირა ჩვენს ეკონომიკაში, მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ეხლანდელ ეტაპზე განსაკუთრებით დიდი და პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა. ეს პრობლემა სრულებითაც არ ამოიწურება იმით, რომ მახლობელი პერიოდის განმავლობაში დაიფაროს ლითონის დეფიციტი. მეტალურგიის საწარმოო სიმძლავრე წარმოადგენს მეურნეობის შემდგომი განვითარების პირობას, ინდუსტრიალიზაციის ნამდვილ საფუძველს, ხოლო ინდუსტრიალიზაცია განსაზღვრავს ჩვენ სამეურნეო წინსვლის ტემპს.

შავი ლითონის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად ჩვენ დღემდე ვერ დავძლიეთ მისი დეფიციტი, ამასთან სრულიად ვერ ვაკმაყოფილებთ მოთხოვნილებას შავ ლითონზე პირველი ხუთი წლის პერსპექტივაშიაც კი. შავი მეტალურგიის ჩამორჩენა მეურნეობის განვითარების საერთო დონიდან გვიანდელია ომის წინა დროიდან, როდესაც ამ ლითონის მოთხოვნილების დასაფარავად უცხოეთიდან შემოჰქონდათ დაახლოვებით 60 მილიონი ომის წინა დროინდელი მანეთის ლითონი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში შავმა მეტალურგიამ, მოქმედი წამოწყებების აღდგენის საკმაოდ მნიშვნელოვან ტემპის მიუხედავად, ვერ შესძლო ომის წინადროინდელ დონემდე აეყვანა პროდუქციის გამოშვება, ვინაიდან მრავალი წინად მომუშავე წამოწყება სრულებით შეჩერდა. მხოლოდ მიმდინარე 1928—29 წელს, როდესაც საწარმოო პროგრამა მაქსიმალურად დაძაბულია, როდესაც პროგრამა დამატებით გადიდდა, რამდენადაც ამის საშუალებას ტეხნიკური შესაძლებლობანი იძლეოდნენ, ნატკეცი პროდუქციის გამოშვება აყვანილია ომის წინა დროინდელ დონემდე, ხოლო თუჯის—ომის წინადროინდელი დონის 97 პროცენტამდე. ამავე დროს სახალხო მეურნეობამ, ხოლო პირველ რიგში მრეწველობამ, რომელმაც შორს გაუსწრო ომის წინადროინდელ დონეს, თანდათან უფრო დიდი მოთხოვნილება წამოაყენა ლითონზე. ეს მოთხოვნილება წარმოადგენს სწრაფი ინდუსტრიალიზაციის გზაზე შემდგარი მეურნეობის სავსებით ბუნებრივ და საღ გამოხატულებას. ლითონის მომხმარებელია სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგი. ლითონს მოითხოვენ აგრეთვე შინამრეწველობა და ფართო ბაზარი.

ჩვენ არ შეგვიძლია დავადგეთ მოთხოვნილების ხელოვნურად შეკვეცის გზას ან უმცირესი წინააღმდეგობის გზას—მთელი დახაკლისი ლითონის უცხოეთიდან შემოტანას. პირველი თავის თავად ცხადია. იმპორტის პრობლემას კი აფერხებს არა მარტო საგარეო ვაჭრობის ბალანსი, არამედ თვით ეს პრობლემა ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ ეკონომიური დამოუკიდებლობისაკენ აღებულ კურსს. აუცილებელი საჭიროების გამო ჩვენ შეიძლება რამდენადმე მივმართოთ იმპორტს. მაგრამ ძირითად გეზს, გადამწყვეტ ფაქტორს ყველა საპერსპექტივო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის წარმოადგენს მედგარი მუშაობა საკუთარი მეტალურგიული ბაზისის შესაქმნელად. ამ საქმისათვის უნდა გადაიდოს შესაძლებელ სახსართა მაქსიმუმი.

ეს გეზი გამოხატულებას პოულობს მრეწველობის უკანასკნელ ხუთწლიან გეგმაში, რომლითაც კაპიტალური მშენებლობისათვის შავი ლითონის დარგში გათვალისწინებულია 2 მილიარდ მანეთზე მეტი. ეს თანხა უდიდესია მრეწველობის ყველა დანარჩენ დარგში გათვალისწინებულ ხარჯებთან შედარებით. ამ თანხებიდან 700 მილ. მანეთი გადადებულია მთელი რიგი უდიდესი ქარხნების—ქერჩის, მაგნიტოგორსკის, კრივოროჟის, ტელბესის, ლიპეცკის და სხვა ქარხნების და მრავალი სხვა უფრო წვრილი ქარხნის ასაგებად. საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია, რომ თუჯის გამოდნობა მიმდინარე წლის განმავლობაში აყვანილ იქნას 4 მილიონ ტონამდე, ხოლო 1932—33 წელს—10 მილიონ ტონამდე. შავი ლითონის მთელი მრეწველობის ახალი მშენებლობისა და ტეხნიკური რეკონსტრუქციის ეს უდიდესი გეგმა წარმოადგენს საიმედო საწინდარს იმისათვის, რომ სოციალისტური მშენებლობა ნამდვილად გადაყვანილ იქნას უმაღლეს საფეხურზე. იგი წარმოადგენს იმას წინასწარ პირობას, რომ ნამდვილად განხორციელდეს ამოცანა—„დავეწიოთ და გავუსწროთ" კაპიტალისტური ქვეყნების ტეხნიკას დონეს.

პარტიის და მთელი მუშათა კლასის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — დაუცხრომლად შეუწყონ ხელი და ყურადღებით მოეპყრან ამ ცენტრალურ პრობლემას—მრეწველობის განვითარების პერსპექტივას.

მაგრამ შავი მეტალურგიის ასეთი განვითარებაც კი, რომელიც ხუთი წლის დამლევს გასამმაგებულ პროდუქციის ითვალისწინებს, მოთხოვნილების სწრაფი ზრდის გამო, მთლიანად ვერ ფარავს დეფიციტს. ალბად, საჭირო გახდება ეხლანდელი ფართო გეგმების გადიდება დამატებით კაპიტალური ხარჯებით.

შავი ლითონის ბალანსის დაცვას უდიდესი სიძნელენი ელობებიან მახლობელ წლებში. მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოო პროგრამებით მიმდინარე 1928—29 წელს გათვალისწინებული მოთხოვნილებანი, აგრეთვე ფართო ბაზრის დიდი მოთხოვნილება ლითონზე, ხელს უწყობს ბალანსის დაძაბვას შავი ლითონის თითქმის ყველა დარგში, ეს დაძაბვა წარსულ წელთან შედარებით კიდევაც გაძლიერდა.

ჩვენ უპირველესი ამოცანას წარმოადგენს მიმდინარე წლის გადაუდებელ მოთხოვნილებათა ყოველმხრივ უზრუნველყოფა, მშენებლობის დასახული გეგმის შესრულება ლითონის დეფიციტის პირობებში. რა თქმა უნდა, ეს ამოცანა არ გადაიჭრება მეტალურგიის აღდგენის ხანგრძლივი გეგმებით. ეხლა ჩვენ მოვალენი ვართ მივიღოთ ის კონკრეტული ღონისძიებანი, რომელნიც საშუალებას მოგვცემენ უმტკივნეულოდ გამოვიდეთ დეფიციტის მდგომარეობიდან ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ ჩვენი მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ძირითად დარგებს.

უდავოა, რომ მრეწველობა მრავალ ღონისძიებას მიმართავს შექმნილ სიძნელეთა დასაძლევად. ნოემბერში დამტკიცებულ იქნა თუჯის გაფართოებული გამოშვების დამატებითი გეგმა, 270 ათასი ტონის რაოდენობით. მრეწველობის ყველა დარგის მოთხოვნილება შავ ლითონზე საფუძვლიანად შემოწმებულ და შემოკლებულ იქნა და სამეურნეო მუშაკებმა მოაწყეს ლითონის ნამტვრევების შეგროვების ფართო კამპანია. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ ვერ ფარავს იმ მრავალ ნაკლს, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ლითონის დეფიციტის გამო. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მაშინ, როდესაც მოთხოვნილება სრულიად ვერ იფარება, ჩვენ მოვალენი ვართ უდიდესი ყურადღებით შევამოწმოთ ყველა მომხმარებელი და განვახორციელოთ მაქსიმალური ეკონომია ლითონის ხარჯვაში. კერძოდ, მკვდარი წერტილიდან უნდა დაიძრას სავსებით მართებულად აღძრული საკითხი სახურავი რკინის შეცვლის შესახებ. გამოყენებულ უნდა იქნას საშენებელი მასალის ყველა სახე, რომელსაც კი შეუძლია შესცვალოს ლითონი კაპიტალურ მშენებლობაში. შავი ლითონის მოხმარება ლითონ-ტრესტებში მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი.

სასტიკი გეგმიანობა უნდა დავიცვათ ლითონის განაწილებაში, რათა პირველ რიგში უზრუნველვყოთ მეურნეობის ძირითადი დარგების მოთხოვნილებანი, განსაკუთრებით, მრეწველობის, მშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათ-მშენებლობისა და ტრანსპორტის მოთხოვნილებანი, და არ დავუშვათ საწარმოო პროგრამების შეუსრულებლობა. ენერგიულად უნდა გავაძლიეროთ ლითონის შეგროვების კამპანია და ყურადღებით უნდა შევამოწმოთ, ხომ არავის აქვს რეზერვები და ზედმეტი მარაგი, ყველა აბარებს თუ არა ლითონის ნამტვრევებს. მრეწველობა მოვალეა უდიდესი ყურადღება მიაქციოს იმას, რომ შავი მეტალურგიის მიღებული საწარმოო პროგრამა 100 პროცენტით შესრულდეს. ამავე დროს ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს დაწუნებული საწარმოების მაღალი პროცენტის დატოვება საწარმოთა უმრავლესობაში.

სავსებით აშკარაა, რომ მიმდინარე წელს გაჭირვებული მდგომარეობის გადალახვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაქსიმალურად მოწესრიგდება შავი ლითონის წარმოებისა, განაწილებისა და მოხმარების მთელი საქმე. ამ ამოცანის შესრულება მარტო სამეურნეო მუშაკებს როდი უნდა დაეკისროს. ამ საქმეში გამოყენებულ უნდა იქნას მუშათა კლასის საუკეთესო კადრების ენერგია და ძალღონე. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას უდიდეს ყურადღებას მიაქცევენ და კონტროლს გაუწევენ მუშები და მათი კლასობრივი ორგანიზაციები.

„პრავდა", 19 იანვარი.

საფრანგეთის მემაღაროეთა გაფიცვა ფართოვდება

შეტაკება გაფიცულებსა და ჟანდარმერიას შორის.—რეფორმისტების „გონიერი" ტაქტიკა

იაპონია ემზადება ჩინეთზე გასალაშქრებლად

მემაღაროეთა გაფიცვა საფრანგეთში

შეტაკება ჟანდარმებსა და მუშებს შორის

ბურჟუაზია კმაყოფილია რეფორმისტებით

პარიზი, 18 იანვარი. გარის და ავეირონის რაიონებში გახშირდა შეტაკებები გაფიცულ მემაღაროებსა და ჟანდარმერიას შორის. **სერიოზული შეტაკება მოხდა ტრაკლეში**, სადაც გაფიცულთა ჯგუფი შეეცადა განეთავისუფლებია ჟანდარმების მიერ დაპატიმრებული ამხანაგი. **ჟანდარმებთან შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა 5 და მსუბუქად 10 მემაღარო.** სამი მუშა დაპატიმრებულია.

მიუხედავად იმისა, რომ მაღაროების პატრონები რეფორმისტებთან ერთად ყოველგვარ ზომებს ღებულობენ გაფიცვის ჩასაქრობად, **გაფიცულთა რიცხვი ავეირონის ბასეინში თანდათან იზრდება.** გაფიცვის წინააღმდეგ ბრძოლაში მაღაროების პატრონები ცდილობენ გავლენა მოახდინონ უცხოელ მუშებზე, რომელთაც ემუქრებიან გადასახლებით.

ლუარის რაიონში მემაღაროეთა გაფიცვა დამთავრდა. გაფიცულებიდან მაღაროების პატრონებმა დაითხოვეს 150 მემაღარო. 7 მემაღაროე მიცემულია პასუხისგებაში „შრომის თავისუფლების" დარღვევისათვის, ე. ი. იმისთვის, რომ ისინი იბრძოდნენ შტრეიკბრეხერობის წინააღმდეგ.

სამრეწველო წრეების ორგანო „ჟურნე ინდუსტრიალ" ჯამს უკეთებს მემაღაროების გაფიცვას ლუარის ბასეინში და სწერს, რომ **ამ რაიონში გაფიცვის ჩაშლის მთავარი მიზეზია „რეფორმისტების გონიერი ტაქტიკა.** რეფორმისტებს ესმოდათ, რომ **გაფიცვა, პირველ ყოვლისა, ძირს უთხრის მათ გავლენას მემაღაროეთა მასებზე".** (ადს).

საარის ოლქის მამაღაროების ბრძოლა

ბერლინი, 18 იანვარი. ფრანგული ადმინისტრაციის მიერ ახალი ტარიფის შემოღების საპასუხოდ, საარის ოლქის მემაღაროებმა გადასწყვიტეს ნახშირის ამოღება განსაზღვრონ ისეთი რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ხელფასის მინიმუმს. ეს გადაწყვეტილება ტარდება ყველა მაღაროში, რის გამო **ქვა-ნახშირის ამოღება საარის ოლქში 40 პროცენტით შემცირდა.** (ადს).

რუმინეთი საბჭ. წინადადებების შესახებ

მირონესკუს „ფილოსოფია"

ვენა, 17 იანვარი. რუმინეთის გაზეთების ცნობით, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მირონესკუმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ვარშავაში გამგზავრება მან გადასდო თებერვლამდის, მაშინ მირონესკუ გაემგზავრება აგრეთვე პრაღაშიაც.

ასეთ განცხადებას პოლიტიკურ წრეებში სთვლიან იმის დამამტკიცებლად, რომ **რუმინეთი პოლონეთთან შეთანხმებით და ინგლისის და საფრანგეთის რჩევით ჯერ-ჯერობით უარს ამბობს ოფიციალურად გამოსთქვას თავისი აზრი საბჭოთა წინადადების შესახებ.**

„ადევერულ"-ის ცნობით, სამშაბათს მირონესკუს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა ინგლისის ელჩთან რუმინეთის დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა წინადადებებისადმი. მირონესკუ „დიმინეაცა"-ში ეხება პარლამენტში გაკეთებულ განცხადებებს და სწერს:

„საბჭოთა კავშირის შეხედულება კელოგის პაქტზე ეწინააღმდეგება საბჭოთა წინადადებას ოქმზე ხელისმოწერის შესახებ რუმინეთთან ერთად, იმ დროს, როცა საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი ბესარაბიის საკითხში უცვლელი რჩება. რადგან საბჭოთა მთავრობის შეხედულებით ბესარაბია არის რუმინეთის ჯარების მიერ დაპყრობილი საბჭოთა ტერიტორია, გამოდის, რომ საბჭოთა კავშირმა ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ უნდა დასდოს ისეთ ქვეყანასთან, რომელიც მასთან საომარ განწყობილებაშია, ამიტომ თუ რუმინეთი შეუერთდა საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილ ოქმს, ის, საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნულ შეხედულების გამო მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება, როცა კელოგის პაქტი ძალაში შევა, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საბჭოთა შენიშვნები უარჰყო ბევრმა სახელმწიფომ, ხოლო რუმინეთმა წინდაწინვე იცნო ისინი". (ადს).

ვენა, 18 იანვარი. ბუქარესტიდან გადმოცემული ცნობით, წინააღმდეგ წინანდელი კომენტარიებისა საგარეო საქმეთა მინისტრის მირონესკუს სიტყვის შემდეგ, მთელი რუმინეთის პრესა, როგორც ეტყობა ოფიციოზური ინსტრუქციის ზეგავლენით, საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ ილაშქრებს. ამავე დროს პრესა მიესალმება ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების სენატის მიერ კელოგის პაქტის რატიფიკაციას და გამოსთქვამს იმედს, რომ კელოგის პაქტი მალე შევა ძალაში. ამასთან დაკავშირებით, პრესის აზრით, საბჭოთა წინადადება ზედმეტია (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს მიმართვა

პრაღა, 17 იანვარი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკას პოლიტბიურომ გამოაქვეყნა მიმართვა, რომელიც ეხება კომინტერნის აღმასკომის წერილს გერმანიის კომპარტიისადმი—მემარჯვენე საფრთხის შესახებ. პოლიტბიურო სავსებით ეთანხმება წერილს და აღნიშნავს, რომ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიისათვის, ვინაიდან ბრანდლერის და ტალგეიმერის ლიკვიდატორულ პროგრამას ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიაში აშკარა და ფარული მომხრეები ჰყავს.

პოლიტბიურო გმობს შემარიგებლების როლს გერმანიის კომპარტიაში, რომელნიც აცხადებენ, რომ სცნობენ მეექვსე კონგრესის გადაწყვეტილებებს და ამავე დროს მხარს უჭერენ მემარჯვენე ლიკვიდატორთა ბრძოლას ამ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ. პოლიტბიურო აცხადებს, რომ მემარჯვენე საფრთხე ყველაზე უფრო საშიშია კომპარტიებისათვის და მოუწოდებს პარტიის წევრებს აწარმოონ შეურიგებელი ბრძოლა მის წინააღმდეგ. (ადს).

ჩინეთის ამბები

იაპონია ჩინეთზე თავდასასხმელად ემზადება

ტოკიო, 18 იანვარი. გაზეთ „ტოკიო ასახი"-ს ცნობით, იაპონიის სამხედრო ხელისუფლება ამზადებს საჭირო ზომებს ხანკოუში იაპონელ მოქალაქეთა დასაცავად. რადგან იაპონიის მთავრობის პროტესტს ხანკოუში იაპონური მოძრაობის წინააღმდეგ არავითარი შედეგი არ მოჰყვა (ადს).

პეკინი, 17 იანვ. რეიტერის სააგენტოს ადგილობრივმა განყოფილებამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩინეთის პრესამ ჩინეთსა და სახელმწიფოებს შორის დადებულ ხელშეკრულების გამოქვეყნების დროს გამოტოვა სხვადასხვა შენიშვნები და დამატებები, რის გამო ხელშეკრულების შინაარსი დამახინჯებულია. სააგენტო ფიქრობს, რომ ამის შესახებ პრესამ განკარგულება მიიღო ნანკინის მთავრობისაგან, რომელიც, ამგვარად, ცდილობს თავისი პრესტიჟის ამაღლებას.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამოცანები

(საკავშირო საბჭოს სესიის შედეგებისათვის)

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების მთელი მსვლელობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემა ხელმძღვანელ პარტიული, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ამიერ-კავკასიის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გეგმაშეწონილი განვითარება წარმოადგენს არა მარტო ეტაპს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში, არამედ იგი არის ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის აუცილებელი საშუალებაც. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანათა გადაწყვეტა, სოციალისტური მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზის გადიდების ამოცანა, ქალაქის პროლეტარიატის შეუფერხებელი მომარაგებისა და ექსპორტის განვითარების ამოცანა საგრძნობლად დამოკიდებულია იმისაგან, თუ რამდენად შევძლებთ ჩვენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული მოძრაობის განვითარებას, მისი როლის გაძლიერებას სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაში გლეხობის ღარიბი და საშუალო ფენების კოოპერატიულად გაერთიანების დაჩქარებით.

კოოპერატიული მოძრაობის ამ უდიდესი მნიშვნელობით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც მიაქცია ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სრულიად საკავშირო საბჭოს ეხლახან დამთავრებულმა სესიამ მოსკოვში. სას.-სამეურნ. კოოპერაციის ზოგად საკითხებთან ერთად, საბჭოს სესიამ მოისმინა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელთა მოხსენებები და სათანადოდ შეაფასა როგორც მისი მიღწევები, ისე ის დეფექტებიც. ამასთან სესიამ დაგვისახა სას.-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობისა და მუშაობის შემდეგი განვითარების გზებიც.

საბჭოს სესიამ აღნიშნა, რომ „ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ მრავალი სიძნელე და დაბრკოლება გადალახა, რაც დაკავშირებული იყო ამ სახელმწიფოში მცხოვრებ მრავალეროვნებიანი და მრავალენიანი გლეხობის ეკონომიურ, სოციალურ და ზნე-ჩვეულების სავსებით სხვადასხვაგვარ პირობებთან; მან ეხლა უკვე საგრძნობლად ჩააბა გლეხობის ფართო მასები კოოპერატიულ მშენებლობაში, ფართოდ განავითარა კოოპერატიულ ორგანიზაციათა ქსელი და საგრძნობლად გააძლიერა თავისი ხვედრითი წონა სას. სამ. ბრუნვაში, დაიჭირა რა მთელ რიგ სასაქონლო დარგებში პირველი ადგილი, ხოლო ზოგიერთ დარგში—მონოპოლური მდგომარეობაც". მაგრამ მიღწევებთან ერთად აღინიშნა მთელი რიგი დეფექტებიც, როგორიცაა მაგალითად: ზოგიერთ რაიონში კოოპერატიულად გაერთიანების ტემპის ჩამორჩენილობა სოფლის მეურნეობის განვითარებასთან შედარებით, ნაციონალურ უმცირესობათა შორის სუსტი მუშაობა, ქალებისა და ახალგაზრდობის კოოპერატიულად გაერთიანების ნელი ტემპი, მშენებლობაში უნივერსალური სისტემის სიჭარბე განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ადგილი ჰქონდა სპეციალური ძირითადი ქსელის შემცირებას, საწარმოო განხრის უქონლობა, რაც შედეგად მოჰყვა უნივერსალიზმს, არასაკმარისი მუშაობა აგრი-კულტურისა და ზოოტეხნიკის სფეროში და სხვ. მაგრამ ამასთან ერთად სესიამ ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის კოოპერაციას განსაკუთრებით უჭირს გზის გაკაფვა და რომ ეს დეფექტები გამოწვეულია არა მარტო სახელმწიფოს ეკონომიური, სოციალური და ზნე-ჩვეულების განსაკუთრებული პირობებით, არამედ მთელ რიგ სხვა მიზეზებით, რაც, როგორც თვით კოოპერაციაში, ისე მის გარეშეც არსებობს, ამ მიზეზებად უნდა ჩაითვალოს: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის დაუმთავრებლობა, ამიერ-კავკასიის ცენტრის უქონლობა, იმ სახელმწიფო დამამზადებლებისა და აგრეთვე ადგილობრივი აღმასკომების კონკურენციის ყოვლად დაუშვებელი ფორმები, რომლებიც გამოდიან ბაზარზე სას.-სამეურნეო კოოპერაციასთან ერთად, არანორმალური დამოკიდებულება სას.-სამ. ბანკებთან წარსულში და სხვა.

სესიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ის ღონისძიებები, რაც დიდი ხანია განხორციელებულია საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ამიერ-კავკასიას სრულებით არ შეხებია. ასეთი ღონისძიებებია მაგალითად: კოოპერატიული დონამატი, ფონდების შექმნა აგრი-კულტურული მუშაობის საწარმოებლად, კაპიტალების ნორმალური დაგროვება, ავანსებზე დანაკლისის ანაზღაურება და სხვა.

სესიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია უნივერსალიზმისაკენ იხრება, რაც უარყოფითად მოქმედებს ზოგიერთ შრომა-ინტენსიურ კულტურათა კოოპერატიულად გაერთიანებაზე და რითაც აიხსნება სას. სამ. კოოპერაციის სისტემის ხარისხობრივი მუშაობის ჩამორჩენილობა რაოდენობითი მუშაობისაგან.

და სწორედ ამით არის გამოწვეული სესიის დადგენილება იმის შესახებ რომ „ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის უპირველეს ამოცანას შეადგენს **სპეციალიზაციის ტემპის გაძლიერება**, როგორც კავშირებში, ისე ძირითად ქსელში. განსაკუთრებით ეს საჭიროა საქართველოში, რომელიც საგრძნობლად ჩამორჩება ამ მხრით ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებს".

სპეციალიზაციის საკითხი უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის სინამდვილისათვის: სპეციალიზაციის საჭიროებას ჩვენ გვკარნახებს ზრდა კოოპერატიულად გაერთიანებული მასებისა, რომელთა სამეურნეო მოთხოვნილებანი არ არის ერთნაირი, სასოფლო-სამეურნეო საქონლის ბრუნვათა თანდათანობით ხელში ჩაგდება და რაც უმთავრესია, საკითხი სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების რეორგანიზაციაში სას. სამ. კოოპერაციის როლის გაძლიერების შესახებ. რადგან სპეციალური ქსელი წარმოადგენს „გასაღება-მომარაგების კოოპერატიულად გაერთიანებისაგან ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა განსაზოგადოებულ წარმოებაზე თანდათანობითი გადასვლის" აუცილებელ საშუალებას. ის დიდი ამოცანები, რაც დაკისრებული აქვს სას.-სამ. კოოპერაციას, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სას. სამეურნეო კოოპერაცია ეუფლება ძლიერი აპარატი, რომელიც აღჭურვილი იქნება ზეგავლენის ტეხნიკური და აგრი-კულტურული საშუალებებით. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი ქსელის სპეციალიზაციის პირობებში.

სესია შეეხო შემდგომი მშენებლობის მეთოდებისა და ფორმების საკითხს და გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები: მუშაობის გაძლიერება ღარიბთათვის სამსახურის გაწევის სფეროში, ღარიბთა და მოჯამაგირეთა გაერთიანება წარმოებით ერთეულში განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა კოლექტიურ მეურნეობათა წესიერი განვითარებისათვის, კოლექტიურ მეურნეობათა სისტემის მუშაობის გაძლიერება და მისი წარმართვა იმ მიმართულებით, რომ რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი დამყარდეს კოლმეურნეობათა სისტემასა და მთელ სას. სამ. კოოპერაციის სისტემის შორის, ზომების მიღება წარმოების ტეხნიკის გასაუმჯობესებლად და ამავე დროს ტეხნიკის გაძლიერება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი გადამუშავების სფეროში და სხვ.

საბჭოს სესიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სას. სამ. კოოპერაციის კადრების სისუსტეს; სას. სამ. კოოპერაციისაგან „მიწა მოელის თავის ოსტატებს"; ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება არა მარტო კოოპერატორები, არამედ ტეხნიკოსები-მებაღეები, მევენახეები და სხვა რადგან მხოლოდ ასეთი აპარატით შესძლებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია იმოქმედოს გლეხის მეურნეობათა მოსავლიანობასა, პროდუქტიობასა და მომგებიანობაზე.

ამიერ-კავკასიის სას. სამ. კოოპერაციის მთელი მუშაობა უნდა ტარდებოდეს საწარმოო პროცესების კოოპერატიულად გაერთიანების ლოზუნგით; ეს კი ნიშნავს, იმას, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ღარიბებთან მუშაობა. ღარიბი მოსახლეობის მეურნეობათა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი ეკონომიური როლისა და მნიშვნელობის ზრდის გარეშე ჩვენ ვერ განვახორციელებთ ვერც ერთ ამოცანას, რომელიც სდგას სოფლის მეურნეობის წინაშე.

ამ თვალსაზრისით აგებული სას. სამ. კოოპერაცია, ძალთა მაქსიმალურად დაძაბვით, ყველა დეფექტების ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრისა და სწორი კლასიური მიდგომის პირობებში, შესძლებს იმ უდიდესი ამოცანების განხორციელებას, რომლებიც სდგას მის წინაშე სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გზაზე.

ბ. ნაფეტვარიძე.

კელოგის პაქტის გარშემო

საბჭოთა კავშირს აცნობებს, რომ ამერიკამ დაამტკიცა კელოგის პაქტი

მოსკოვი, 19 იანვარი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თხოვნით, საფრანგეთის მთავრობამ თავისი წარმომადგენლის (საბჭოთა კავშირში) ერბეტის საშუალებით ამხ. ლიტვინოვს აცნობა, რომ ამერიკის სენატმა კელოგის პაქტი დაამტკიცა ერთხმად და უშენიშვნოთ (ადს).

ბალტიის ქვეყნები და კელოგის პაქტი

ვაშინგტონი, 19 იანვარი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა იმ ქვეყნების სრული სია, რომლებმაც 17 იანვრამდე, მიემხრენ კელოგის პაქტს. ბალტიის ზღვის სანაპირო ქვეყნებმა გამოაცხადეს, რომ მზად არიან მიემხრონ კელოგის პაქტს, მაგრამ ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა სამინისტროსათვის არ გაუგზავნიათ არავითარი აქტი პაქტის მიმხრობის შესახებ.

კანონპროექტის დამტკიცება

ანგორა, 19 იანვარი. პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი, რომლითაც თურქეთი ემხრობა კელოგის პაქტს (ადს).

პოლონეთი ემზადება კელოგის პაქტის რატიფიკაციისათვის

ვარშავა, 18 იანვარი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ მინისტრთა საბჭომ მიიღო კანონპროექტი კელოგის პაქტის რატიფიკაციის შესახებ (ადს).

პოლონეთის პასუხი ლიტვინოვის მეორე ნოტაზე

მოსკოვი, 19 იანვარი. 19 იანვარს ვარშავიდან მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის ელჩი ბ. პატეკი; იმავე დღეს საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე იგი მიიღო ამხ. ლიტვინოვმა. პატეკმა ლიტვინოვს ჩააბარა პოლონეთის მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის მეორე ნოტაზე, რომელიც გადაეცა პოლონეთის მთავრობას 11 იანვარს. პატეკთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელი ბ. ბობროვსკი. (ადს).

საფრანგეთის პრესის შიში

პარიზი, 19 იანვარი. საფრანგეთის მემარჯვენე პრესა გაცხოველებულ კომენტარიებს უკეთებს გერმანიის სამხედრო მინისტრის გრენერის მემორანდუმს, რომელშიაც იგი ამჩნევს, რომ გერმანია მისწრაფვის ბალტიის ზღვაზე ჰეგემონიის დაპყრობისა და აღმოსავლეთის საზღვრების გადასინჯვისაკენ. (ადს).

კომპარტიის გამარჯვება ინგლისში

ლონდონი, 18 იანვარი. სამხრეთ-უელსის მემაღაროეთა ფედერაციის ქვედა საფეხურის ორგანიზაციების თანამდებობის პირთა არჩევნებში **საგრძნობ გამარჯვება მოიპოვეს კომუნისტებმა, რომელთაც ერგოთ 48 თანამდებობა**, მათ შორის ქვედა საფეხურის ორგანიზაციების თავმჯდომარეების, მდივნების და ხაზინადარების თანამდებობები. (ადს).

პროფკავშირების მონაწილეობა იმპერიალიზმთან ბრძოლაში

ბერლინი, 18 იანვარი. იმპერიალიზმისა და კოლონიალურ ერების ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის აღმასკომის სესიამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია პროფკავშირებისა და ლიგის ურთიერთობის შესახებ.

რეზოლუცია საჭიროდ სთვლის პროფკავშირების ჩაბმას ანტი-იმპერიალისტური ბრძოლის მთლიან ფრონტში, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ არც ლიგა და არც მისი განყოფილებები და ორგანიზაციები არ უნდა ჩაერიონ პროფკავშირების შინაურ ცხოვრებაში. (ადს).

პოლონეთი ომისათვის ემზადება

ბერლინი, 18 იანვარი. „ტაგ"-ის ბუქარესტელი კორესპონდენტი იუწყება გენერალ ლერონის ხელმეორედ გამგზავრების შესახებ ვარშავაში და ამას უკავშირებს იმ მოსამზადებელ მუშაობას, რომელსაც უდიდესი ენერგიით აწარმოებს პოლონეთი და რომლის მიზანსაც შეადგენს „უკრაინის საკითხის ძალით გადაჭრა პოლონური თვალსაზრისის მიხედვით".

კორესპონდენტის აზრით, პოლონეთში უკვე შეადგინეს კადრები ექვსი უკრაინული დივიზიისათვის. იმ სამხედრო სამზადისთან დაკავშირებით, რომელსაც ვარშავაში აქვს ადგილი, არკვევენ საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი რუმინეთისა და ჩეხო-სლოვაკიის ჩაბმა პოლონეთის მიერ განზრახულ გამოსვლაში, რომელსაც მომავალ გაზაფხულზე მოელიან. ამასთან საჭიროდ მიაჩნიათ იმ უკმაყოფილების მოსპობა, რომელსაც რუმინეთში პოლონეთ-უნგრეთის მოლაპარაკება იწვევს.

ვარშავაში სერიოზულ მნიშვნელობას აძლევენ იმ პოზიციას, რომელსაც ჩეხო-სლოვაკია დაიჭერს, კერძოდ, იმიტომ, რომ განზრახულია უკრაინის საკითხთან ერთად „პოლონური თვალსაზრისის მიხედვით" გადასჭრან ლიტვის საკითხიც, რასაც, უნდა ვიფიქროთ, მოჰყვება კონფლიქტი გერმანიასთან.

ვარშავის ავტორიტეტულ წრეებში, კორესპონდენტის სიტყვით, კარგად იციან, რომ პილსუდსკისთან დაახლოვებული პირები სრულებით არ არიან გერმანიასთან კონფლიქტის წინააღმდეგი, რადგან პოლონეთის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიზანს შეადგენს აღმოსავლეთ პრუსიის ხელში ჩაგდება.

„ტაგ"-ი, ბეჭდავს რა თავისი კორესპონდენტის ამ ცნობას, აღნიშნავს, რომ გენერალ ლერონის ამოცანას შეადგენს „ანტანტის აღმოსავლეთის ვასალების" გამოსვლის მომზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ადს).

მღელვარება სირიაში

სტამბოლი, 18 იანვარი. „მილიეტ"-ის ცნობით, **სირიაში მღელვარება ძლიერდება. ამ დღეებში ნაციონალისტმა დემონსტრანტებმა დაარბიეს სამი გაზეთის რედაქცია.** ეს გაზეთები საფრანგეთის ხელისუფლებისაგან ღებულობენ სუბსიდიას სირიის ნაციონალურ მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ წერილებისათვის.

საფრანგეთის ხელისუფლება ძლიერ შეშფოთებულია სირიაში შექმნილ მდგომარეობით და **განაგრძობს დამასკისა და მისი რაიონების გამაგრებას.** (ადს).

კასტრილიონის დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. კოლუმბიიდან მიღებული ცნობებით, იქაური კომუნისტების ბელადი კასტრილიონი, რომლის შესახებაც იუწყებოდნენ, რომ ის მოკლეს ბანანის პლანტაციების მუშების გაფიცვის დროს, ცოცხალია, დაპატიმრებულია და გადაეცემა სამხედრო სასამართლოს. (ადს).

ფაბრიკების მეპატრონეთა კავშირის კრება

რიგა, 18 იანვარი. ფინანსთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მეზისის მონაწილეობით მოხდა ფაბრიკის პატრონთა კავშირის კრება რიგაში. კრებამ განიხილა ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების მოქმედების შედეგები პირველი წლის განმავლობაში.

როგორც პრესაში გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაშია ნათქვამი, კრებამ სცნო, რომ ხელშეკრულებამ პირველი წლის განმავლობაში ძალიან შეუწყო ხელი ლატვიის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას, იგი ლატვიის სამეურნეო ცხოვრების არსებით ფაქტორად გადაიქცა (ადს).

გრიგალი ბათომში

ბათომი, 19 იანვარი. 18 იანვარს ღამით ბათომში გადაიარა უძლიერესმა გრიგალმა-ქარმა, რომლის სისწრაფე წამში 28 მეტრს აღწევდა. ქალაქსა და მიდამოებში ქარმა ბევრგან სახლებს სახურავები აგლიჯა, დაამტვრია ხეები, დასწყვიტა ელექტრონის მავთულები. ქარი ორი საათის განმავლობაში ჰქროდა.

ზღვაზე მძვინვარებდა ძლიერი ქარიშხალი, რომელიც 8 ბალს აღწევდა. ნავთსადგურიდან ქარიშხალმა ზღვაში გაიტაცა ნავი რომელიც გადაარჩინა გემმა „წითელმა ბათომმა". ქარიშხალი ზღვაზე კვლავ მძვინვარებს, გემები ნავთსადგურში იცდიან. (ადს).

მდგომარეობა ავღანისტანში

უთანხმოება აჯანყებულთა შორის

ტაშკენტი, 19 იანვარი. ქაბულიდან მიღებული ცნობების თანახმად აჯანყებულთა შორის თავი იჩინა უთანხმოებამ. ტომები, რომლებიც ცხოვრობენ ქაბულის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ინაიატულას დიდის სამშობლოში. უკმაყოფილო არიან ინაიატულას გადადგომით. გავრცელდა ხმები, რომ შინვარის და მომანდის ტომები დაიძრენ ქაბულისაკენ. ამის გამო ქაბულიდან აღმოსავლეთით ხაკის ქედისკენ (100 კილომეტრით დაშორებულია ქაბულზე) გაიგზავნა შეიარაღებული კუჰისტანელების რაზმები, რომ შეაჩერონ მათი მოძრაობა. გამორკვეულია ჩრდილოეთის და სამხრეთ აღმოსავლეთის მთელი რიგი ტომების განწყობილება ბაჩე-საკოს ფადიშახად გამოცხადებისადმი. (ადს).

როგორ აიღეს ქაბული

ქაბული, 16 იანვარი. (დეპეშა დაგვიანებითაა მიღებული). 15 იანვარს დღის 4 საათზე მთავრობის ჯარები დანებდნენ აჯანყებულებს და განიარაღებული არიან. სროლა ქალაქში შესწყდა. მთავრობის ჯარების ხელში რჩება მხოლოდ არკი, რომელშიც შეფარებულია ათასამდე შეიარაღებული კაცი სამხედრო მასალების დიდი მარაგით.

აჯანყებულთა სარდლობას გადაწყვეტილი აქვს ზარბაზნები დაუშინოს არკს, თუ ის არ დანებდა. აჯანყებულთა შტაბი მოთავსებულია ბაგი-ბალას მაღლობზე.

ქაბულში შევიდა დიდძალი უიარაღო ხალხი (კუჰისტანელები). ხმების თანახმად, იმ აჯანყებულებს გარდა, რომელთაც ხელმძღვანელობს ბაჩე საკაო, ქაბულისაკენ მიიწევს აგრეთვე შინვართა ტომი. (ადს).

პარიზელი მუშა-ქალები საბჭ. კავშირის სადარაჯოზე

მოსკოვი, 19 იანვარი. პარიზის მუშა-ქალების კონფერენციამ საკავშირო პროფსაბჭოს გამოუგზავნა მიმართვა საბჭოთა კავშირის მუშა-ქალებისადმი. მიმართვაში სხვათა შორის ნათქვამია:

„ჩვენი კონფერენცია აღნიშნავს, რომ კაპიტალისტები ამზადებენ ომს, რომელიც თქვენს წინააღმდეგ იქნება მიმართული. ჩვენ გარწმუნებთ, რომ არ დავუშვებთ ამ ომს. ჩვენ შევსძლებთ ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად დავრაზმოთ ექსპლოატაციის საგნად გადაქცეულ მუშებისა და მუშა-ქალების მთელი მასა". (ადს).

გერმანელთა ორგანიზაციების დაშლა სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 18 იანვარი. ბელგრადის გაზეთები იუწყებიან, რომ სამხრეთ-სლავიაში მთავრობამ დაშალა გერმანული პარტიის ორგანიზაციები და აგრეთვე გერმანელთა კულტურული ორგანიზაციები. (ადს).

თათბირი გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ

მოსკოვი, 19 იანვარი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილებაში შესდგა თათბირი გაზაფხულის თესვის კამპანიის საკითხების გამო. უწყებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აცნობეს თათბირს გაზაფხულის თესვის მოსამზადებელი მუშაობის მსვლელობა და ის ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სათესი სივრცის გაფართოებას.

თათბირმა აღნიშნა, რომ ნათესის დანაკლისი წარსული შემოდგომის კამპანიის დროს და ანეულის სივრცის შემცირება აბრკოლებენ იმ დირექტივების შესრულებას, რომელიც მოითხოვს ნათესი სივრცის გაფართოებას სულ ცოტა 7 პროცენტით. თათბირი ფიქრობს, რომ თესვის კამპანიის წარმატებისათვის საჭიროა საბჭოთა მთელი ქვედა აპარატის ამოძრავება; ამავე აპარატს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

თათბირმა აღნიშნა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მოძველება. ზოგგან არ მოიპოვება სამარაგო ნაწილები, განსაკუთრებით ტრაქტორების და გუთნების ნაწილები. ამიტომ მრეწველობამ უნდა გაადიდოს სას.-სამეურნეო ინვენტარის საჭირო ნაწილების წარმოება. მიღებულ უნდა იქნას სხვადასხვა ღონისძიება გლეხების წასახალისებლად, რათა მათ სათესი სივრცე გააფართოვონ. კერძოდ, გაზაფხულის თესვის კამპანიის დაწყებამდე უნდა გამოქვეყნდეს შესწორებები იმ კანონის, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს შეეხება. ქვედა საფეხურის კრედიტები თესვის კამპანიის ჩასატარებლად უნდა გაიხსნას არა უგვიანეს 25 იანვრისა.

თათბირმა მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს მიანდო—მოკლე ხნის განმავლობაში შეამოწმონ სათესლე ფონდების მდგომარეობა. ამავე დროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საბჭოსთან ერთად, უნდა დამუშავდეს საკითხი განსაკუთრებული პურეულის ფონდების შექმნის შესახებ. ამ ფონდების შემწეობით მოხდება იმ მაღალი ხარისხის თესლის გადაცვლა, რომელიც გლეხის მეურნეობებში მოიპოვება.

თათბირმა საჭიროდ დაინახა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების უკანასკნელი კურსის სტუდენტების მობილიზაცია სოფელში გასაგზავნად გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და კოოპერატიულმა ცენტრებმა უნდა მოახდინონ მუშაკთა მობილიზაცია გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად (ადს).

კომკავშირი და თესვის კამპანია

მოსკოვი, 19 იანვარი. სრულიად საკავშირო კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის სოფლის განყოფილება გვაცნობებს, რომ თესვის კამპანიაში კომკავშირის სოფლის უჯრედები ვალდებული არიან ყოველი ღონე იხმარონ პარტიის მიერ დაყენებულ ამოცანის შესასრულებლად ნათესების სივრცის 7 პროცენტით გადიდების შესახებ.

თვითეული სოფლის უჯრედი ვალდებულია აწარმოოს აგიტაცია წმინდა ხარისხოვან თესლის დათესვის შესახებ. შექმნას მარცვლეულის გამწმენდი პუნქტები და პირველ რიგში უფასოთ დაუხარისხოს თესლი ღარიბ მეურნეობათ.

სამუშაოთ გაგზავნილ რაზმებში შეყვანილი უნდა იქნენ კვალიფიციური სპეციალისტები და აგრონომები (ადს).

სომხეთის კომპარტიის (ბ) მე-6 ყრილობა

ერევანი, 19 იანვარი. 20 იანვარს საღამოთი სახელმწიფო თეატრში იხსნება სომხეთის კ. პ. (ბ) მე-6 ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობას მიიღებს გადამწყვეტი ხმით 825 დელეგატი და სათათბირო ხმით—50 დელეგატი.

ყრილობის დღის წესრიგშია: ცეკას, ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშები; მოხსენებები სამეურნეო საკითხების შესახებ; მოხსენება სოფელში მუშაობის შესახებ; მოხსენება ახალგაზრდობას შორის მუშაობის შესახებ და ცენტრალური პარტიული ორგანოების არჩევნები (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამიერ-კავკასიის ორგანოების დაჯილდოება პარიზის გამოფენაზე.

მოსკოვი, 19 იანვარი. პარიზის გასტრონომიულ გამოფენაზე შესდგა ჟიურის სხდომა, რომელმაც საჭიროდ აღიარა ამიერ-კავკასიის სავაჭრო ორგანოების დაჯილდოება საკვები პროდუქტების საუკეთესო ნიმუშების წარმოდგენისათვის. ჟიურის დადგენილებით საუკეთესო ნაწარმოებათ არის ცნობილი სომხეთის სავაჭრო საპაიო საზოგადოების „არმენტორგის" მიერ წარმოდგენილი ხილის კონსერვები. ჟიურიმ მიაკუთვნა აგრეთვე ჯილდო აზერბეიჯანის თევზის მრეწველთა საპაიო ამხანაგობა „აზრიბა"-ს თევზის საუკეთესო კონსერვებისათვის.

კონფერენცია ლუფის მეურნეობის საკითხებზე

მოსკოვი, 19 იანვარი. ამ დღეებში აქ შესდგა საუწყებათაშორისო კონფერენცია, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება ლუფას მოშენების შესახებ საბჭოთა კავშირში. თათბირმა აღნიშნა, რომ ლუფას მეურნეობის განვითარებისათვის დიდი შესაძლებლობა არსებობს ფოთის, ბათომის და ქუთაისის რაიონებში. უახლოესი ათი წლის განმავლობაში ლუფას მოედანი შესაძლებელია აყვანილ იქნას 30 000 ჰექტარამდე.

პოლიგრაფიულ მრეწველობის გაუმჯობესებისათვის.

მოსკოვი, 19 იანვარი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დადგენილებით მიმდინარე წლის 23 იანვარს მოწვეულ იქნება სრულიად საკავშირო ყრილობა პოლიგრაფიულ მრეწველობის საკითხების მოსაგვარებლად. ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებით განიხილავს პოლიგრაფიულ მრეწველობის ტეხნიკურ რეკონსტრუქციის საკითხებს.

რუსულ გერმანული ჟურნალი.

მოსკოვი, 19 იანვარი. საბოლოოდ გადაწყდა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ტეხნიკურ კავშირის განმტკიცების მიზნით გამოიცეს ჟურნალი რუსულ-გერმანულ ენაზე. ჟურნალის თანამშრომლებად მოწვეულნი არიან საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ცნობილი მეცნიერები. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვა უახლოესი ხნის განმავლობაში. რედაქცია პირველ ხანებში მოთავსებული იქნება მოსკოვში, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შენობაში.

ახალი უდიდესი რადიოსადგური.

მოსკოვი, 19 იანვარი. პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო საბჭომ დაამტკიცა ახალ უდიდეს რადიოსადგურის ხარჯთ-აღრიცხვა 1.700.000 ათას მანეთის რაოდენობით. ახალი სადგური იქნება ამხ. ტომსკის სახელობის. მუშაობა უკვე დაწყებულია იმ ანგარიშით, რომ მიმდინარე წლის ივლისში სადგური სავსებით დასრულებულ იქნეს და შესაძლებელი გახდეს რადიოგადაცემათა დაწყება.

მშენებელთა კავშირის აქტივი „კაბუკი"-ს შესახებ

მოსკოვი, 19 იანვარი. ამ დღეებში შესდგა მოსკოვის გუბერნიის მშენებელთა პროფესიონალური კავშირის აქტივის საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება მშენებელთა კავშირის მოსკოვის საგუბერნიო განყოფილებაში აღმოჩენილ ლოთობისა და გარყვნილების ორგანიზაციის „კაბუკი"-ს შესახებ. მშენებელთა კავშირის აქტივის კრებამ ერთხმად მოიწონა ის გადამჭრელი ზომები, რომელიც მიღებულ იქნა მშენებელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტისა და პროფკავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს მიერ „კაბუკი"-ს ორგანიზაციის მონაწილეთა დასასჯელად.

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინის ლექცია სახელმწიფოს შესახებ

წაკითხული სვერდლოვის უნივერსიტეტში 1919 წ. 11 ივლისს

ლენინის ინსტიტუტისაგან

ვლადიმერ ილიჩ ლენინის ქვემოთ მოთავსებული ლექცია, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ფრიად ძნელი და რთული საკითხის პოპულარულ განმარტების ნიმუშს, წაკითხულ იქნა 1919 წლის 11 ივლისს „საბჭოთა მუშაკების ცენტრალურ სკოლაში" (ახლ ეწოდება მაშინ სვერდლოვის უნივერსიტეტს). ლენინი, როგორც მისივე სიტყვებიდან სჩანს, სხვა ლექციების წაკითხვასაც აპირებდა. მაგრამ ეს ლექცია პირველი და ერთად-ერთი ლექციათ დარჩა.

ზემოთაღნიშნული სათაური სავსებით შეეფერება მის შინაარს, მაგრამ სტენოგრამის დედანში ლექციას სათაურად აქვს: „სახელმწიფო სამართალი". ალბად, ასე იყო ნავარაუდევი ციკლის თემა. რადგან ლენინი პირველ თავის ლექციაში მხოლოდ სახელმწიფოს შესახებ ლაპარაკობს და სამართლის საკითხებს სრულებით არ ეხება, ჩვენ საჭიროდ ვსცანით სათანადოთ შეგვეცვალა სათაური.

აქ სრულად იბეჭდება მანქანაზე დაწერილი ტექსტი—სტენოგრამისა, სტენოგრამა ავტორს არ შეუსწორებია,იგი საკმაოდ გულმოდგინეთ არის შესრულებული და არავითარ სერიოზულ სტილისტურ შეცდომებს არ შეიცავს. შევასწორეთ მხოლოდ რამდენიმე უნებური შეცდომა.

ლენინის ინსტიტუტი.

ამხანაგებო! დღევანდელი ჩვენი საუბრის საგანს, იმ გეგმის მიხედვით, რომელიც აქ მიიღეს და მე მაცნობეს, წარმოადგენს საკითხი სახელმწიფოს შესახებ. მე არ ვიცი, რამდენად იცნობთ ამ საკითხს. თუ არა ვცდები, თქვენი კურსები ახლახან გაიხსნა და ამ საკითხს პირველად სწავლობთ სისტემატიურად. თუ ეს ასეა, ადვილად შესაძლებელია, რომ პირველ ლექციაში ამ რთული საკითხის განმარტება საკმაოდ ნათელი არ იყოს და ბევრმა მსმენელმა რიგიანად ვერ გაიგოს იგი. თუ ჩემი მოსაზრება გამართლდება, გთხოვთ ეს ნუ შეგაშინებთ, რადგან სახელმწიფოს საკითხი ერთ-ერთი ურთულესი და უძნელესი საკითხია და, მგონია, ყველაზე უფრო დახლართულია ბურჟუაზიული მეცნიერებისა, მწერლებისა და ფილოსოფოსების მიერ. ამიტომ არავინ უნდა მოელოდეს, რომ ერთ მოკლე საუბარში შეიძლებოდეს ამ საკითხის მთლიანად გამორკვევა. პირველი საუბრის შემდეგ საჭიროა აღინიშნოს გაუგებარი ან ბუნდოვანი ადგილები, რომ მათ დაუბრუნდეთ მეორედ, მესამედ და მეოთხედ, რომ, რაც გაუგებარი იქნება, შემდეგ შევავსოთ და გამოვარკვიოთ როგორც წიგნების კითხვისა, ისე ცალკე ლექციებისა და საუბრის გზით.

იმედი მაქვს, რომ ერთხელ კიდევ მოვახერხებთ შეკრებას და მაშინ ყველა დამატებითი საკითხის გამო შევძლებთ აზრების გაცვლა-გამოცვლას და იმის შემოწმებას, რაც ბუნდოვანი და გამოურკვეველი დარჩება. იმედი მაქვს აგრეთვე, რომ ლექციების შესავსებად განსაზღვრულ დროს მოანდომებთ მარქსისა და ენგელსის თუნდაც უმთავრეს ნაწარმოებთა კითხვას. ეჭვი არ არის, რომ ამ ლიტერატურისა და დამხმარე წიგნებს, რომლებიც დათმობილი აქვთ საბჭოთა პარტიული სკოლის მონაწილეებს, თქვენს ბიბლიოთეკაში იპოვით. შესაძლებელია ამ შემთხვევაშიაც ზოგიერთი მსმენელი დააფრთხოს ნაწარმოების გაგების სიძნელემ, მაგრამ ეს ზოგიერთები ისევ და ისევ უნდა გავაფრთხილო, რომ ამ სიძნელეს არ უნდა შეუშინდნენ. გაუგებარი ადგილი გასაგები გახდება ხელმეორედ წაკითხვის დროს ან შემდეგ, როცა საკითხს სხვა მხრით მიუდგებიან. კიდევ ვიმეორებ, საკითხი ისე რთულია და ისეა დახლართული ბურჟუაზიული მეცნიერებისა და მწერლების მიერ, რომ ყოველი ადამიანი, რომელსაც სურს მისი სერიოზულად შესწავლა და დამოუკიდებლად შეთვისება, ამ საკითხს რამდენჯერმე უნდა მიუდგეს, ისევ და ისევ დაუბრუნდეს, მოისაზროს საკითხი სხვადასხვა მხრით, რათა ნათლად და მტკიცედ გაიგოს იგი. ამ საკითხს მით უფრო ადვილად დაუბრუნდებით, რომ ეს საკითხი ძირითადი, მთავარი საკითხია მთელი პოლიტიკისა არა მარტო მღელვარებით აღსავსე რევოლიუციონურ დროს, რომელიც ჩვენ ახლა გამოვიარეთ, არამედ უაღრესად მშვიდობიან დროსაც. თქვენ ყოველ დღე, ყოველ გაზეთში და ყოველი ეკონომიური თუ პოლიტიკური საკითხის გარშემო მუდამ წააწყდებით ასეთ საკითხს: რა არის სახელმწიფო? რას წარმოადგენს მისი რაობა? რა მნიშვნელობა აქვს? რანაირია პარტიის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, ჩვენი პარტიისა, კაპიტალიზმის დასამხობად მებრძოლი კომუნისტების პარტიისა? ამ საკითხს თქვენ ყოველ დღე დაუბრუნდებით ამა თუ იმ შემთხვევის გამო. უმთავრესი ის არის, რომ წიგნების კითხვამ, საუბრებმა და ლექციებმა, რომლებსაც თქვენ გაიგონებთ სახელმწიფოს შესახებ, შეგძინოთ უნარი ამ საკითხისადმი დამოუკიდებლად მიდგომისა, რადგან ეს საკითხი თქვენ შეგხვდებათ სხვადასხვა შემთხვევის გამო, სხვადასხვა წვრილი საკითხის გამო, სხვადასხვა მოულოდნელ საუბრებსა და მოწინააღმდეგეებთან კამათში. ამიტომ მხოლოდ მაშინ შეგეძლებათ თქვენი თავი ჩასთვალოთ მტკიცე რწმენის პატრონებად და საკმაო წარმატებით დაიცვათ იგი ყველას წინაშე და ყოველთვის, თუ თქვენ დამოუკიდებლად გაერკვევით ამ საკითხში.

ამ მცირე შენიშვნების შემდეგ გადავალ თვით იმ საკითხზე,თუ რა არის სახელმწიფო, როგორ წარმოიშვა იგი, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსთან კაპიტალიზმის სრული დამხობისათვის მებრძოლ მუშათა კლასის პარტიას, კომუნისტების პარტიას.

უკვე აღვნიშნე, რომ საკითხი სახელმწიფოს შესახებ ძალიან დახლართულია როგორც წინასწარი განზრახვით, ისე არა წინასწარი განზრახვით ბურჟუაზიული მეცნიერების, ფილოსოფიის, იურისპრუდენციის, პოლიტიკური ეკონომიის და პუბლიცისტიკის წარმომადგენლების მიერ. ძნელად მოიპოვება მეორე ასე დახლართული საკითხი. ძალიან ხშირად დღემდე ამ საკითხს ურევენ რელიგიურ საკითხებში და ამას ხშირად სჩადიან არა მარტო რელიგიურ მოძღვრებათა წარმომადგენლები (მათგან ეს სავსებით მოსალოდნელიც და ბუნებრივია), არამედ ისეთი პირებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ თავისუფალნი არიან რელიგიურ ცრუმორწმუნეობათაგან. ეს ხალხი სპეციალურ საკითხს სახელმწიფოს შესახებ ურევს რელიგიის საკითხებში და ძალიან ხშირად სცდილობს იდეური ფილოსოფიური მიდგომით და დასაბუთებით ააგოს რთული მოძღვრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არის რაღაც ღვთაებრივი, რაღაც ზებუნებრივი, რომ ის არის ერთგვარი ძალა, რომლითაც სცოცხლობდა კაცობრიობა, ძალა, რომელიც ხალხს აძლევს, ან უნდა მისცეს და თან მოაქვს რაღაც არაადამიანური, გარედან მოცემული, რომ ის არის ღვთაებრივი ძალა. უნდა ითქვას, რომ ეს მოძღვრება ისე მჭიდროდაა დაკავშირებული მყვლეფელი კლასების, მემამულეების და კაპიტალისტების ინტერესებთან, ემსახურება მათ ინტერესებს და მან ისე ღრმად გაჟღინთა ყველა ჩვეულება, ყველა შეხედულება და ბურჟუაზიის წარმომადგენლების მთელი მეცნიერება, რომ მის ნაშთებს თქვენ შეხვდებით ყოველ ნაბიჯზე, მას შეხვდებით თვით მენშევიკებისა და ესერების შეხედულებაში სახელმწიფოზე, რომლებიც ზიზღით უარჰყოფენ იმ აზრს, რომ რელიგიური ცრუმორწმუნეობის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და დარწმუნებულნი არიან, რომ შეუძლიათ ფხიზლად უყურონ სახელმწიფოს.

ეს საკითხი დახლართული და გართულებულია იმიტომ, რომ იგი მუშათა ინტერესებს ეხება უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა საკითხი. სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებით ამართლებენ საზოგადოებრივ პრივილეგიებს, ამართლებენ ექსპლოატაციის არსებობას, ამართლებენ კაპიტალიზმის არსებობას. სწორედ ამიტომ უდიდესი შეცდომა იქნება, რომ ამ საკითხში მოველოდეთ მიუდგომლობას, უდიდესი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ იმ ხალხს, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მეცნიერებაზე, შეუძლია მოგვცეს წმინდა მეცნიერების თვალსაზრისი. სახელმწიფოს საკითხში, სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებაში, სახელმწიფოს თეორიაში,—როცა გაეცნობით საკითხს, ჩასწვდებით ამ საკითხს საკმაოდ, — ყოველთვის დაინახავთ სხვადასხვა კლასების ბრძოლას ურთიერთთან, ბრძოლას, რომელიც გამოხატულებას ჰპოულობს სახელმწიფოზე შეხედულებათა ბრძოლაში, სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის შეფასებაში.

იმისათვის, რომ უფრო მეცნიერულად მიუდგეთ ამ საკითხს, საჭიროა მოკლედ მაინც განვიხილოთ ისტორია იმისა, თუ როგორ წარმოიშვა სახელმწიფო და როგორ ვითარდებოდა იგი. ყველაზე საიმედო საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხში, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ნამდვილად შეძენილ იქნას ამ საკითხისადმი სისწორით მიდგომის გამოცდილება, რომ არ დავიბნეთ აურაცხელ წვრილმანებში ან მოწინააღმდეგე შეხედულებათა მრავალფეროვნებაში, ყველაზე მთავარი იმისათვის, რომ ამ საკითხს მიუდგეთ მეცნიერული თვალსაზრისით —არის ის, რომ არ დავივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს შევხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა განსაზღვრული მოვლენა ისტორიაში, რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში და ამ განვითარების თვალსაზრისით შევხედოთ იმას, თუ რა სახე მიიღო ამ მოვლენამ ეხლა.

იმედი მაქვს, რომ სახელმწიფოს საკითხში გაეცნობით ენგელსის თხზულებას „ოჯახის კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა". ეს არის თანამედროვე სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი თხზულება, რომელშიაც ნდობით შეიძლება მოვეკიდოთ ყოველ ფრაზას, რადგან არც ერთი ფრაზა იქ არ არის ნათქვამი წინდაუხედავად, ყოველი ფრაზა ემყარება უდიდეს ისტორიულ და პოლიტიკურ მასალას. უეჭველია, ამ თხზულებაში ყველა ნაწილი არ არის ისე დაწერილი, რომ ერთნაირად მისაწვდომი და გასაგები იყოს: ზოგიერთი ნაწილი ისეა დაწერილი, რომ გულისხმობს მომზადებულ მკითხველს, რომელსაც აქვს განსაზღვრული ისტორიული და ეკონომიური ცოდნა. მაგრამ კვლავ ვიტყვი: არ უნდა შეგეშინდეთ, თუ ამ ნაწარმოებს წაკითხვის შემდეგ მაშინვე ვერ გაიგებთ. თითქმის არ არის ისეთი ადამიანი, რომელმაც ყველაფერი ერთბაშად გაიგოს. მაგრამ როცა შემდეგ დაუბრუნდებით, როცა გაიღვიძებს ინტერესი, თუ სავსებით არა, მთავარი მაინც გასაგები გახდება. ეს ისტორია გავიხსენე იმიტომ, რომ მხოლოდ იგი გვაძლევს სწორ მიდგომას აღნიშნული საკითხისადმი. ეს წიგნი იწყება ისტორიული მიმოხილვით— როგორ წარმოიშვა სახელმწიფო.

რათა სწორად მიუდგეთ ამ საკითხს, ისეთ საკითხს, როგორიც არის, მაგალითად, კაპიტალიზმის წარმოშობა და ადამიანთა შორის ექსპლოატაცია, სოციალიზმი, ისე თუ როგორ წარმოიშვა სოციალიზმი, როგორმა პირობებმა შექმნეს იგი,—ყოველ ასეთ საკითხს რიგიანად, რწმენით აღჭურვილნი შეიძლება მიუდგეთ მხოლოდ მაშინ, თუ თვალს გადავავლებთ მის ისტორიულ განვითარებას მთლიანად. ამ საკითხში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სახელმწიფო ყოველთვის არ არსებობდა. იყო დრო, როცა სახელმწიფო არ არსებობდა. სახელმწიფო ჩნდება იქ და მაშინ, როცა და სადაც ჩნდება საზოგადოების დაყოფა კლასებად, როცა ჩნდებიან მყვლეფელები და გაყვლეფილები.

მანამ, სანამ წარმოიშვებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის პირველი ფორმა მონათმფლობელობათა და მონათა კლასებად დაყოფის პირველი ფორმა, მანამდე არსებობდა პატრიარქალური ანუ, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, კლანური (კლანი, გვარი, როცა ხალხი სცხოვრობდა გვარებად) ოჯახი. პირველყოფილმა ხალხებმა საკმაოდ გარკვეული კვალი დასტოვეს. თუ აიღებთ რომელსამე თხზულებას პირველყოფილი კულტურის შესახებ, თქვენ ამ თხზულებაში ნახავთ ცოტად თუ ბევრად გარკვეულ აღწერას, მითითებებს და მოგონებებს იმის შესახებ, რომ იყო ისეთი დრო, რომელიც ცოტად თუ ბევრად ჰგავდა პირველყოფილ კომუნიზმს, როცა არ არსებობდა საზოგადოების დაყოფა მონათმფლობელებად და მონებად. მაშინ არ არსებობდა სახელმწიფო, არ არსებობდა განსაკუთრებული აპარატი ძალადობის სისტემატიურად გამოყენებისა და ხალხის ძალადობით დამორჩილებისათვის. ასეთ აპარატს ეწოდება სახელმწიფო.

პირველყოფილ საზოგადოებაში, როცა ხალხი პატარ-პატარა გვარებად სცხოვრობდა, როცა იგი განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იდგა, თითქმის ველურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, იმ ეპოქაში, რომლისაგან თანამედროვე კულტურული კაცობრიობა რამდენიმე ათასი წლით არის დაშორებული, იმ ხანაში არ სჩანს სახელმწიფოს არსებობის ნიშნები. იმ ხანაში ჩვენ ვხედავთ ზნე-ჩვეულებათა ბატონობას, ავტორიტეტს, პატივისცემას, ისეთ ძალაუფლებას, რომლითაც სარგებლობდნენ გვარის უხუცესნი, ვხედავთ, ამ ხელისუფლებით ზოგჯერ ქალებიც იყვნენ აღჭურვილნი,—ქალების მდგომარეობა მაშინ არ ჰგავდა ეხლანდელ უუფლებო, ჩაგრულ მდგომარეობას,—მაგრამ ჩვენ ვერსად ვხედავთ ხალხის განსაკუთრებულ ჯგუფს, ფენას, რომელიც გამოცალკევებული ყოფილიყო იმისათვის, რომ მართვა-გამგებლობა გაეწიოს დანარჩენთა ცხოვრებისთვის, რომ მმართველობის მიზნით სისტემატიურად ესარგებლა იძულების ერთგვარი აპარატით, ძალადობის აპარატით, ისეთი აპარატით, როგორიც არის ამჟამად, ჯარი, საპყრობილე და სხვა საშუალება ხალხის იძულებითი დამორჩილებისათვის — ის, რაც სახელმწიფოს რაობას შეადგენს.

თუ თავს დავანებებთ ეგრედწოდებულ რელიგიურ მოძღვრებებს, რომლებსაც ჰქმნიან ბურჟუაზიული მეცნიერები, თუ ყველასავე ამას თავს დავანებებთ და გამოვეძებნით საქმის ნამდვილ ვითარებას, დავინახავთ, რომ სახელმწიფო წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოებიდან გამოყოფილ მმართველობის სწორედ ასეთ აპარატს. როცა წარმოიშვება ადამიანთა ასეთი განსაკუთრებული ჯგუფი, რომლის საქმესაც მხოლოდ და მხოლოდ მმართველობა შეადგენს და რომელსაც მმართველობისათვის ესაჭიროება იძულებისა და დამორჩილების განსაკუთრებული აპარატი—საპყრობილეები, ადამიანთა განსაკუთრებული რაზმები, ჯარი და სხვა,—სწორედ მაშინ წარმოიშვება სახელმწიფო.

მაგრამ იყო დრო, როცა სახელმწიფო არ არსებობდა, როცა საერთო კავშირი, თვით საზოგადოება, დისციპლინა და შრომის განაწილება ემყარებოდა ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ავტორიტეტს ან პატივისცემას, რითაც სარგებლობდნენ გვარის უხუცესნი ან ქალები, რომელნიც იმ დროს არა თუ მამაკაცებთან თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ, არამედ ხშირად მაღალი თანამდებობაც ეჭირათ. ეს იყო მაშინ, როცა არ არსებობდა სპეციალისტების განსაკუთრებული კატეგორია მმართველობისათვის. ისტორია გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო, როგორც ადამიანთა იძულების განსაკუთრებული აპარატი, ჩნდებოდა მხოლოდ აქ, როცა სადაც ხდებოდა საზოგადოების დაყოფა, კლასებად და, მაშასადამე, ადამიანთა დაყოფა ისეთ ჯგუფებად, რომელთაგან ერთ ნაწილს შეუძლია მიითვისოს სხვების შრომა და გაყვლიფოს ისინი.

საზოგადოების ეს დანაწილება კლასებად ისტორიაში, ნათლად და ყოველთვის უნდა იდგეს ჩვენ თვალ წინ. როგორც ძირითადი ფაქტი, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ფაქტები მრავალი ათასი წლის განმავლობაში ყველა ქვეყანაში გვიჩვენებენ ამ განვითარების საერთო კანონშეზომილებას, —სისწორეს და თანმიმდევრობას: პირველად არსებობს უკლასო საზოგადოება, პირველყოფილი პატრიარქალური საზოგადოება, რომელშიაც არ იყვნენ არისტოკრატები, შემდეგ წარმოიშვება მონობაზე დამყარებული საზოგადოება. მიწადმფლობელური საზოგადოება. ეს ეტაპები გაიარა მთელმა თანამედროვე კულტურულმა ევროპამ, მონობა გაბატონებული იყო ორი ათასი წლის წინად. ეს გზა გაიარა დედამიწის დანარჩენი ნაწილების ხალხთა უდიდესმა უმრავლესობამ. ნაკლებ განვითარებულ ხალხებში მონობის ნაშთი ეხლაც არის.მონობის დაწესებულებებს ეხლაც ნახავთ, მაგალითად, აფრიკაში. მონათმფლობელნი და მონები — პირველი დანაწილებაა კლასებად. პირველი ჯგუფი ფლობდა არა მარტო წარმოების ყველა საშუალებას, მიწას და იარაღს,—რაც უნდა სუსტი და პრიმიტიული ყოფილიყო მაშინ ეს იარაღი, —იგი ფლობდა ადამიანებსაც. ამ ჯგუფს ეწოდებოდა მონათმფლობელი ჯგუფი, ხოლო იმათ, ვინც შრომობდა და თავის შრომის ნაყოფს სხვას აძლევდა—მონები.

ამ ფორმას ისტორიაში მოჰყვა მეორე ფორმა—ბატონყმობა. მონობა ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში განვითარების დროს გადაიქცა ბატონყმურად. საზოგადოება ამ დროს ორ ძირითად ნაწილად არის გაყოფილი: მებატონე-მემამულეები და ყმა გლეხები. ურთიერთობის ფორმამ მათ შორის შეიცვალა. მონათმფლობელნი მონებს სთვლიდნენ თავიანთ საკუთრებად და კანონის მიერ განმტკიცებული იყო ეს შეხედულება: კანონი მონას სთვლიდა ნივთად, რომელიც სავსებით მონათმფლობელს ეკუთვნოდა. ყმა გლეხი დარჩა კლასობრივად ჩაგრულ, მემამულისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში, მაგრამ მებატონე-მემამულე არ ითვლებოდა გლეხის, როგორც ნივთის, მფლობელად, მას ჰქონდა უფლება მხოლოდ მის შრომაზე, მას შეეძლო აეძულებინა გლეხობა ერთგვარი ბეგარის შესასრულებლად. პრაქტიკულად, როგორც თქვენ ყველამ იცით, ბატონყმობამ, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც იგი უფრო დიდხანს არსებობდა, უფრო უხეში ფორმები მიიღო, . იგი არაფრით არ განსხვავდებოდა მონობისაგან.

შემდეგ, ბატონყმურ საზოგადოებაში, ვაჭრობის განვითარებისა და მსოფლიოს ბაზრის წარმოშობასთან ერთად, ფულის ბრუნვის განვითარებასთან ერთად, ხდება ახალი კლასის — კაპიტალისტების კლასის—წარმოშობა. საქონლიდან, საქონლის გაცვლა-გამოცვლიდან, ფულის ძალაუფლების წარმოშობასთან ერთად, ხდებოდა კაპიტალის ძალაუფლების წარმოშობა. მე-18 საუკუნეში, ამ საუკუნის დამლევს და მე - 19 საუკუნის განმავლობაში მოხდა რევოლიუციები. ბატონყმობა განდევნილ იქნა დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ყველაზე გვიან ეს განდევნა მოხდა რუსეთში. 1861 წელს რუსეთშიაც მოხდა გადატრიალება, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ საზოგადოების ერთი ფორმა შეიცვალა მეორე ფორმით, ბატონყმობა შეიცვალა კაპიტალიზმით, რომლის დროსაც დარჩა კლასებად დაყოფა, დარჩნენ ბატონყმობის სხვადასხვა ნაშთები და კვალი, მაგრამ კლასებად დაყოფამ სხვაგვარი ფორმა მიიღო.

კაპიტალის ბატონები, მიწის პატრონები, ფაბრიკების და ქარხნების პატრონები ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობას, რომლის განკარგულებაშია ხალხის მთელი შრომა და რომელიც ჩაგრავს, ჰყვლეფავს მუშათა მთელ მასას. ამ მუშათა მასის უმრავლესობას შეადგენენ პროლეტარები, დაქირავებული მუშები, რომლებიც საარსებო საშუალებას წარმოების პროცესში იღებენ მხოლოდ თავიანთი სამუშაო ძალის გაყიდვით. მუშა ხელი მეტ წილად, ხოლო გლეხობა ყოველთვის, დაქსაქსულნი და შევიწროვებულნი, ისევ ბატონყმობის დროს, კაპიტალიზმის დამყარების შემდეგ ხდებოდნენ ნაწილობრივ (უმრავლესობა) პროლეტარებად, ნაწილობრივ-კი (უმცირესობა)—შეძლებულ გლეხებად, რომლებიც თვითონ ქირაობდნენ მუშებს და სოფლის ბურჟუაზიას წარმოადგენდნენ.

თქვენ ყოველთვის მხედველობაში უნდა იქონიოთ ეს ძირითადი ფაქტი საზოგადოების გადასვლისა მონობის პირველყოფილი ფორმებიდან ბატონყმობაზე და, ბოლოს, კაპიტალიზმზე, ვინაიდან მხოლოდ მაშინ, როცა გაიხსენებთ ამ მთავარ მომენტს, როცა ამ მთავარ ჩარჩოში მოაქცევთ ყველა პოლიტიკურ მოძღვრებას, შეაფასებთ თქვენ სწორად ამ მოძღვრებებს და მიხვდებით, რას ეკუთვნიან ისინი, რადგან კაცობრიობის ისტორიის ყოველი მნიშვნელოვანი პერიოდი—მონობა, ბატონ-ყმობა და კაპიტალისტური წყობილება—შეიცავს მრავალ საუკუნეს და ასახავს მრავალ პოლიტიკურ ფორმას, სხვადასხვა პოლიტიკურ მოძღვრებას, აზრს, რევოლიუციას. ამ პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და სხვა მოძღვრებებში, განსაკუთრებით ბურჟუაზიულ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა მოძღვრებებში გაერკვეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაეყრდნობით საზოგადოების კლასებად დაყოფას, კლასობრივი ბატონობის ფორმების შეცვლას და ამ თვალსაზრისით გაარჩევთ ყველა საზოგადოებრივ საკითხს, როგორც ეკონომიურს, ისე პოლიტიკურს, რელიგიურს და სხვ.

თუ ამ ძირითადი დაყოფის თვალსაზრისით შეხედავთ სახელმწიფოს, დაინახავთ, რომ საზოგადოების კლასებად დაყოფამდე, როგორც უკვე ვსთქვი, არ არსებობდა თვით სახელმწიფოც. კლასების საზოგადოებრივ დაყოფის აღმოცენებასა და განმტკიცებასთან ერთად, კლასობრივ საზოგადოების წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა და განმტკიცდა თვით სახელმწიფოც. კაცობრიობის ისტორიაში ვხედავთ მრავალ ქვეყანას, რომლებიც ამჟამად განიცდიან მონობას, ბატონყმობას და კაპიტალიზმს. ყოველ ასეთ ქვეყანაში, მიუხედავად დიდი ისტორიული ცვლილებებისა, მიუხედავად პოლიტიკური წინსვლისა, რევოლიუციებისა, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ კაცობრიობის ამ განვითარებასთან, მონობიდან ბატონ-ყმობაზე, ხოლო ბატონ-ყმობიდან კაპიტალიზმზე გადასვლასთან,—მიუხედავად ყოველივე ამისა ყოველთვის ვხედავთ სახელმწიფოს წარმოშობას. სახელმწიფო ყოველთვის წარმოადგენდა განსაკუთრებულ აპარატს, იგი გამოყოფილი იყო საზოგადოებიდან და შესდგებოდა, ისეთი ხალხისაგან, რომელიც მხოლოდ განაგებდა, ან თითქმის განაგებდა ან უმთავრესად განაგებდა ქვეყანას. ხალხი იყოფა ორ კატეგორიად. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ისინი, ვინც განაგებენ, ხოლო მეორეს—ისინი, ვისაც განაგებენ. პირველი კატეგორიის ხალხს უწოდებენ მმართველებს, სახელმწიფოს წარმომადგენლებს. ამ აპარატს ამ ჯგუფს, რომელიც განაგებს სხვებს, ყოველთვის ხელთ უპყრია იძულების, ფიზიკური ძალადობის აპარატი. იძულების ეს იარაღი პირველად იყო უბრალო კეტი, მონობის ეპოქაში იარაღი გაუმჯობესდა, საშუალო საუკუნეებში შემოვიდა სასროლი იარაღი და, ბოლოს, მეოცე საუკუნეში ამ იარაღის განვითარებამ ტეხნიკურ სასწაულებს მიაღწია. იძულების მეთოდები იცვლებოდა, მაგრამ ყოველთვის, რაც სახელმწიფო არსებობს, ყოველ საზოგადოებაში იყვნენ ისეთი პირები, რომელნიც განაგებდნენ, რომელნიც ბატონობდნენ და ბრძანებლობდნენ და ძალაუფლების შესანარჩუნებლად მათ ხელში იყო ფიზიკური იძულების აპარატი, ხოლო იარაღი, რომლითაც ეს აპარატი სარგებლობდა, შეეფერებოდა ყოველი ეპოქის ტეხნიკურ დონეს. მხოლოდ მაშინ, როცა განვიხილავთ ამ საერთო მოვლენებს, როცა ვიკითხავთ — რატომ არ არსებობდა სახელმწიფო მაშინ, როცა არ არსებობდნენ კლასები, როცა არ იყვნენ გამყვლეფელები და გაყვლეფილები და რატომ წარმოიშვა იგი მაშინ, როცა წარმოიშვნენ კლასები,—მხოლოდ მაშინ ვიპოვით განსაზღვრულ პასუხს კითხვაზე სახელმწიფოს რაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

სახელმწიფო არის მანქანა, რომლის საშუალებითაც ერთმა კლასმა უნდა შეინარჩუნოს ბატონობა მეორე კლასზე. როცა საზოგადოებაში არ იყვნენ კლასები როცა ხალხი მონობის ეპოქამდე შრომობდნენ თანასწორობის პირველყოფილ პირობებში, შრომის უაღრესად დაბალი ნაყოფიერების პირობებში, როცა პირველყოფილი ადამიანი ძლივს-ძლიობით შოულობდა საშუალებებს თითქმის პირუტყვული არსებობისათვის, მაშინ არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო ისეთი ხალხი, რომელიც შემდეგ სპეციალურად იქნა გამოყოფილი მმართველობისთვის და დანარჩენ საზოგადოებაზე ბატონობისთვის.

მხოლოდ მაშინ, როცა აღმოცენდა საზოგადოების კლასებად დაყოფის პირველი ფორმა, როცა აღმოცენდა მონობა, როცა ერთ კლასს საშუალება მიეცა შეექმნა ერთგვარი ზედმეტი ღირებულება, როცა ეს ზედმეტი ღირებულება არ იყო აბსოლიუტურად საჭირო მონის ღატაკური არსებობისათვის და გადადიოდა მონათმფლობელის ხელში, როცა, ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა მონათმფლობელთა კლასის არსებობას, მხოლოდ მაშინ გახდა საჭირო სახელმწიფოს შექმნა.

ამრიგად, გაჩნდა მონათმფლობელური სახელმწიფო, აპარატი, რომელიც მონათმფლობელებს აძლევდა ძალაუფლებას და მონობის დამორჩილების შესაძლებლობას. საზოგადოება და სახელმწიფო მაშინ გაცილებით უფრო პატარა იყო, ვიდრე ეხლა. მისი ძალაუფლების აპარატიც გაცილებით უფრო სუსტი იყო. მაშინ არ იყო მიმოსვლის ეხლანდელი საშუალებები. მთები, მდინარეები, ზღვები გაცილებით უფრო დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ, ვიდრე ეხლა. სახელმწიფოს ჩამოყალიბება ხდებოდა უფრო ვიწრო გეოგრაფიულ საზღვრების ფარგლებში. ტეხნიკურად სუსტი სახელმწიფო აპარატი ემსახურებოდა ისეთ სახელმწიფოს, რომლის ძალაუფლებაც ვრცელდებოდა შედარებით უფრო ვიწრო საზღვრებში და მოქმედების ასპარეზიც ვიწრო იყო. არ იყო აპარატი, რომელიც აიძულებდა მონებს დარჩენილიყვნენ მონობაში, რომელიც საზოგადოების ერთ ნაწილს დაუმორჩილებდა საზოგადოების მეორე ნაწილს. იმისათვის, რომ აიძულო საზოგადოების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სისტემატიურად იმუშაოს მეორე ნაწილისათვის, საჭიროა იძულების მუდმივი აპარატი. სანამ არ არსებობდნენ კლასები, არ იყო ასეთი აპარატიც. როცა აღმოცენდნენ კლასები, ყველგან და ყოველთვის ამ დაყოფის ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად აღმოცენდა განსაკუთრებული ინსტიტუტი - სახელმწიფო. სახელმწიფოს ფორმები უაღრესად მრავალფეროვანი იყო. მონათმფლობელობის პერიოდში მაშინდელ მოწინავე, კულტურულ, განათლებულ ქვეყნებში, მაგალითად საბერძნეთში და რომში, რომელთა საფუძველს შეადგენდა მონობა, ჩვენ უკვე ვხედავთ სახელმწიფოს მრავალფეროვან ფორმებს. მაშინ უკვე წარმოიშობა განსხვავება მონარქიასა და რესპუბლიკას შორის, არისტოკრატიასა და დემოკრატიას შორის. მონარქია წარმოადგენს ერთი პიროვნების ხელისუფლებას, რესპუბლიკა—ისეთი მმართველობას, რომელშიაც არ უნდა იყოს რაიმე აურჩეველი ხელისუფლება, არისტოკრატია—შედარებით უმნიშვნელო უმცირესობის ხელისუფლებას, დემოკრატია—ხალხის ხელისუფლებას (დემოკრატია სიტყვა-სიტყვით ბერძნულ ენაზე ნიშნავს ხალხის ხელისუფლებას). ეს განსხვავებანი წარმოიშვენ მონობის ეპოქაში. ამ განსხვავებათა მიუხედავად, მონათმფლობელობის ეპოქის დროინდელი სახელმწიფო იყო მონათმფლობელური სახელმწიფო, სულ ერთია, მონარქია იყო ეს, არისტოკრატიული რესპუბლიკა თუ დემოკრატიული რესპუბლიკა.

ძველი დროის ისტორიის ყოველ კურსში, როდესაც მოისმენთ ლექციას ამ საგნის შესახებ, თქვენ გაიგონებთ, რომ მონარქიულ და რესპუბლიკანურ სახელმწიფოს შორის სწარმოებდა ბრძოლა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მონები ადამიანებად არ ითვლებოდნენ, არა თუ მოქალაქეებად, არამედ ადამიანებადაც კი არ ითვლებოდნენ. რომის კანონს ნივთად მიაჩნდა ისინი. კანონი მკვლელობის შესახებ, ადამიანის პიროვნების დამცველ სხვა კანონებზე რომ არაფერი ვთქვათ, მონებს არ ეხებოდა, ის იცავდა მხოლოდ მონათმფლობელთ, როგორც ერთად-ერთ სრულუფლებიან მოქალაქეთ. თუ მონარქია დაარსდებოდა—ეს იყო მონათმფლობელური მონარქია, თუ რესპუბლიკა—ესეც იყო მონათმფლობელური რესპუბლიკა, ორივეში ყოველგვარი უფლებებით სარგებლობდნენ მონათმფლობელნი, მონები კი წარმოადგენდნენ ნივთს და კანონს არათუ ყოველგვარი ძალადობა მიაჩნდა დასაშვებად მათ წინააღმდეგ, არამედ მონის მოკვლაც კი დანაშაულად არ ითვლებოდა.

მონათმფლობელური რესპუბლიკა შინაგანი ორგანიზაციის მიხედვით ორნაირი იყო: არისტოკრატიული და დემოკრატიული. არისტოკრატიულ რესპუბლიკაში არჩევნებში მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის მცირე, პრივილეგიების მქონე, ნაწილი, დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი—ყველა, მაგრამ აქაც ყველა მონათმფლობელი, და არა მონა. ეს ძირითადი გარემოება მხედველობაში უნდა გვქონდეს, ვინაიდან ის განსაკუთრებით ჰფენს შუქს სახელმწიფოს საკითხს და ნათლად გვიჩვენებს სახელმწიფოს რაობას.

სახელმწიფო არის ის მანქანა, რომელი საშუალებითაც ერთი კლასი სჩაგრავს მეორეს, მანქანა, რომლის საშუალებითაც ერთი კლასი ყველა დანარჩენ კლასს იმორჩილებს. ამ მანქანის ფორმა სხვადასხვანაირია. მონათმფლობელური სახელმწიფო შეიძლება ყოფილიყო არისტოკრატიული რესპუბლიკა, ან დემოკრატიული რესპუბლიკაც კი, და მართლაც მართვა-გამგეობის ფორმები სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ შინაარსი ერთი და იგივე რჩებოდა: მონებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ და ჩაგრულ კლასად რჩებოდნენ, მათ ადამიანებად არ სცნობდნენ. ამასვე ვხედავთ ბატონყმურ სახელმწიფოებში.

ექსპლოატაციის ფორმის შეცვლით მონათმფლობელური სახელმწიფო ბატონყმურ სახელმწიფოდ იქცეოდა. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მონათმფლობელურ საზოგადოებაში მონა ყოველ უფლებას მოკლებული იყო. მას ადამიანად არ სცნობდნენ. ბატონყმურ საზოგადოებაში გლეხი მიმაგრებული იყო მიწაზე. ბატონყმური უფლების ძირითადი ნიშანი ის არის, რომ გლეხობა (მაშინ გლეხები უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ხოლო ქალაქის მოსახლეობა მეტად სუსტად იყო განვითარებული) მიმაგრებული იყო მიწაზე, ხოლო მიწა ეკუთვნოდა ბატონს, ამიტომ გლეხი ბატონის ყმა იყო,აქედან წარმოსდგა თვით ცნება —ბატონ-ყმობა. გლეხს განსაზღვრულ დღეებში შეეძლო ემუშავნა თავისთვის მიწის იმ ნაკვეთზე, რომელსაც მას მემამულე აძლევდა, ხოლო დანარჩენ დღეებში ბატონისათვის მუშაობდა. კლასობრივი საზოგადოების შინაარსი უცვლელი დარჩა: საზოგადოება კლასობრივ ექსპლოატაციას ეყრდნობოდა. სრულუფლებიანი მხოლოდ მემამულე იყო, გლეხი უუფლებოდ ითვლებოდა. გლეხების მდგომარეობა პრაქტიკულად მცირედ განსხვავდებოდა იმ მდგომარეობისაგან, რომელშიაც იყვნენ მონები მიწათმფლობელურ სახელმწიფოში. მაგრამ მაინც მათ განთავისუფლებას, გლეხების განთავისუფლებას, უფრო ფართო გზა ეხსნებოდა, ვინაიდან ყმა არ ითვლებოდა მემამულის სრულ საკუთრებად. მას შეეძლო ნაწილობრივ თავის მიწაზე ემუშავნა, რამდენადმე, ასე ვთქვათ, თავის თავს ეკუთვნოდა, ხოლო ბატონ-ყმობა, გაცვლა-გამოცვლისა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების მეტი შესაძლებლობის გამო, თანდათან უფრო ირღვეოდა, გლეხობის განთავისუფლების შესაძლებლობა თანდათან უფრო ფართოვდებოდა. ბატონყმური საზოგადოება ყოველთვის უფრო რთული იყო, ვიდრე მონათმფლობელური საზოგადოება. ბატონ-ყმურ საზოგადოებაში მეტი იყო ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების ელემენტი, რაც მაშინ კაპიტალიზმს უმზადებდა ნიადაგს. საშუალო საუკუნეებში ბატონ-ყმობა წარმოადგენდა საზოგადოებრივი ურთიერთობის მთავარ ფორმას. სახელმწიფოს ფორმები სხვადასხვანაირი იყო, იყო მონარქიაც და რესპუბლიკაც (თუმცა უფრო სუსტად გამოსახული) მაგრამ გაბატონებულნი ყოველთვის იყვნენ მხოლოდ მემამულენი-ბატონები. ყმები მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებას.

მონობის და ბატონ-ყმობის დროს უმნიშვნელო უმცირესობის ბატონობა მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობაზე შეუძლებელია იძულების გარეშე. ჩაგრული კლასები განუწყვეტლივ სცდილობენ მჩაგვრელთა დამხობას. მონობის ისტორიას ახსოვს ისეთი ომები, რომლებიც რამდენიმე ათი წლის განმავლობაში გრძელდებოდნენ მონობისაგან განთავისუფლებისათვის. სხვათაშორის, სახელი „სპარტაკელები", რომელიც ეხლა დაირქვეს გერმანიის კომუნისტებმა, როგორც ერთად-ერთმა ღირსმა პარტიამ, რომელიც ნამდვილად იბრძვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ, წარმოსდგა იქიდან, რომ სპარტაკი იყო მონების ერთ-ერთი უდიდესი აჯანყების უდიდესი გმირი. ეს აჯანყება მოხდა ამ 2.000 წლის წინად, როდესაც მონები სპარტაკის ხელმძღვანელობით აჯანყდნენ, შექმნეს უდიდესი არმია და რამდენიმე წლის განმავლობაში არყევდნენ თითქოს ყოვლის შემძლე რომის იმპერიას, რომელიც მთლად მონობაზე იყო დამყარებული. ბოლოს ისინი დამარცხდნენ, მონათმფლობელებმა შეიპყრეს, აწამეს და ამოსწყვიტეს მათი უმრავლესობა. ეს სამოქალაქო ომები არ მოსპობილა მონათმფლობელობის მთელი ისტორიის განმავლობაში. ეს ომები არ მოსპობილა კლასობრივი საზოგადოების არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში.

ეხლა მე მოგიყვანეთ მონათმფლობელობის ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი სამოქალაქო ომის მაგალითი. მთელი ბატონ-ყმობის ეპოქა სავსეა უმთავრესად გლეხების აჯანყებებით. მაგალითად, გერმანიაში, საშუალო საუკუნეებში ბრძოლა მემამულეებსა და ყმებს შორის მეტად გაფართოვდა და გადაიქცა სამოქალაქო ომად მემამულეების წინააღმდეგ. ყველას მოგეხსენებათ, რომ გლეხების ასეთსავე აჯანყებებს მემამულეების წინააღმდეგ ხშირად ჰქონდა ადგილი რუსეთშიაც.

თავისი ბატონებისა და ხელისუფლების შესანარჩუნებლად მემამულეს ესაჭიროებოდა ისეთი აპარატი, რომელიც მის მორჩილად გახდიდა ხალხის უდიდეს უმრავლესობას. ეს უმრავლესობა უნდა დამორჩილებოდა განსაზღვრულ კანონებსა და წესებს, ხოლო ამ კანონების დანიშნულება იყო—განემტკიცებინათ მემამულეს ბატონობა ყმაზე. ეს იყო ბატონ-ყმური სახელმწიფო. ეს სახელმწიფო ან რესპუბლიკანური იყო ან მონარქიული. როდესაც სახელმწიფო მონარქიული იყო, მაშინ ხელისუფლება ეკუთვნოდა ერთ პიროვნებას, ხოლო როდესაც სახელმწიფო რესპუბლიკანური იყო, მართვა-გამგეობაში მეტად თუ ნაკლებად მონაწილეობას იღებდნენ მემამულეთა წარმომადგენელნი. ბატონ-ყმური საზოგადოება წარმოადგენდა კლასთა ისეთ დანაწილებას, როდესაც უდიდესი უმრავლესობა—გლეხობა — სავსებით დამოკიდებული იყო მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობაზე, მემამულეებზე, რომელნიც მიწას ფლობდნენ.

ვაჭრობის საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ გამოიწვია ახალი კლასის - კაპიტალისტების წარმოშობა. კაპიტალი წარმოიშვა საშუალო საუკუნეების დამლევს, როდესაც მსოფლიო ვაჭრობა ამერიკის აღმოჩენის შემდეგ უაღრესად განვითარდა, როდესაც გადიდდა ძვირფასი ლითონების რაოდენობა, როდესაც ვერცხლი და ოქრო გაცვლა-გამოცვლის საგნად გადაიქცა, როდესაც ფულის ბრუნვით შესაძლებელი გახდა უდიდესი სიმდიდრის ერთ ხელში მოქცევა. ვერცხლსა და ოქროს სიმდიდრედ სცნობდნენ მთელს მსოფლიოში. ეცემოდა მემამულეთა კლასის ეკონომიური ძალა, ვითარდებოდა ახალი კლასის —კაპიტალისტების ძალა. საზოგადოების გარდაქმნა ისე სწარმოებდა, რომ ყველა მოქალაქე თითქოს თანასწორი უნდა გამხდარიყო, მნიშვნელობა ეკარგებოდა ძველ დანაწილებას (მონათმფლობელნი და მონები) და ყველა თანასწორი ხდებოდა კანონის წინაშე. დამოუკიდებლად იმისა, თუ რა კაპიტალი აქვს ყოველ ადამიანს— მიწას ფლობს კერძო საკუთრების პირობებში,თუ არაფერი არ აბადია საკუთარი მარჯვენის გარდა, ყველა თანასწორია კანონის წინაშე. კანონი, თანაბრად იცავს ყველას, ვისაც კი საკუთრება აქვს, იმ მასისაგან, რომელსაც არა აქვს საკუთრება, არაფერი არ აბადია, საკუთარი მარჯვენის გარდა, და რომელიც თანდათან ღატაკდება და პროლეტარებად იქცევა. ასეთია კაპიტალისტური საზოგადოება. ამაზე მე დაწვრილებით ვერ შევჩერდები. ამ საკითხს თქვენ კიდევ დაუბრუნდებით, როდესაც გექნებათ საუბარი პარტიის პროგრამის შესახებ და მოისმენთ კაპიტალისტური საზოგადოების დახასიათებას. ამ საზოგადოებამ გაილაშქრა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ თავისუფლების ლოზუნგით. მაგრამ ეს იყო თავისუფლება იმისათვის, ვისაც საკუთრება ჰქონდა. როდესაც ბატონ-ყმობა დაემხო, რაც მოხდა მე-18 საუკუნის დამლევს და მე - 19 საუკუნის დამდეგს (რუსეთში ეს სხვა ქვეყნებზე გვიან მოხდა, 1861 წელს), მაშინ ბატონ-ყმური სახელმწიფო შეიცვალა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ, რომელიც თავის ლოზუნგად აყენებს საყოველთაო განთავისუფლებას. კაპიტალისტური სახელმწიფო ამბობს, რომ იგი მთელი ხალხის სურვილებს გამოხატავს, უარჰყოფს, რომ იგი კლასობრივ საზოგადოებას წარმოადგენს. აი აქ სოციალისტებსა (რომელნიც მთელი ხალხის თავისუფლებისათვის იბრძვიან) და კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის იწყება ბრძოლა, რომელსაც ამჟამად შედეგად მოჰყვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა. ეს ბრძოლა ამჟამად მთელ დედამიწას ედება.

იმისათვის, რომ გავიგოთ ის ბრძოლა, რომელიც დაიწყო მსოფლიო კაპიტალმა, რომ გავიგოთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს რაობა, უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფო ბატონ-ყმურ სახელმწიფოს წინააღმდეგ ილაშქრებდა, მისი ლოზუნგი იყო: თავისუფლება, ბატონ-ყმობის გაუქმება კაპიტალისტურ სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის მოასწავებდა თავისუფლებას და სამსახურს უწევდა მათ იმდენათ, რამდენადაც ბატონ-ყმობა ირღვეოდა, გლეხებს საშუალება ეძლეოდათ სრულ საკუთრებად ჰქონოდათ ის მიწა, რომელიც შეიძინეს გამოსყიდვით ან ბეგარის ნაწილით (ამას სახელმწიფო ყურადღებას არ აქცევდა, ის იცავდა საკუთრებას, რა გზითაც არ უნდა ყოფილიყო წარმოშობილი ეს საკუთრება, ვინაიდან სახელმწიფო კერძო საკუთრებაზე იყო დაფუძნებული), გლეხები კერძო მესაკუთრეებად ხდებოდნენ ყველა თანამედროვე განათლებულ სახელმწიფოში. სახელმწიფო იცავდა კერძო საკუთრებას, ხოლო იქ, სადაც მემამულე მიწის ნაწილს გლეხს აძლევდა, სახელმწიფო აჯილდოვებდა მას გამოსყიდვით, ე. ი. გლეხს ახდევინებდა ფულს მიწაში. სახელმწიფო თითქოს აცხადებდა—სრულ კერძო საკუთრებას დავიცავო, ამიტომ ყოველნაირად ეხმარებოდა და ესარჩლებოდა საკუთრებას. სახელმწიფო სცნობდა ამ საკუთრებას ყოველი ვაჭრისთვის, მრეწველისთვის, მექარხნისთვის. და ეს საზოგადოება, რომელიც დამყარებული იყო კერძო საკუთრებაზე და კაპიტალის ბატონობაზე, ყველა არამქონეს სრულ დამორჩილებაზე, მუშებისა და მშრომელი გლეხების დამორჩილებაზე, ეს საზოგადოება, აცხადებდა, რომ იგი გაბატონებულია თავისუფლების საფუძველზე. იგი იბრძოდა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, მან საკუთრება თავისუფლად გამოაცხადა და განსაკუთრებით ამაყობდა იმით, თითქოს სახელმწიფომ კლასობრივი ხასიათი დაჰკარგა.

სახელმწიფო მაინც კვლავ დარჩა ისეთ მანქანად, რომელიც ეხმარებოდა კაპიტალისტებს იყოლიონ მონობაში ულარიბესი გლეხობა და მუშათა კლასი. მაგრამ გარეგნულად იგი თავისუფალი იყო. იგი აცხადებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას, თავისი მომხრეების მოქადაგეების, მეცნიერების და ფილოსოფოსების პირით აცხადებს, რომ ეს სახელმწიფო არაკლასობრივია. ეხლაც კი, როცა მის წინააღმდეგ დაიწყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბრძოლა, ისინი ბრალს გვდებენ, თითქოს ჩვენ ვაშენებთ იძულებაზე დამყარებულ სახელმწიფოს, ხოლო ისინი წარმოადგენენ სახალხო, დემოლიტიკურ საკითხს, თანამედროვე ხანისლა, როცა სოციალისტური რევოლიუცია დაიწყო მთელ მსოფლიოში, როცა რევოლიუციამ გაიმარჯვა ზოგიერთ ქვეყანაში, როცა განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა მსოფლიო კაპიტალიზმთან, სახელმწიფოს საკითხს უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა, იგი, შეიძლება ითქვას, გადაიქცა ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხად, ყველა პოლიტიკური საკითხის, თანამედროვე ხანის ყველა პოლიტიკური დავის ფოკუსად.

რომელი პოლიტიკური პარტიაც არ უნდა ავიღოთ რუსეთში ან სხვა უფრო კულტურულ ქვეყანაში, თითქმის ყველა პოლიტიკური დავა და აზრთა განსხვავება ეხლა ტრიალებს სახელმწიფოს ცნების ირგვლივ: არის თუ არა სახელმწიფო კაპიტალისტურ ქვეყანაში, დემოკრატიულ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის შვეიცარია ან ამერიკა, არის თუ არა სახელმწიფო ყველაზე უფრო თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხალხის ნებისყოფის, საერთო - სახალხო გადაწყვეტილების გამომხატველი, ეროვნული ნებისყოფის გამომხატველი, თუ სახელმწიფო არის ისეთი მანქანა, რომლის საშუალებითაც იქაურ კაპიტალისტებს შეუძლიათ მორჩილებაში იყოლიონ მუშები და გლეხები. ეს არის ძირითადი საკითხი, რომლის ირგვლივაც ამჟამად მთელ მსოფლიოში სწარმოებს პოლიტიკური დავა.

რას ამბობენ ბოლშევიზმის შესახებ? ბურჟუაზიული პრესა აგინებს ბოლშევიკებს. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ გაზეთს, რომელიც არ იმეორებდეს იმ ცნობილ ბრალდებას ბოლშევიკების წინააღმდეგ, ვითომ ისინი ხალხის ბატონობის დამრღვევლები არიანო. თუ ჩვენი მენშევიკები და სოციალისტ-რევოლიუციონერები გულუბრყვილოდ (შეიძლება არა გულუბრყვილოდაც, ან იქნებ ეს ისეთი გულუბრყვილობაა, რომელზედაც ნათქვამია, რომ იგი ქურდობაზე უარესიაო) ფიქრობენ, რომ მათ აღმოაჩინეს ბოლშევიკების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება ხალხის თავისუფლებისა და ბატონობის დარღვევის შესახებ ისინი საშინლად სცდებიან.ამჟამად არ არსებობს უმდიდრესი ქვეყნების არც ერთი უმდიდრესი გაზეთი, რომელიც მილიონებს ხარჯავს მილიონი ეკზემპლიარების გასავრცელებლად, იგონებს ბურჟუაზიულ სიცრუეს, იმპერიალისტურ პოლიტიკას,— არ არსებობს, ვამბობ, არც ერთი გაზეთი, რომელსაც არ განემეორებინოს ბოლშევიზმის წინააღმდეგ იმ ბრალდებათა ძირითადი დებულებანი, რომ ამერიკა, ინგლისი, შვეიცარია ხალხის ბატონობაზეა დამყარებული მოწინავე სახელმწიფოებია, ხოლო ბოლშევიკური რესპუბლიკა ყაჩაღების რესპუბლიკაა, მან არ იცის თავისუფლება, ბოლშევიკებმა დაარღვიეს ხალხის ბატონობის იდეა და იქამდინაც კი მივიდნენ, რომ გარეკეს დამფუძნებელი კრებაო. ამ საშინელ ბრალდებებს ბოლშევიკების წინააღმდეგ იმეორებენ მთელ მსოფლიოში. ამ ბრალდებათა გამო ისმება კითხვა: რა არის სახელმწიფო. რომ გავიგოთ ეს ბრალდებანი, რომ სავსებით გავერკვეთ ამ ბრალდებებში, შეგნებულად მოვეკიდოთ მათ, გავერკვეთ არა მარტო ხმების მიხედვით, არამედ მტკიცე შეხედულება ვიქონიოთ, საჭიროა ნათლად შევიგნოთ, თუ რა არის სახელმწიფო. არსებობენ ყოველგვარი კაპიტალისტური სახელმწიფოები, არსებობენ მთელი მოძღვრებები, რომლებიც მათ დასაცავად წარმოიშვნენ. ომამდე. ამ საკითხის სწორი გადაწყვეტისათვის საჭიროა კრიტიკულად მოვეპყრათ ყველა ამ მოძღვრებას და შეხედულებას.

მე უკვე დაგისახელეთ ენგელსის თხზულება „სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ", რომელიც დახმარებას გაგიწევთ ამ საკითხის შესწავლაში. ამ თხზულებაში ნათქვამია, რომ ყოვე-

(გაგრძელება იხ. მე-3-ე გვერდზე)

---

5 წელი ილიჩის გარდაცვალების დღიდან

24 წლის წინათ, 1917 წლის დიდი ძლევამოსილი ოქტომბრის „გენერალური რეპეტიციის"—1905 წლის ოქტომბერ-დეკემბრის დიდი ამბების რიჟრაჟზე, 1905 წლის 9 იანვრის კვირა დღეს, რომანოვების [illegible] სამეფო გვარეულობის უკანასკნელმა წარმომადგენელმა ნიკოლოზ მე-II „ზამთრის სასახლის" წინ ტყვია დაუშინა, ასეულ ათას კაცისაგან შემდგარ დემონსტრაციას.

ნიკოლოზ მეორემ ტყვია-ყუმბარა დაუშინა და დახოცა ასეული და ათასეული შიშველ-ტიტველი, ჩვრებში გამოხვეული, მშიერი დარიბ-ღატაკი...

მაგრამ ამასთანავე ერთად სულელმა მხეცმა მეფემ ბოლო მოუღო მშრომელი ხალხის იმ გულუბრყვილობასა და შეუგნებლობას, რამაც ჩოქვით მიიყვანა იგი სისხლის მსმელის წინაშე.

გამოფხიზლდა ხალხი და მან მაღლა აღმართა თავისი დაკორძებული ხელები, მაგრამ უკვე არა მუდარისა და თხოვნისათვის, არა ჯვრებითა და საეკლესიო დროშა-ხატებით და არც ხუცების მეთაურობით...

მან მაგრად დაიჭირა ხელში რევოლიუციონური ბრძოლის წითელი [illegible] დროშა ილიჩისა და მისი პარტიის—ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით პირველი ცდის—1905 წლის „გენერალური რეპეტიციის" შემდეგ,—1917 წლის თებერვალ-მარტისა და ოქტომბერ-ნოემბრის დღეებში,—მუშა და გლეხმა ხალხმა საბოლოოდ დაამხო თვითმპყრობელი მეფისა, მემამულეებისა და ბიუროკრატების ხელისუფლებასთან ერთად ბურჟუაზიისა და მშრომელი ხალხის ყოველი ჯურის ექსპლოატატორების ხელისუფლებაც..

და შექმნა საბჭოების რევოლიუციონური ხელისუფლება, მშრომელ გლეხობასთან მჭიდროდ დაკავშირებული პროლეტარიატის დიქტატურის ხელისუფლება, ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით.

საბჭოების ამ ხელისუფლებას და დიდი საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ინტერესებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე თავდადებით ემსახურებოდა ჩვენი დიდი ლენინი და მას მუდამ მტკიცედ ეჭირა ხელში რევოლიუციის საჭე.

იგი ფიზიკურად მოშორდა ჩვენს რიგებს, ბოლშევიკ-კომუნისტების რიგებს 5 წლის წინათ—1924 წლის 21 იანვარს...

ჩვენს პარტიას და მსოფლიო რევოლიუციას მოაკლდა დიდი ბელადი...

მაგრამ ლენინის კვალს შეურყევლად და მტკიცედ მისდევს [illegible] კომპარტია (ბ) [illegible] შენებას ხელმძღვანელობს საბჭოთა სოციალისტური [illegible] შორის...

ლენინის ანდერძს ერთგულად იცავს დიდი კომინტერნი, რომელიც მისი უშუალო [illegible] ხელმძღვანელი მონაწილეობით შეიქმნა ძველი ძირგამპალი მე-II ინტერნაციონალის ნამსხვრევებისაგან და ახალი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ელემენტებისაგან; იგი დღეს ხელმძღვანელობს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის საქმეებს შრომისა და კაპიტალის უკანასკნელი ულმობელი გადამწყვეტი ბრძოლისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით...

ლენინიზმი არის ცოცხალი, საუკეთესო რევოლიუციონურ - იდეოლოგიური სიტყვა-მცნება, რევოლიუციონური მარქსიზმის გამოხატულება კაპიტალის ბატონობის აუცილებელი ისტორიული დამხობის ეპოქაში..

საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდი კავშირის მშრომელებთან ერთად, კომინტერნის—მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დიდი შტაბის ყველა კომპარტიის რიგები მებრძოლ საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად მტაცებლური, ყაჩაღურ-ბანდიტური კაპიტალიზმ-იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული მთელი მსოფლიოს კოლონიალური თუ ნახევრად კოლონიალური ხალხების მილიარდიან მოსახლეობასთან ერთად შეასრულებენ ილიჩის დიდ ანდერძს, შექმნიან სოციალიზმს საერთაშორისო პროლეტარიატისა და მთელი დაჩაგრული კაცობრიობის საერთო სამშობლოში—საბჭოთა კავშირში, სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის დახმარებით ფხიზლად დაიცავენ ამ მშენებლობას, ბოლოს მოუღებენ თეთრი ტერორის გამუდმებულ ყველა „სისხლიან კვირას", კაპიტალისტურ ქვეყნებში და კოლონიებში.

დღეს ჩვენ ვიგონებთ ამ დაუვიწყარ თარიღებს, მსოფლიოს მილიარდიანი დაჩაგრული მოსახლეობის დაუძლეველი რევოლიუციონური პროლეტარული შურისძიება [illegible] ჩვენ გულს და კიდევ ერთხელ ვამბობთ ხმამაღლა:

გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებლობას საბჭოთა კავშირში და საერთაშორისო ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლიუციას მთელს მსოფლიოში!

მიხა ცხაკაია.

ლი სახელმწიფო, სადაც არსებობს კერძო საკუთრება მიწაზე და საწარმოო საშუალებებზე, სადაც ბატონობს კაპიტალი, რაც უნდა დემოკრატიული იყოს ეს სახელმწიფო, იგი არის კაპიტალისტური სახელმწიფო, იგი არის მანქანა კაპიტალისტების ხელში, რომლის საშუალებითაც კაპიტალისტები იმორჩილებენ მუშათა კლასს და ღარიბ გლეხობას. ხოლო საყოველთაო საარჩევნო უფლება, დამფუძნებელი კრება, პარლამენტი, არის მხოლოდ ფორმა ერთგვარი თამასუქი, რომელიც სრულებით არ სცვლის საქმის არსებით მხარეს.

სახელმწიფოს ბატონობის ფორმა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. კაპიტალი ერთნაირად იჩენს თავის ძალას იქ სადაც არის ერთი ფორმა, შეიძლება იქ, სადაც არის სხვანაირი ფორმა, მაგრამ არსებითად ხელისუფლება კაპიტალის ხელში რჩება: არის საცენზო უფლება თუ სხვაგვარი უფლება, არის დემოკრატიული რესპუბლიკა თუ სხვაგვარი რესპუბლიკა, მაინც კაპიტალიზმი ბატონობს. მეტიც: რაც უფრო დემოკრატიულია რესპუბლიკა, მით უფრო უხეში და ცინიკურია კაპიტალიზმის ეს ბატონობა. ერთ-ერთი ყველაზე უფრო დემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოში არის ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა, და კაპიტალის ბატონობა, ერთი მუჭა მილიარდერების ბატონობა არსად არ იჩენს თავს ისე, უხეშად, როგორც ამ ქვეყანაში (ვინც იქ ყოფილა 1905 წლის შემდეგ, მას ალბად აქვს წარმოდგენა ამაზე) სადაც არსებობს კაპიტალი, ის ბატონობს მთელ საზოგადოებაზე. საქმეს არ სცვლის არავითარი დემოკრატიული რესპუბლიკა, არავითარი საარჩევნო უფლება.

დემოკრატიული რესპუბლიკა, საყოველთაო საარჩევნო უფლება, ბატონყმურ წყობილებასთან შედარებით, უდიდესი პროგრესი იყო. მათ შეაძლებინეს პროლეტარიატს—მიეღწია იმ გაერთიანებისათვის, იმ შემჭიდროებისათვის, რომელიც მას აქვს, შეექმნა ის მწყობრი, დისციპლინით აღჭურვილი რიგები, რომლებიც სისტემატიურად ებრძვიან კაპიტალს. არაფერი ამისი მსგავსი არა ჰქონიათ ყმა გლეხებს, რასაკვირველია ზედმეტია ლაპარაკი მონებზე. მონები, როგორც ვიცით, აჯანყდებოდნენ, აჯანყებებს, იწყებდნენ სამოქალაქო ომებს, მაგრამ მონებმა ვერასოდეს ვერ შექმნეს შეგნებული უმრავლესობა, ვერ შექმნეს ბრძოლის ხელმძღვანელი პარტია, ნათლად ვერ შეიგნეს თავიანთი მიზანი. ისტორიის უაღრესად რევოლიუციონურ მომენტებშიაც კი ისინი ყოველთვის პაიკებს წარმოადგენდნენ გაბატონებული კლასების ხელში. საზოგადოების მსოფლიო განვითარების თვალსაზრისით, ბურჟუაზიული რესპუბლიკა, პარლამენტი, საყოველთაო საარჩევნო უფლება უდიდეს პროგრესს წარმოადგენს. კაცობრიობა კაპიტალიზმისაკენ მიიმართოდა და, ქალაქის კულტურის წყალობით, მხოლოდ კაპიტალიზმის დახმარებით შეიცნო თავისი თავი პროლეტარების დაჩაგრულმა კლასმა. მხოლოდ კაპიტალიზმის დახმარებით შექმნა მან ის მსოფლიო მუშათა მოძრაობა, მუშების ის მილიონები, რომლებიც მთელ მსოფლიოში პარტიებად არიან დარაზმულნი, ის სოციალისტური პარტიები, რომლებიც შეგნებულად ხელმძღვანელობენ მასების ბრძოლას.

პარლამენტარიზმს, არჩევნების გარეშე მუშათა კლასის ეს განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ ყოველმავე ამან ხალხის უფართოესი მასების თვალში ესოდენ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა;; ამიტომ არის, რომ გარდატეხა ასეთ ძნელ საქმედ მოგვაჩნია.

მარტო შეგნებული პირმოთნენი, მეცნიერები და ხუცები კი არ უჭერენ მხარს და მარტო ისინი კი არ იცავენ იმ ბურჟუაზიულ სიყალბეს, რომ სახელმწიფო თავისუფალია და ყველას ინტერესებს იცავსო; ასე იქცევიან ხალხის მასებიც, რომლებიც გულწრფელად იმეორებენ ძველ ყალბ აზრებს, რომელთაც არ შეუძლიათ შეიგნონ ძველი კაპიტალისტური საზოგადოებიდან გადასვლა სოციალიზმში. მარტო ისინი კი არა, რომლებიც პირდაპირ არიან დამოკიდებულნი ბურჟუაზიაზე, მარტო ისინი კი არა, რომლებიც კაპიტალის უღელში არიან შებმულნი ან კაპიტალის მიერ არიან დაქირავებულნი, არამედ ისინიც ვინც ბურჟუაზიული თავისუფლების ამა თუ იმ სიყალბის გავლენას განიცდიან, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ამხედრდნენ მთელ მსოფლიოში იმის გამო, რომ საბჭოთა რესპუბლიკამ პირველ დღეებშივე უკუაგდო ბურჟუაზიული სიყალბე და აშკარად განაცხადა: თქვენს სახელმწიფოს თავისუფალს უწოდებთ. მაგრამ ნამდვილად, ვიდრე კერძო საკუთრება არსებობს, თუნდაც თქვენი სახელმწიფო დემოკრატიული რესპუბლიკა იყოს, იგი კაპიტალისტების ხელში მხოლოდ მუშების დასათრგუნავ მანქანას წარმოადგენს. რაც უფრო თავისუფალია სახელმწიფო, მით უფრო მკაფიოდ მოსჩანს ეს თვისება. ამის მაგალითია შვეიცარია-ევროპაში; შეერთებული შტატები ამერიკაში.

კაპიტალი ისე ცინიკურად დაუბრკოლებლად არსად ბატონობს, როგორც სწორედ ამ ქვეყნებში, ასე თვალსაჩინოდ არსად არ მოსჩანს ეს ბატონობა, როგორც ამ ქვეყნებში, თუმცა ეს ქვეყნები დემოკრატიული რესპუბლიკებია, ფერუმარილით არიან შელამაზებულნი და იქ სიტყვები გაისმის შრომელი დემოკრატიისა და ყველა მოქალაქის თანასწორობის შესახებ. ნამდვილად შვეიცარიისა და ამერიკაში კაპიტალია გაბატონებული და მუშების ყოველგვარ ცდას, რომ თავიანთი მდგომარეობა რაოდენადმე სერიოზულად გააუმჯობესონ—მაშინვე სამოქალაქო ომი ელობება წინ.

ამ ქვეყნებში ნაკლებად მუდმივი ჯარია, შვეიცარიაში არსებობს მილიცია და ყოველ შვეიცარელს თავის სახლში თოფი აქვს. ამერიკაში უკანასკნელ დრომდე მუდმივი ჯარი არ არსებობდა. ამიტომ, როცა კი გაფიცვა იწყება, ბურჟუაზია იარაღს ისხამს, ქირაობს ჯარისკაცებს და სპობს გაფიცვას. მუშათა მოძრაობას ისე ულმობელი მკაცრაობით არსად არ აქრობენ, როგორც შვეიცარიასა და ამერიკაში, არსად პარლამენტში ისე მძლავრად არ იჩენს თავს კაპიტალის გავლენა, როგორც სწორედ იქ. კაპიტალის ძალა—ყველაფერია, ბირჟა—ყველაფერია, ხოლო პარლამენტი და არჩევნები—სათამაშო ბურთი და ტიკინებია. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტად ეხილებათ თვალი მუშებს. მით უფრო ფართოდ ვრცელდება საბჭოთა ხელისუფლების იდეა, მეტადრე უკანასკნელი ხოცვა-ჟლეტის დროს, რომლის მოწმენი ჩვენ ახლახან ვიყავით. მუშათა კლასისათვის უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ საჭიროა ულმობელი ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ.

რა სახის ნიღაბიც არ უნდა ეხუროს სახელმწიფოს, თუნდაც ეს იყოს უაღრესად დემოკრატიული რესპუბლიკა, იგი იქნება ერთის მიერ მეორის დასაჩაგრავი მანქანა, თუ სახელმწიფო ბურჟუაზიულია, თუ იქ დარჩა მიწის, ქარხნების, ფაბრიკების კერძო საკუთრება და თუ კერძო კაპიტალს დაქირავებულ მონად ჰყავს მთელი საზოგადოება, ე. ი., თუ იქ არ სრულდება ის, რასაც აცხადებს ჩვენი პარტიის პროგრამა და საბჭოთა კონსტიტუცია.

ჩვენ ამ მანქანას ავალებინებთ ხელში იმ კლასს, რომელმაც უნდა დაამხოს კაპიტალის ბატონობა. ჩვენ უკუვაგდებთ ყველა ძველ ყალბ შეხედულებას ვითომ სახელმწიფო საყოველთაო თანასწორობა შეუძლებელია. მემამულე არსებობს ექსპლოატაცია, მანამდე თანასწორობა შეუძლებელია. მემამულე მუშის თანასწორი ვერ იქნება, მშიერი—მაძღარი კაცისა. იმ მანქანას, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება, რომლის წინაშე ადამიანი ცრუმორწმუნეობით მოწიწებით ჩერდება და სჯერა ძველი ზღაპარი, რომ ეს საყოველთაო სახალხო ხელისუფლება არისო,—ამ მანქანას პროლეტარიატი ხელს ჰკრავს და ამბობს—ეს ბურჟუაზიული სიცრუეაო. ჩვენ ეს მანქანა კაპიტალისტებს წავართვით, ჩვენთვის დავეუფლეთ მას. ამ მანქანით ან კეტით ჩვენ გავანადგურებთ ყოველგვარ ექსპლოატაციას. მაშინ ქვეყნიერებაზე შეუძლებელი გახდება ექსპლოატაცია, აღარ იქნებიან მიწისმფლობელნი, ფაბრიკების მფლობელნი; აღარ იქნება ისეთი მდგომარეობა, რომ ზოგნი ყელამდე გამაძღარნი იყვნენ, ზოგნი კი მშიერნი. როცა ყოველივე ეს მოისპობა, ამ მანქანას დავამსხვრევთ, მაშინ აღარ იარსებებს სახელმწიფო, აღარ იქნება ექსპლოატაცია. აი ჩვენი კომუნისტური პარტიის თვალსაზრისი. იმედია, რომ ამ საკითხს შემდეგ ლექციებში არა ერთხელ დავუბრუნდებით.

საბჭოების საანგარიშო კამპანია

საანგარიშო კამპანია ზუგდიდის მაზრაში ძალზე სუსტად მიმდინარეობს.—ზუგდიდის და აბასთუმანის თემებში ანგარიშების ჩაბარება ჯერ არ დაწყებულა.—ცაიშის თემში საანგარიშო კრებებს დაესწრო ამომრჩეველთა მხოლოდ 35 პროცენტი.—კომუნისტები და კომკავშირელები გულგრილობას იჩენენ საარჩევნო კამპანიაში.—ახალქალაქის მაზრაში ღარიბი გლეხობა კულაკების და ბეგების გავლენას ემორჩილება.—კახეთის მაზრის მთა-გორიან ადგილებში 18 იანვარს დაიწყო საბჭოთა არჩევნები.

კლასობრივი ბრძოლა სოფლად და ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა

(გამოკვლევის მასალებიდან)

ყველა ცნობა მოწმობს, რომ სოფლად კლასობრივი ბრძოლა მძაფრდება. ღარიბი გლეხები დიდ აქტიობას იჩენენ იქ, სადაც მცირეოდენი მუშაობა მაინც სწარმოებს მათ შორის, არც კულაკს სძინავს. ის არავითარ საშუალებას არ ზოგავს, ოღონდ თავის მიზანს მიაღწიოს. მაგრამ მთელ რიგ ადგილებში ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობა მოიკოჭლებს. სამხრეთ-ოსეთში, ქუთაისის და ოზურგეთის მაზრებში ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის არ დაუმუშავებიათ დირექტივა არჩევნების შესახებ, არ მოუწვევიათ არც ღარიბთა ჯგუფების სამაზრ. კონფერენციები და არც ღარიბთა ჯგუფების და ღარიბ გლეხთა სათემო კრებები. სენაკის, რაჭა-ლეჩხუმის, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში ჩატარდა ღარიბთა ჯგუფების სათემო კრებები და ღარიბ გლეხთა კრებები. ღარიბ გლეხთა კრებებზე 40-დან (ნახევარი) 100-დე პროცენტი (ლაშქეთი, ცაბი) ესწრებოდა. ასეთ კრებებზე და კონფერენციებზე ღარიბი გლეხობა დიდ აქტიობას იჩენდნენ. ისინი აშკარად ამხელდნენ კულაკებს და ცვლილებები შეჰქონდათ პარტორგანიზაციის და ლენინური კომკავშირის უჯრედების მიერ შედგენილ შავ სიებში.

ახალქალაქის მაზრაში, ღარიბ გლეხთა სამაზრო კონფერენციაზე სამი საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში ყველა დელეგატებმა მიიღეს მონაწილეობა და 62 შეკითხვა შეიტანეს. ღარიბი გლეხობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მიწადმოწყობის საკითხებს, სურსათის ნაკლებობას (სენაკი, რაჭა-ლეჩხუმი), სახელმწიფო დაზღვევის ნარჩენების აკრეფა (ეს ნარჩენები უმთავრესად შეძლებულებს არ გადაუხდიათ), მევახშეების წინააღმდეგ ზომების მიღებას. ამ უკანასკნელთ ღარიბი გლეხები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სენაკის მაზრაში და ააშკარავებდნენ მათ ოინებს. ყოველ თემში ყოფილა 10—15 მევახშე და ჩარჩი. ისინი ეხლა ყიდულობენ ბაზარზე გამოტანილ მთელ სიმინდს და ინახავენ ზაფხულისათვის, როდესაც მოსალოდნელია სიმინდის ნაკლებობა. ამნაირად მათ სურთ ხელი მოითბონ ხალხის გაჭირვებაზე. ღარიბ გლეხთა კრებებზე თითქმის ყველგან მოითხოვენ საბჭოებიდან უვარგისი და უაქტივო ელემენტების გამორიცხვას.

საერთოდ ღარიბ გლეხთა შორის მუშაობას აშკარად ეჩნევა გაუმჯობესება და გაძლიერება.

მაგრამ ქვედა საფეხურის ზოგიერთ ცალკე ერთეულში დღემდე სათანადოთ არა აქვთ შეგნებული ღარიბი გლეხობის როლი. ჭრებალოში (რაჭა-ლეჩხუმი) ღარიბ გლეხთა კრებაზე ზოგიერთი კომუნისტი უნდობლობას გამოსთქვამდა კოლექტიურ მეურნეობებისადმი, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია უპარტიო ღარიბ გლეხთა შორის.

ზოგან სწორად ვერ გაუგიათ საარჩევნო ინსტრუქცია, ასე, მაგალითად, ვაჭრის და დიაკონის ცოლებისათვის ხმის უფლება მიუციათ იმ საფუძველზე, რომ ისინი კარგი დიასახლისები არიანო (ლაილაში, მექვენა). არ შეიძლება შემთხვევით აიხსნას ის გარემოება, რომ სენაკის სამაზრო აღმასკომს (და აფხაზეთს) დაავიწყდა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შეყვანა საარჩევნო კომისიებში.

ზოგიერთი ცნობის მიხედვით რამდენიმე მაზრაში (სენაკის, ოზურგეთის, რაჭა-ლეჩხუმის) კულაკები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები ჯერჯერობით თითქოს დიდ აქტიობას არ იჩენენ. როგორც სჩანს, ამხანაგები სათანადო ყურადღებით ვერ ადევნებენ თვალს იმ მოვლენებს, რომლებიც სოფლად ხდება, ამაში ერთგვარი არასწორი გეზი სჩანს. მაზრ. მიღებული ცნობები კი ასე ოპტიმისტური არაა (კახეთი, გორისა, ახალციხე, ახალქალაქი) ამ მაზრებში კულაკები გაძლიერებულ ბრძოლას აწარმოებენ. კულაკები და მათი დამქაშები ძალიან აქტიურად გამოდიან (აფხაზეთი, ახალქალაქი) და ყოველ ზომას იღებენ იმისათვის, რომ საარჩევნო კომისიაში გაძვრენ და ხმის უფლება მიიღონ.

ხსენებულ რაიონებში კულაკები უმასპინძლდებიან საბჭოს ზოგიერთ წევრებს და ზოგიერთ კომუნისტებსაც კი და ცდილობდნენ მათ მომხრობას, რისთვისაც სხვადასხვა „საჩუქრებს“ უგზავნიან მათ (ახალქალაქი, კრასნი მაიაკი).

მრავალი სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლება, მაგრამ ესეც საკმაოა. სწორედ კულაკთან ბრძოლის საჭიროების შეუფასებლობაა ის, რომ ზოგიერთი ამხანაგი ასეთ მაგალითებს ვერ ამჩნევს.

საარჩევნო კამპანიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ წინაა. არა მარტო საარჩევნო კომისიებმა, არამედ საზოგადოებრივმა და სახელმწიფო ორგანიზაციებმა უფრო ენერგ. უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი და მაქსიმალური ღონისძიებები მიიღონ იმისათვის, რომ არჩევნებში ჩააბან მუშათა ღარიბ გლეხთა, მოჯამაგირეთა და მშრომელ ქალთა მასები.

ლენინის მიწერ-მოწერის აღმოჩენა

ოდესა, 19 იან. სახალხო ისტორიულმა არქივმა ოდესის ოხრანკის არქივებში აღმოაჩინა მიწერ-მოწერა ლენინსა და ოდესელ პარტმუშაკებს შორის. მიწერ-მოწერის ასლი გადაუღია ოხრანკას. მიწერ-მოწერაში, სხვათა შორის არის ლენინის წერილი რომელიც პარიზიდან გამოუგზავნია ლევიცკისათვის (ოსიპი) 1904 წლის 21 ოქტომბერს, ლევიცკი (ოსიპი) მაშინ ხელმძღვანელობდა ოდესის პარტორგანიზაციას. წერილში ილიჩი აცნობებს ლევიცკის, რომ ახლო მომავალში გამოვა უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს ორგანო „ვპერიოდ“-ი და იქვე მთელ რიგ დირექტივებს აძლევს ოდესის კომიტეტს ბოლშევიკების ძალების დარაზმვის შესახებ „ვპერიოდ“-ის ირგვლივ.

აღმოჩენილია აგრეთვე ლენინის მიერ ნიურენბერგიდან ოდესაში გამოგზავნილი წერილი 1904 წლის 7 თებერვლის თარიღით. ამ წერილში, რომლის ასლი გადაუღიათ ოხრანკის აგენტებს, ლენინი შვეიცარიაში სამუშაოდ იწვევს ბოლშევიკებს სამხრეთის ბიუროს წევრს ესენს.

აღმოჩენილ მასალებში არის აგრეთვე გუსევის წერილი, რომელიც მას ლენინისათვის გაუგზავნია მიუნხენში. ამ წერილის ასლიც გადაუღია ოხრანკას. თავის წერილში გუსევი ინფორმაციას აწვდის ლენინს ხერსონის, ტაგანროგის, როსტოვის, ოდესის და სამხრეთის სხვა ბოლშევიკური ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ.

აღმოჩენილია აგრეთვე ლენინისა და კრუპსკაიას მიწერ-მოწერა ოდესის ორგანიზაციასთან. ეს მიწერ-მოწერა ეკუთვნის პარტიის მე-3 ყრილობისათვის მზადების პერიოდს. დოკუმენტები გაიგზავნა ლენინის ინსტიტუტში.

ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს

(თბილისის საბჭო ამომრჩევლთა წინაშე)

პოლიგრაფტრესტის მე-4 სტამბაში

პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ნიშანოვის მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. საანგარიშო ხნის განმავლობაში — ამბობს მომხსენებელი — თბილისის საბჭომ გამოაცოცხლა მასიური მუშაობა; მუშათა ფართე მასები ჩაბმულ იქნენ საბჭოს ყოველდღიურ მუშაობაში და სხვ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა უმთავრესად აღნიშნეს შემდეგი ნაკლოვანებები: „არ მარტო მუშაობა გაძლიერება თბილისში, უნდა მაზრასაც მივხედოთ და მივაქციოთ დიდი ყურადღება მის კეთილმოწყობის საქმეს; გზების გაყვანას, სასკოლო მშენებლობის გაუმჯობესებას, კოხ - სამკითხველოების ქსელის გაფართოებას და სხვ. საშეფო მუშაობას ხშირად დიდათ აფერხებს უგზოობა. თბილისის განაპირა უბნებში კანალიზაციის გაყვანის დროს დაუდევრობას აქვს ადგილი, ზოგჯერ აგებენ ქვაფენილს და მის შემდეგ გაჰყავთ კანალიზაცია.

უმუშევართათვის საქმიო დახმარება მეტად გაძნელებულია და ზოგჯერ სრულიადაც არ ეძლევათ ასეთი დახმარებები. ზოგიერთი შენობების აგებას რამდენიმე წელიწადს უნდებიან, ახლად აშენებულ ბინებში ხშირად ისეთ მუშებს ასახლებენ, რომლებიც კარგ ჯამაგირებს იღებენ. უნდა მიღებულ იქნეს ზომები, რათა ახლად აგებულ-ბინებში ჩასახლებულ იქნენ ისეთი მუშები, რომლებიც მცირე ხელფასს იღებენ. უნდა გაზარდოს საბავშვო ბაღების ქსელი მუშათა უბნებში. ბოლოს კრებამ თბილისის საბჭოს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

„ტრიკოტაჟი“-ს ფაბრიკაში

ამ დღეებში მოწვეულ იქნა თბილისის სატრიკოტაჟო ქარხნის და ებრაელთა კოოპერატივის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა დელეგატ ქალის ამხ. შალამიანის მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევებისა საბჭოს მუშაობაში.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნავდნენ მთელ რიგ უარყოფით მხარეს თბილისის საბჭოს მუშაობაში. საბინაო მშენებლობა ამხანაგთა აზრით მართალია ინტენსიურად მიმდინარეობს, მაგრამ ბინები მეტის-მეტად გამოუყენებელია მათი სივიწროვის, სიბნელის და სხვა დეფექტების გამო. ასევე მოუწესრიგებელია „თელასის“-ის მუშაობა. საჭიროა ხანგრძლივი ცდა, რომ გველირსოს სინათლით სარგებლობა. ამხანაგებს აინტერესებთ, თუ რა მოსაზრებით დაუბრუნდა პატრონებს მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები. საჭიროა ქალაქის კეთილმოწყობა მიზანშეწონილად და გეგმიანად ხდებოდეს. მუშა - მოსამსახურენი უკმაყოფილონი არიან მათ მიერ არჩეულ დელეგატისა, რომელიც მთელი სამუშაო წლის განმავლობაში ანგარიშს არ აბარებდა ამომრჩევლებს. მეტის-მეტად მოუწესრიგებელია თბილისის ტრამვაის მოძრაობა, რომლის გამოსწორება უნდა დაევალოს მომავალ საბჭოს. არის შემთხვევები, როდესაც ნ. კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებში ერთი და იგივე კაცი სამ-ოთხი წელი სწავლობს და საბოლოოდ არაფერი გამოდის. სკოლის ადმინისტრაცია კი ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს.

კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმივ აღნიშნავდნენ, რომ მომავალმა მაინც აღმოფხვრას საბჭოთა დაწესებულებებში ბიუროკრატიზმი. მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც თბ. საბჭოს მუშაობა, სავსებით დამაკმაყოფილებლად არის აღიარებული.

საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა შორის

ამ დღეებში საქ. პოლიტეხნიკ. ინსტიტუტში შესდგა სამთო დარგის სტუდენტთა გაფართოებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. საანგარიშო მოხსენებამ ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია სტუდენტთა შორის. მოწონებულ იქნა თბ. საბჭოს მუშაობა ქალაქის კეთილმოწყობის და სხვა დარგში და აგრეთვე მითითებულ იქნა სტუდენტთა იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომლებიც დღემდე არ არის მოგვარებული, მაგალითად, კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილებისა და ტრამვაის დირექციის მრავალი დაპირებისა, ტრამვაის ხაზი გაყვანილი არ არის ინსტიტუტის შენობამდე; საკმარისად არ არის განათებული შენობის ახლო მდებარე მიდამოები რაც ხელს უწყობს ბოროტმოქმედების გაზრდას. ერთ საჭირბოროტო საკითხთაგანი ბინის საკითხია—აღნიშნავს ერთი ორატორი. მართალია, რამდენიმე შენობა გადმოეცა ჩვენს განკარგულებაში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის პროვინციიდან ჩამოსულ მრავალ ღარიბ სტუდენტებისათვის.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რითაც საქ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტობა თბილისის საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნობს.

განათლების მუშაკთა შორის

17 იანვარს, ტრამვაის მუშათა კლუბში დღის პირველ საათზე, შესდგა განათლების მუშაკთა კავშირის პირველი უბნის ადგილკომში შემავალ წევრების საერთო კრება, რომელზედაც თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩერქეზიშვილის ქალმა.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 კაცმა.

ორატორები იწონებდნენ საბჭოს მიერ ჩატარებულ მუშაობას, მაგრამ ამასთანავე ერთად აღნიშნავდნენ, რომ საბჭოს, მიღწევებთან ერთად ჰქონდა მრავალი ნაკლიც. საბჭო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სკოლების კეთილმოწყობას, ბინები შენდება უგეგმოდ, განათლების მუშაკთა ბინებით უზრუნველყოფის საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცევა, უყურადღებოდაა დატოვებული აგრეთვე ქუჩის ბავშვები, ქურდ-ბაცაცობისა და მათხოვრების აღმოფხვრას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა და სხვ.

დასასრულ ორატორებმა შემოიტანეს მთელი უნდა იქნეს მე-7 მოწვევის თბილისის ლი უნდა იქნეს მე-7 მოწვევის თბილისის საბჭოთათვის წარსადგენ ნაკაზში.

ჭალარა.

საარჩევნო კამპანია ადგილებზე

(საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების მასალებიდან)

ახალქალაქის მაზრაში

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ ახალქალაქის მაზრაში მივლინებული ინსტრუქტორი ამხ. ნაბახტიანი ცაკის საორგანიზაციო განყოფილებას ატყობინებს:

— საანგარიშო კრებები მიმდინარეობს მაზრის ყველა თემებში. ხიზაბავრის თემში ადგილი აქვს კულაკების და ბეგების გავლენას ღარიბ გლეხობაზე. სოფ. თოკში ღარიბი გლეხები საანგარიშო კრებებზე ვერ ბედავდენ კულაკებისა და ბეგების წინააღმდეგ გალაშქრებას, რადგან ღარიბი გლეხობა იმყოფება კულაკური ელემენტების ეკონომიური გავლენის ქვეშ. არის შემთხვევები, როდესაც ღარიბი გლეხი ვერ ღებულობს სესხს ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობიდან და იგი სესხისათვის მიმართავს კულაკს.

სოფ. ხიზაბავრაში კულაკებს ზოგიერთი ღარიბი გლეხების გადასაბირებლად მიუციათ მათთვის სესხად ხორბლეული.

ქუთაისის მაზრაში

ქუთაისის მაზრიდან იტყობინებიან:

— იანეთის თემში გამოყოფილია 5 საარჩევნო უბანი. საანგარიშო კრებები ჩატარებულია ყველა უბნებში. ამომრჩეველთა რიცხვი მთელ თემში უდრის 1.349 კაცს. საანგარიშო კრებებს დაესწრო ამომრჩეველთა 60 პროცენტი. კრებებზე გამოცხადებას ხელს უშლიდა ცუდი ამინდი.

წითელი ხევის თემში ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 1946 კაცს. საანგარიშო კრებების ჩატარება დამთავრდა. კრებებს დაესწრო ამომრჩეველთა 75 პროცენტი.

ფოთში

ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ ფოთიდან მიიღო შემდეგი ცნობა:

— მთელი ქალაქი დაყოფილია 6 საარჩევნო უბნად. ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 1619 კაცს. საანგარიშო კრებები დიდის აქტიობით ტარდება. საბჭოს მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ორატორები მოითხოვენ, რომ მომავალმა საბჭომ ყურადღება მიაქციოს ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებს და მუშათა ბინების აღმშენებლობას.

ქალაქში საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა რიცხვი უდრის 345 კაცს.

არჩევნები მთა-გორიან ადგილებში.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიღებული ცნობებით, 18 იანვრიდან კახეთის მაზრის მთა-გორიან ადგილებში დაიწყო არჩევნები.

კახეთის სამაზრო საარჩევნო კომისიის მიერ გამომუშავებული საკალენდარო გეგმით 18 იანვარს არჩევნები ჩატარდა ჯოყოლის თემში, 20 იანვრისათვის არჩევნები დანიშნულია ახმეტის თემში.

22 იანვარს არჩევნები ჩატარდება ზემოალვანის თემში, 24 იანვარს ქვემოალვანის თემში, 26 იანვარს ზემო-ხოდაშენის თემში, 27 იანვარს თელავის თემის სოფ. თეთრ წყაროებში და 28 იანვარს ზემო-ქედის თემში.

ქვემო-ჭალის თემი

ქვემო-ჭალის თემი 86 საარჩევნო უბნად არის დაყოფილი. მიუხედავად ცუდი ამინდებისა, საანგარიშო კრებები წარმატებით ტარდება. ამომრჩეველთა დასწრება 70—75 პროცენტს უდრის. მოხსენების ირგვლივ კამათში გამოსული გლეხობა მთავარ ყურადღებას აქცევს გზების შეკეთებას, სკოლების ქსელის გაფართოებას, საექიმო და აგრო-პუნქტების დაარსებას, ტყით სარგებლობის საკითხს კოლექტიურ მეურნეობას, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაწილების საქმეს და სხვ. გლეხობა დიდ სურვილს გამოსთქვამს კოლმეურნეობებში გაერთიანებაზე და მოითხოვს კულაკების უფრო მეტად დაბეგვრას სას.-სამ. გადასახადებით. საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით თემში კულაკობა აქტივობას ვერ იჩენს.

ზ—ძე.

ერკეთის თემი

თემსაბჭო თავის დროზე შეუდგა სამზადისს. საარჩევნო კომისია გაეცნო ინსტრუქციას. კომისია მომუშავე სახელმძღვანელო გეგმა შეადგინა ამომრჩეველთა და ხმის უფლების მოკლებულთა სიები. ღარიბთა ჯგუფების კრებების ჩატარებამ კიდევ უფრო შეამჭიდროვა ისინი საარჩევნო კამპანიის ირგვლივ. აღმასკომმა დაამზადა საანგარიშო მოხსენება, რასაც ამ დღეებში გააცნობს ამომრჩევლებს. მუშა-მოსამსახურეთა და განსაკუთრებით მასწავლებლობის მონაწილეობა არჩევნების სამზადისში დიდია. ისინი ატარებენ საუბრებს ამომრჩევლებს შორის, ადგილობრივ კედლის გაზეთში თავსდება წერილები საბჭოს არჩევნების მნიშვნელობაზე და აგრეთვე აღმასკომის საანგარიშო მოხსენება. ქალთა ორგანიზაციაც აქტიურად ემზადება არჩევნებისათვის.

ია კობიძე.

საანგარიშო კამპანია ზუგდიდის მაზრაში

(გამოკვლევის მასალებიდან)

იანვრის პირველ რიცხვებში ცაკის რწმუნებულის მიერ გამოკვლეულ იქნა ზუგდიდის მაზრაში სამი თემი, რომლებიც მდებარეობენ ქალაქ ზუგდიდის მახლობლად. გამოკვლევის მიზანი იყო იმის შემოწმება, თუ რამდენად სრულდება საარჩევნო კამპანიის გეგმა. შემოწმებამ გამოააშკარავა უჯრედების მიერ სრული პასიურობა და უთქმელად დაუშვებელი უყურადღებობა საარჩევნო კამპანიისადმი.

გეგმის მიხედვით, აბასთუმანის თემში (15 კილომეტრით არის დაშორებული ზუგდიდიდან), 2 იანვარს უნდა შემდგარიყო საბჭოს სხდომა, მაგრამ დეპუტატების გამოუცხადებლობის გამო სხდომა ვერ შესდგა. გეგმით გათვალისწინებული იყო საანგარიშო კამპანიის დაწყება 4 იანვრიდან და უნდა დამთავრებულიყო 6 იანვარს. (თემი დაყოფილია 11 საარჩევნო უბნად), მაგრამ 2 იანვრისათვის უჯრედის მიერ ამ მიმართულებით არავითარი სამუშაო არ იყო შესრულებული. უჯრედს არ მოუსმენია საბჭოს ანგარიში და არ შეუდგენია განაწესის პროექტი, ხოლო სანამ ეს ანგარიში ამომრჩევლებამდე მიაღწევს, მან უნდა გაიაროს რამდენიმე საფეხური, რასაც მოუნდება არა ნაკლებ 10 დღე.

ზუგდიდის თემი იმყოფება ნახევარი კილომეტრის მანძილზე ქალაქიდან. ამ თემზე მიმაგრებულია მაზრის სამი მუშაკი. საანგარიშო კამპანია გეგმის მიხედვით უნდა ჩატარებულიყო 2-დან 5 იანვრამდე, მაგრამ ამ დროისათვის უჯრედის მუშაობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მან განიხილა ხმის უფლების ჩამორთმეულთა სიები, რომლებიც გადათვალიერება ხელახლა გახდა საჭირო. 5 იანვარს, საბჭოს, რამდენიმე უბნებიდან კიდევ არ ჰქონდა ამომრჩეველთა სიები. არც უჯრედში და არც სხვა ინსტანციებში არ იყო ჩატარებული საბჭოს საანგარიშო მოხსენება, არ არის შედგენილი განაწესი და ახლო მომავალში მის შედგენაზე არავინ ფიქრობს.

თემაღმასკომის თავმჯდომარის და უჯრედის მდივნის განცხადებით, კომუნისტები და კომკავშირელები ძალიან გულგრილად ეკიდებიან საბჭოების საარჩევნო კამპანიას, საბჭოს წევრები არ ცხადდებიან კრებებზე. რაც შეეხება სამ მიმაგრებულ ამხანაგს, კამპანიის დაწყებიდან დღემდე, მხოლოდ ერთი მათგანი გამოცხადდა და ისიც ერთხელ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შავი სიების შედგენაში და მეტი არაფერი გაუკეთებია.

როდესაც ცაკის რწმუნებულმა მოითხოვა 7 იანვარს მოეწვიათ უჯრედის სხდომა, გამოითქვა შიში, რომ შობის დღესასწაულის გამო უჯრედის წევრები არ დაესწრებოდნენ სხდომას.

ცაიშის თემში საანგარიშო კამპანია ჩატარდა, მაგრამ არადამაკმაყოფილებლად. 1558 ამომრჩევლიდან საანგარიშო კრებებზე გამოცხადდა 562, მათ შორის 141 ქალი. ცალკე უბნების მიხედვით მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდია, მაგალითად ცაცხვის უბანში 228 ამომრჩევლიდან კრებაზე გამოცხადდა მხოლოდ 48, მათ შორის 12 ქალი. ძველ ურტაში 266 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 43, მათ შორის 8 ქალი. ახალ ურტაში 245 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 86, მათ შორის 6 ქალი.

ჯერ-ჯერობით არ არის ცნობები, თუ როგორი მდგომარეობაა სხვა თემებში, მაგრამ ზემოდ დასახელებულ სამ თემში ამ უმნიშვნელოვანესი კამპანიის მსვლელობა ძალზე არადამაკმაყოფილებელია. ამ არანორმალურ მდგომარეობას საჭიროა ეხლავე მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში საანგარიშო კამპანიას ჩაშლა მოელის.

რა გამოირკვა საარჩევნო კომისიის სხდომაზე

(წერილი ქუთაისიდან)

14 იანვარს ქუთაისის სამაზრო საარჩევნო კომისიამ მოისმინა ინფორმაციული მოხსენება საბჭოთა არჩევნების საანგარიშო კამპანიის სოფლად და ქალაქად მსვლელობის შესახებ. გამოირკვა, რომ გასულ წელთან შედარებით საანგარიშო კრებაზე დამსწრეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. წელს მონაწილეთა რიცხვი 70—85 პროცენტს აღწევს, ხოლო გასულ წელს დამსწრეთა რიცხვი 40—45 პროცენტს არ აღემატებოდა. ხმაწართმეულთა რიცხვი სოფლად შედარებით გასულ წელთან, გადიდებულია 80 პროც., ამასთან ერთად გადიდებულია თემებში საარჩევნო უბნების რიცხვი 42 პროცენტამდე.

სხდომაზე გამოირკვა, რომ ქალაქის მოსახლეობის ხელმეორედ აღწერის დროს დაშვებულ იქნა შეცდომა. მაგ., გასულ წელს ხმა-აღკვეთილთა რიცხვი 5.066 უდრიდა, ეხლა 4.000, მაგრამ სამაზრო კომიტეტის მიერ ეს ნაკლი მალე იქნა შემჩნეული და გამოსწორებული. გამოიყო წარმოებებიდან მუშათა კომისიები, რომელთაც დაევალა სიების გადათვალიერება და შესწორება.

მუშაობა სწარმოებს და შეცდომები თანდათან სწორდება.

აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ერთ უბანში ადგილი ჰქონდა მომხსენებლის გაჭიანურებულ საანგარიშო მოხსენებას, რითაც მან გამოიწვია დამსწრეთა დაღლილობა. ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ დაშვებულ იქნა [illegible] შავი სიების შედგენის დროს, მაგრამ შენიშნული დეფექტები მაშინვე იქნა გამოსწორებული.

ვანში კრების ცოცხლათ და აქტიურად ჩატარებისათვის გამოყოფილი იქნენ ამხანაგები, რომელთაც მკლავებზე ჰქონდათ წითელი ლენტები წარწერით: „მოქალაქენო, მოისმინეთ დღეს ანგარიში თქვენ მიერ არჩეულ საბჭოსი“. ამან დიდი ინტერესი გამოიწვია გლეხობაში და საანგარიშო კრებას ამომრჩევლების 80 პროცენტი დაესწრო, ღარიბმა გლეხებმა დიდი აქტიობა გამოიჩინეს კრებებზე და ამხილეს კულაკები და ანტი-საბჭოთა ელემენტები ხელისუფლების საწინააღმდეგო ოინებში. კრება თვითკრიტიკის ქვეშ მიმდინარეობდა. გლეხები აღნიშნავდნენ დაწესებულებების დეფექტებს; სხვათა შორის გლეხები მიუთითებდნენ ვანის თემის საბჭოს თავმჯდომარის ლორთქიფანიძის (რომელიც უკვე სამი თვეა მოხსნილია) ცუდ მოქმედებასქცევაზე, მაგ. მის მიერ გლეხობისადმი უდიერ მოპყრობაზე და სხვა.

ღარიბი გლეხების და მოჯამაგირეების ასეთმა ერთსულოვანი გამოსვლით შეშფოთდენ კულაკები და დაიწყეს შემოდგომის ბუზებივით კბენა და უმსგავსო საქციელის გამომჟღავნება. გორა-ჯიხაიშში 15 იანვარს საანგარიშო კრებაზე კულაკური ელემენტები შეეცადენ კრების ჩაშლას, მაგრამ ღარიბმა და საშუალო გლეხობამ მათ ამის ნება არ მისცეს და კულაკები კრებიდან გააძევეს.

ვანის თემში ადგილი ჰქონდა კულაკის მიერ მოჯამაგირეზე შურისძიების მოხდენის ცდას, რაც შემდეგში გამოიხატა: კულაკმა საარჩევნო კრების წინა დღით მოჯამაგირე მოიწვია თავის ოჯახში, რომელსაც სხვა დროს და სხვა პირობებში ახლოსაც არ გაატარებდა და მით უმეტეს გვერდში არ გაუჩენდა მას, დაათრო, გაუმასპინძლდა ცხელი ხაჭაპურით და ქათინაურებიც ბევრი უთხრა; ემუდარებოდა თავის მოჯამაგირეს დაეცვა ის კრებაზე, დაემტკიცებინა მისი სამაგალითო მუშაკობა და ამოეყვანა ის შავი სიიდან, მაგრამ კულაკს იმედი გაუცრუვდა და ისევ გარიყული დარჩა.

ს. მესხი.

ამომრჩევლები აქტიობას იჩენენ

(წერილი სამტრედიიდან)

6 იანვრიდან გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს ქ. სამტრედიის საბჭოს საანგარიშო მოხსენება, თავიდანვე მიღებული იყო ზომები, რომ მოხსენებები ცოცხლად ჩატარებულიყო, გამომუშავებული იყო ცხრილი, ქალაქი დაყოფილია 85 უბნათ, საბჭოს წევრები მიმაგრებულია ამა თუ იმ უბანზე მოხსენების ჩასატარებლად, აგრეთვე მუშების აქტივი, კოოპერაციამაც თავისი ხაზით მიამაგრა კოოპერაციის მუშაკები უბნებზე, რომლებიც ესწრებოდნენ საანგარიშო კრებებს და იღებდნენ ცხოველ მონაწილეობას საანგარიშო მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში.

საანგარიშო კრებებს, მიუხედავად ცუდი ამინდებისა, ესწრებიან — 60-დან 70 პროცენტამდე ამომრჩევლები. კამათში თვითეულ კრებაზე გამოდის დაახლოებით 5-დან 8-მდე გლეხი, რომლებიც აფასებენ რა საბჭოს მიერ ჩატარებულ მუშაობას, მიუთითებენ სხვა და სხვა სახის ნაკლზე და დეფექტებზე, რომელიც მომავალში უნდა გამოსწორდეს... ამას წინეთ ერთ უბანში კამათში გამოვიდა ერთი შეძლებული გლეხის ცოლი, რომელმაც გაილაშქრა კოოპერაციაში ღარიბთა უფასო შეკავშირების წინააღმდეგ.

კამათში გამოსული გლეხები ერთხმად გმობდენ ამ ქალის გამოსვლას, ასე, რომ ალაგ-ალაგ კრებებზე ადგილი ჰქონდა ასეთ გამოსვლებს, მაგრამ ღარიბი და საშუალო გლეხობა სათანადო პასუხს სცემდა მათ. საბჭოს მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

ხანკანი.

საანგარიშო კამპანია გაცხოველებით ჩატარდა

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 19 იანვარი. სოფელ ბებუთში საანგარიშო კამპანია დიდი აქტიობით ჩატარდა. სამ უბანში ამომრჩეველთა დასწრება 80 პროცენტს უდრიდა, ხოლო ქალთა დასწრების პროცენტი 77 პროცენტი იყო. ამომრჩევლები ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში.

ს. მესხი.

საანგარიშო კამპანია დამთავრდა

მანავი, კახეთის მაზრა

მანავის ყოფილი თემი, რომელიც თემების რეორგანიზაციის შემდეგ საგარეჯოს თემს შეუერთდა, აერთიანებს ოთხ სოფელს: თვით მანავს, თოხლიაურს, ბურდიანს და თარახს. დღეს აქ დაარსებულია მანავის სას. საბჭო, რომელიც ემსახურება ზემოაღნიშნულ სოფლებს. აღნიშნული სოფლები ძალიან ჩამორჩენილი იყო მთელ გარე-კახეთში, როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურადაც. მიუხედავად ამისა საანგარიშო პერიოდში აქ მაინც ბევრი რამ გაკეთდა. სოფ. მანავში აშენდა ათოთახიანი შენობა, რომელიც თითქმის დამთავრებულია; მოსამსახურეთა ბინებისათვის ამავე ხნის განმავლობაში აგებულ იქნა სამ ოთახიანი შენობა, შეძენილი იქნა სოფ. თოხლიაურის სკოლისათვის მშვენიერი შენობა, გაყვანილ იქნა სოფ. მანავში წყალი, გაკეთდა გზები, ბოგირები და სხვ. ცხადია თემის ხელმძღვანელობას მიღწევებთან ერთად ჰქონდა მრავალი ნაკლიც და კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელი და მოსაგვარებელი.

ყველა ნაკლოვანებები მანავის ყოფ. თემის გლეხობამ თავისუფლად აღნიშნა საანგარიშო მოხსენებების დროს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთ უბნებში საანგარიშო მოხსენებებს ამომრჩეველთა ასი პროცენტი დაესწრო. საერთოდ კი ამომრჩეველთა დასწრება საანგარიშო კრებებზე ნორმალური იყო, რაც მიეწერება იმას, რომ აქ მოსამზადებელი მუშაობა კარგად ჩატარდა. ამჟამად უკვე დამთავრებულია საანგარიშო კამპანია. უნდა აღინიშნოს, ადგილობრივი კულტძალების აქტიური მონაწილეობა და დახმარება ამ კამპანიაში.

ალი.

როგორ იბრძოდა ლენინი გადახრების წინააღმდეგ

ლენინი მარტო უდიდესი თეორეტიკოსი და ბელადი არ იყო მსოფლიო რევოლუციისა, იგი ბოლშევიკური პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე წარმოადგენდა ჭეშმარიტი პროლეტარული შეურიგებლობის ცოცხალ განსახიერებას პარტიის კლასობრივი ხაზის სიწმინდისათვის ბრძოლაში. ლენინი იყო ბოლშევიზმის ულრმესი თეორეტიკოსი და ამავე დროს გენიალური პრაქტიკოსი - სტრატეგი და ჩვენი პარტიის მშენებელი. უაღრესად რთულ პირობებში იგი დაუღალავად, დღითი-დღე აშენებდა პარტიას, 20-ზე მეტი წლის განმავლობაში დაუღალავად ებრძოდა ყოველგვარ ოპორტუნიზმს და გადახრებს პარტიის რიგებში.

მივმართოთ პარტიის წარმოშობის ხანას—ძველ „ისკრა“-ს პერიოდს. რედაქციის მუშაკთა შორის სწარმოებდა მზადება პარტიის მეორე ყრილობისათვის, რომელმაც სათავე დაუდო ბოლშევიზმს. თავის ცნობილ ბროშურაში „რა ვაკეთოთ“ ლენინმა შემდეგნაირად, მხატვრულად ჩამოაყალიბა პარტიული გაერთიანების ამოცანები.

„ჩვენ მცირეოდ შეკავშირებულ ჯგუფად, მაგრამ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, მივდივართ მძიმე სახიფათო გზით. ჩვენ ყოველი მხრიდან გარშემორტყმულნი ვართ მტრებით და მათ თითქმის განუწყვეტლივ მოაქვთ იერიშები ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ სწორედ იმიტომ გავერთიანდით თავისუფლად მიღებული გადაწყვეტილებით, რომ ვებრძოლოთ მტრებთან და არ გადავუხვიოთ იმ ჭაობში, რომელიც ჩვენს მეზობლადაა და რომლის მცხოვრებნი თავიდანვე გვკიცხავდნენ იმის გამო, რომ განსაკუთრებულ ჯგუფად გამოვცალკევდით და ავირჩიეთ ბრძოლის და არა შემარიგებლობის გზა“.

ასე ჰქონდა წარმოდგენილი ლენინს ეს ეკლიანი გზა, რომელიც მოითხოვდა ნებისყოფისა და მოქმედების მთლიანობას. „თავი დაგვანებეთ, ნუ გვეპოტინებით, ნუ ბილწავთ დიად სიტყვას „თავისუფლება“-სო, — სწერდა ლენინი ყველა იმათ შესახებ, ვინც ეჭვებს გამოსთქვამდა და ვინც წინადადებას იძლეოდა: „წავიდეთ ამ ჭაობშიო“.

ამრიგად, 1902 წელს ლენინი უკვე გადაჭრით სვამდა საკითხს ჩვენი რიგების მთლიანობის, პარტიისა და ამისი ხელმძღვანელი კადრის „მონოლიტობის“ შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პარტიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ოპორტუნიზმს, რამდენადაც ჩვენც—პარტიის უმრავლესობას — ხომ „გვაქვს უფლება წავიდეთ, საითაც გვსურს, გვაქვს უფლება ვებრძოლოთ არა მარტო ჭაობს, არამედ იმათაც, ვინც ჭაობისაკენ უხვევს“.

ამ რამდენიმე სიტყვაში, რომლებიც დაწერილია მეოთხედ საუკუნის წინად, არსებითად უკვე მოცემულია ბოლშევიზმის მთელი ძირითადი გეზი გადახრებთან ბრძოლაში. დასაბუთებულია შეურიგებელი ბრძოლა მერყეობასთან

აღნიშნული პერიოდიდან ჩვენი პარტია თანდათან უდიდეს ძალად იზრდებოდა განუწყვეტელ ბრძოლაში ოპორტუნიზმთან და ყოველგვარ გადახრასთან. მისი გზა მკაცრი კლასობრივი ბრძოლის გზა იყო, პარტიის შიგნითაც წინააღმდეგობათა დაძლევის გზა. სწორედ ასე ხატავს ამ მდგომარეობას ამხ. სტალინი, როდესაც აღნიშნავს: „თუ ავიღებთ ჩვენი პარტიის ისტორიას მისი წარმოშობიდან ბოლშევიკების ჯგუფის სახით 1903 წელს და თვალყურს გავადევნებთ მის შემდგომ ეტაპებს ჩვენს დრომდე, შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ ჩვენი პარტიის ისტორია არის ისტორია წინააღმდეგობებთან ბრძოლისა პარტიის შიგნით, ისტორია ამ წინააღმდეგობათა დაძლევისა და ჩვენი თანდათან განმტკიცებისა ამ წინააღმდეგობათა დაძლევის საფუძველზე“ („სოციალ - დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში“. მოხსენება კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმზე).

რა უმთავრესი ეტაპები განვლო პარტიამ ძირითად წინააღმდეგობებთან ბრძოლაში, ვისთან და რა მიმდინარეობებთან და ფრაქციებთან იბრძოდა იგი თავისი კლასობრივი პოზიციების სიწმინდისათვის? დასასრულ, რა გადახრებისა და მერყეობის წინააღმდეგ აფრთხილებდა მას განსაკუთრებით ვლადიმირ ილიჩი?

ძველ „ისკრა“-ს პერიოდში ლენინი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა მარჯვენივ ეგრედ წოდებულ ეკონომიზმთან და „კრუჟკოვშჩინა“-სთან, ამჟღავნებდა და ამათრახებდა „რაბოჩეე დელო“-ს ჯგუფის ოპორტუნისტულ რაობას და მის მაჩანჩალურ პრინციპებს, ამავე დროს იგერიებდა ბერნშტეინის დასავლეთევროპიელ მიმდევრებისა და რუსეთის ლეგალური მარქსისტების იერიშებს.

„ისკრა“-ს ირგვლივ იგი აკავშირებდა მაშინდელი სოციალ - დემოკრატების ყველაზე უფრო მტკიცე ელემენტებს და პარტიის რევოლიუციონურ ელემენტებს რაზმავდა არა მარტო ბუნდისტებისა და „რაბოჩეე დელო“-ს ჯგუფის წინააღმდეგ, რომელნიც უფრო სერიოზულ მოწინააღმდეგებს წარმოადგენდნენ, არამედ ყოველგვარი წვრილმანი ჯგუფების და მიმდინარეობების წინააღმდეგაც, რომელნიც უკან ეწეოდნენ პარტიას და ცდილობდნენ ისე მკაფიოდ არ დასვათ პარტიის ძალებისა და სახსრების ცენტრალიზაციის საკითხი, როგორც „ისკრა“ სვამდა ამ საკითხს.

მეორე ყრილობის დამთავრების და მენშევიზმის წარმოშობის შემდეგ, რომელიც, ლენინის სიტყვით, წარმოადგენდა „ეკონომიზმის“ გაგრძელებას ახალ პირობებში, ლენინმა მთელი თავისი პოლიტიკური ნიჭი მოახმარა პარტიის მენშევიკური ფრთის ოპორტუნისტული რაობის გამომჟღავნებას მენშევიკური ფრთა, მარტოვის, აქსელროდის, ტროცკის და სხვების მეთაურობით, ცდილობდა გაეუქმებინა მე-2 ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი და ამ მიზნის განხორციელებისათვის არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა.

მესამე სასწრაფო ყრილობის მოწვევა, რაც წარმოადგენდა მენშევიკების მიერ შექმნილი პარტიული რღვევიდან გამოსავალ საშუალებას, მოითხოვდა ვლადიმირ ილიჩისაგან უაღრესად ენერგიულ ბრძოლას არა მარტო მენშევიზმის წინააღმდეგ, რომელიც თანდათან პარტიულ ორგანიზაციად ყალიბდებოდა, არამედ თვით ბოლშევიზმის შიგნით წარმოშობილი შემარიგებელი მიმდინარეობის წინააღმდეგაც, რომელიც პირველად წარმოიშვა მეორე ყრილობის შემდეგ და რომელიც ცდილობდა მიეფუჩეჩებინა ძირითადი პრინციპიალური უთანხმოებანი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის.

მაშინდელი შემარიგებლების მეთაურმა ნოსკოვმა, რომელიც მეორე ყრილობაზე მტკიცე ბოლშევიკი იყო და უმრავლესობის სიით არჩეულ იქნა ცენტრალურ კომიტეტში, მალე გააერთიანა თავის ირგვლივ შემარიგებელი ბოლშევიკების მცირე ჯგუფი. ხელში ჩაიგდო ცეკა, შეუთანხმდა მენშევიკებს და საშუალებას აძლევდა მათ ფაქტიურად გაბატონებულიყვნენ პარტიაში. ნოსკოვმა და მისმა თანამოაზრეებმა მეტის - მეტად გაართულეს ის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა ლენინი პარტიის მშენებლობისათვის, დაქსაქსვისა და უგეგმოდ მუშაობის პერიოდის დაძლევისათვის.

აი რას სწერდა ლენინი ნოსკოვს ერთ-ერთ წერილში მისი იმ პოზიციის შესახებ, რომელიც, როგორც თითონ ნოსკოვი აცხადებდა, უკარნახა მას პარტიაში „მშვიდობიანობის“ დამყარების სურვილმა:

„იბადება კითხვა, რა აზრით შეიძლება ეხლა ლაპარაკი მშვიდობიანობის შესახებ? თუ მშვიდობიანობა უნდა გვესმოდეს, როგორც იდეური ბრძოლის „საკოოპტაციო“ კინკლაობისაგან გაწმენდა, მე ეხლავე მზად ვარ დავთანხმდე მშვიდობიანობაზე და განვაახლო საბჭოში (პარტიის საბჭოში) გაკეთებული წინადადება. ხოლო თუ მშვიდობიანობა უნდა ვიგულისხმოთ, როგორც იდეური ბრძოლის შეწყვეტა და ახალ (მენშევიკურ) „ისკრა“-ს მიმართულებასთან (ან უფრო სწორად თუ ვიტყვით, ისეთ ფიზიონომიასთან, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ მიმართულებას) შერიგება, ასეთი „მშვიდობიანობის“ დამყარების შესახებ წინადადების მოცემა მხოლოდ უპრინციპო ან თვალთმაქც ხალხს შეუძლია“.

ასე გადაჭრით და მკვეთრად სვამდა ვლადიმირ ილიჩი საკითხს იმ უპრინციპო შემარიგებლობასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც ცდილობდა ოპორტუნიზმის ჭაობში მოექცია პარტია და არარად ექცია პარტიის მეორე ყრილობის გადაწყვეტილებანი.

საჭირო გახდა „უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს“ შექმნა (რომელმაც გააერთიანა ადგილობრივი ორგანიზაციების თვალსაჩინო უმრავლესობა) იმისათვის, რომ, შემარიგებლობისა და მენშევიკების ცდების მიუხედავად, მესამე სასწრაფო ყრილობა მაინც მოწვეულიყო და გადაჭრით მოშლებოდა ბოლო შემარიგებელ მერყეობას. საინტერესოა, რომ თვით ნოსკოვს კარგად ესმოდა, თუ საითკენ მიაქანებს მას „მენშევიკებთან არშიყობა“. ერთ-ერთ წერილში ნოსკოვი პირდაპირ სწერს:

„ისინი (მენშევიკები) ცდილობენ ჩვენი დაუდევრობის შემწეობით დაიპყრან კომიტეტები და შემდეგ გაგვაძეონ იქიდან“ (ლენინის ინსტიტუტის არქივი). მაგრამ შემარიგებლობის უხერხემლო პოზიციას სწორედ ის ახასიათებს, რომ მისი წარმომადგენელნი ფაქტების წინააღმდეგ მაინც „დაუდევრობის“ ხაზით მიდიან.

1905 წელს ბოლშევიკების პარტიამ ძირითად ლოზუნგებად წამოაყენა ბრძოლა „პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურისათვის“ და შეიარაღებული აჯანყების მომზადება. პარტია ლენინის მეთაურობით ენერგიულად ებრძოდა მენშევიზმის ოპორტუნისტულ ტაქტიკას და მის ნიღაბს ტროცკიზმის სახით, იმ ტროცკიზმს, რომელიც ცდილობდა ვითომ „მარცხნიდან“ (პერმანენტული რევოლიუციის თეორია) გაეკრიტიკებია ლენინი.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ პარტიის შექმნის მომენტიდან რუსეთის პირველ რევოლიუციამდე ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში უნდა დაეძლია უდიდესი შინაგანი წინააღმდეგობანი, შეენარჩუნებია თავისი რევოლიუციონური სტრატეგია და ტაქტიკა.

ლენინის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესასწავლად განსაკუთრებით ბევრ მასალას გვაძლევს რეაქციის პერიოდი, რომელიც დაიწყო 1905—1907 წლების დამარცხების შემდეგ და გაგრძელდა 1914 წლის იმპერიალისტური ომის დაწყებამდე, როცა რევოლიუციონური ტალღა კვლავ აბობოქრდა. „ეს იყო კრიტიკული პერიოდი პარტიის ცხოვრებაში, — ამბობს სტალინი,—ეს იყო ის პერიოდი, როცა ბევრმა ძველმა ბოლშევიკმა დასტოვა ლენინი და მისი პარტია. მენშევიკები მაშინ გაჰყვიროდნენ ბოლშევიკების დაღუპვაზე. მაგრამ ბოლშევიზმი არ დაიღუპა. პირიქით, ერთი-ორი წლის ბრძოლის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ლენინი და მისი პარტია მართალი იყვნენ, როცა აწარმოებდნენ ბრძოლას ბოლშევიზმის რიგებში არსებულ წინააღმდეგობათა დასაძლევად“ (სტალინი: „ოპოზიციის შესახებ“).

სწორედ ამ პირობებში აშკარა ოპორტუნისტულ მიმდინარეობასთან ერთად, რომლის სათავე უნდა ვეძიოთ ეკონომიზმში და რომელიც რეაქციის პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ლიკვიდატორობის სახით, პარტიაში თავი იჩინა ეგრედ წოდებულმა „მემარცხენე“ მიმდინარეობამ, რომელსაც მიემხრო ბოლშევიკების ნაწილი. ეს მიმდინარეობა მალე ჩამოყალიბდა ვპერიოდელების დამოუკიდებელ ჯგუფად (ოტზოვისტები და ულტიმატისტები). ამგვარად, რეაქციის პერიოდში ჩამოყალიბდა ორი ჯგუფი ორ სხვადასხვა პოლიუსზე—ვპერიოდოველ-ოტზოვისტების ჯგუფი, რომელიც ცდილობდა ფართო კლასობრივი ბრძოლის გზიდან პარტია გადაეყვანა ავანტიურიზმის გზაზე და საკმაოდ ვერ აფასებდა მასების პოლიტიკურ აქტიობას, და აშკარა ოპორტუნისტული ჯგუფი, რომელიც ცდილობდა მოეხდინა თვით პარტიის ლიკვიდაცია და წასულიყო „სტოლიპინური შეგუების“ გზით. პირველი შეხედვით ეს ჯგუფები მიმდინარე მომენტის მთავარ საკითხებში ერთი მეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იდგნენ, მაგრამ არსებითად ისინი არა თუ შემცდარად აფასებდნენ მიმდინარე მომენტს, არამედ ეყრდნობოდნენ კიდეც იმ წვრილ ბურჟუაზიას, რომელსაც დაკარგული აქვს რწმენა რევოლიუციისადმი, აი რატომ იყო, რომ ეს ორი მიმართულება მთელი რიგი წლების განმავლობაში მთლიანი ფრონტით იბრძოდა ლენინის ბოლშევიზმის წინააღმდეგ (1910 წლის პლენუმი და ტროცკის მიერ შედგენილი აგვისტოს ბლოკი).

როგორ აყენებდა ლენინი 1910 წლის პლენუმის პერიოდში საკითხს იმ ფრაქციებთან და გადახრებთან ბრძოლის შესახებ, რომელნიც მუშაობდნენ ჯგუფური პოლიტიკის, ჯგუფური დიპლომატიის ინტერესებისათვის? ლენინის ინსტიტუტის არქივში არის ლენინის გამოუქვეყნებელი დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის 1910 წლის დასაწყისს. ამ დოკუმენტში ლენინი აღნიშნავს, რომ მუშაობა პარტიის გაერთიანებისა და შემჭიდროებისათვის წარმოებულ უნდა იქნას რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკისა და ორგანიზაციული პოლიტიკის ბაზისზე. საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ლიკვიდატორობასთან „მარცხნივ“ და „მარჯვნივ“, განსაკუთრებით „მარჯვნივ“, ვინაიდან უკვე დამარცხებული „მემარცხენე ლიკვიდატორობა“ ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ რამდენადაც არ უნდა განსხვავდებოდნენ პარტიის არსებობის პირობები 1910 წელს თანამედროვე პირობებისაგან, ჯერ კიდევ მაშინ ლენინი განსაკუთრებით მკაფიოდ და გადაჭრით სვამდა საკითხს ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ. სავსებით და მთლიანად სწორი რჩება გადახრებთან ბრძოლის ის ტაქტიკა, რომელიც ჩამოაყალიბა ლენინმა პარტიის არალეგალური არსებობის უაღრესად მძიმე პირობებში.

მეტად დამახასიათებელია შემდეგი გარემოება: იმ აზრის, რომ ბოლშევიზმის მთავარი მტერი ოპორტუნიზმია, ლენინი არა ერთხელ დაუბრუნდა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგაც. თავის წერილში „მემარცხენეობის ბავშვური სენი კომუნიზმში“ ლენინი სვამს საკითხს: „მუშათა მოძრაობის შიგნით რომელ მტერთან ბრძოლაში გაიზარდა, განმტკიცდა და გამოიწრთო ბოლშევიზმი“, და უპასუხებს: „ასეთი მტერი, პირველ ყოვლისა და უმთავრესად, არის ოპორტუნიზმი, რომელიც ბოლშევიზმის მთავარი მტერია საერთაშორისო მასშტაბითაც“.

ლენინი ეხება ფრაქციული ბრძოლის განვითარების დინამიკას, ანალიზს უკეთებს კლასობრივი ბრძოლის, როგორც ფრაქციული ბრძოლის საფუძვლის, ტენდენციებს და ოპორტუნისტული მიმდინარეობებისა და ჯგუფების წარმოშობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა პროლეტარული იდეოლოგიისათვის უცხო ფრაქციულ პოლიტიკასთან, რომელიც პროლეტარიატზე გავლენას ახდენს „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ ლიკვიდატორობის გზით.

ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „შემარიგებელ განწყობილებას და შეთანხმებლობას“. რა ნიღაბით და ლოზუნგებით აც არ უნდა გამოდიოდნენ ისინი.

აგვისტოს ბლოკთან ბრძოლაში ლენინი სასტიკად ილაშქრებდა ამ უპრინციპო ბლოკის სულისჩამდგმელის, ტროცკის წინააღმდეგ და ამჟღავნებდა მისი „ვითომდა მშვიდობიანი პოზიციის“ ბუნებას.

„აშკარაა, რომ ტროცკი და მისი მსგავსი „ტროცკისტები“—შემთანხმებლები. — ამბობს ლენინი,—ყოველგვარ ლიკვიდატორზე უფრო სახიფათონი არიან, ვინაიდან აშკარა ლიკვიდატორები პირდაპირ გამოსთქვამენ თავიანთ შეხედულებებს და მუშები ადვილად ამჩნევენ მათ შეცდომებს, ხოლო ბატონი ტროცკები ატყუებენ მუშებს, ხელს აფარებენ ბოროტებს, შეუძლებლად ხდიან მის გამომჟღავნებას და მისგან განკურნებას“.

არა ნაკლებ მკაცრად ილაშქრებდა ლენინი შემარიგებლობის წინააღმდეგ თვით ბოლშევიკებში. როგორც ვიცით, შემარიგებლობის ნაშთები, რომლებიც დარჩა მეორე ყრილობის შემდგომი ეპოქიდან, საბოლოოდ არ აღმოფხვრილა რევოლიუციის წინადროინდელ პერიოდში, ხოლო 1908—1911 წლების პერიოდში, როცა პოლიტიკური მაჯისცემა მიყუჩდა, შემარიგებლობა ცდილობდა კვლავ ეთამაშა მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი. 1910 წლის იანვარის პლენუმზე. შემარიგებლობის წყალობით, ტროცკიმ მოახერხა შინაპარტიულ უთანხმოებათა დაძლევის საკითხში გაეყვანა თავისი შესწორებები ლენინის წინააღმდეგ ბუნდოვანი ფორმულის („სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გარემოება“) გზით.

ლენინი დაუზოგავად ამხელდა შემარიგებლობის ბუნდოვანი პოზიციის ბუნებას და აღნიშნავდა, რომ შემარიგებლობის პოლიტიკამ, რომელიც თავიდან ბოლომდე შემცდარი პოლიტიკური მიმართულების ნაყოფია, სასტიკი მარცხი განიცადა.

„ყალბია,—სწერდა ლენინი,—შემარიგებლობის საფუძველი—პარტიისა და პროლეტარიატის მთლიანობის აგება ყველას კავშირზე. მათ შორის ანტი-სოციალ-დემოკრატიული, ანტი-პროლეტარული ფრაქციების კავშირზედაც; უპრინციპოა მისი გამაერთიანებელი ლაყბობა, ყალბია ფრაზები ფრაქციის წინააღმდეგ (სინამდვილეში კი ახალი ფრაქციის შექმნა), ფრაზები, რომელნიც ვერ სძლიან ანტი-პარტიულ ფრაქციებს და ამავე დროს ასუსტებენ ბოლშევიკების ფრაქციას, რომელიც მუდამ ენერგიულად და დაუზოგავად ებრძოდა ლიკვიდატორობას და ოტზოვიზმს“.

მკაფიო კლასობრივი ხაზიდან გადახვევის წინააღმდეგ ლენინი იბრძოდა არა მარტო თებერვლისა და ოქტომბრის რევოლიუციამდე, არამედ შემდეგაც. არ შევჩერდებით ზინოვიევის, კამენევის და ცეკას ზოგიერთი წევრის პოზიციაზე ოქტომბრის დღეებში, ამ პოზიციის უნიადაგობა ლენინმა საკმაოდ ცხადჰყო.

ოქტომბრის დღეებში ლენინი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა მემარჯვენე ქანაობის წინააღმდეგ ცეკას შიგნით. ბრესტის პერიოდში ვლადიმირ ილიჩი დაუზოგავად ებრძოდა ეგრედ წოდებულ „მემარცხენე კომუნისტებს“. როგორი სიღრმით და ოსტატობით გამოამჟღავნა მან მაშინ წვრილ-ბურჟუაზიული ფრაზიორობის ელემენტები ტროცკისა და „მემარცხენე ფრაზის“ სხვა გმირების პოზიციაში, და, ბოლოს, ჩვენ ვიცით, თუ როგორ გადაჭრით დასვა ლენინმა საკითხი მუშათა ოპოზიციის მიმართ და რა სწორი დიაგნოზი მოგვცა მან ამ ოპოზიციის მენშევიკური და სინდიკალისტური ფესვების შესახებ მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივის შეფასების დროს. უნდა გვახსოვდეს აგრეთვე ლენინის პოზიცია 1921 წელს პროფკავშირების გარშემო გამართულ დისკუსიაში.

ამგვარად, ლენინი, რომელიც წლიდან წლამდე აშენებდა ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას და გვერდს უვლიდა ყოველგვარ პირად „ორგანიზაციულ“ და სხვაგვარ კინკლაობას, მუდამ უაღრესად პრინციპიალურად უდგებოდა პარტიაში გადახრებთან ბრძოლის საკითხს, ის ცდილობდა „კლასების ურთიერთ დამოკიდებულების შეცვლის“ ნიადაგზე და ფრაქციების ან გადახრების „ძირითად იდეების ევოლიუციის“ ანალიზის გზით მოეცა ამ გადახრების სწორი შეფასება და დაპირისპირება მათთვის პარტიის განვითარების ხაზი.

ოქტომბრის გადატრიალებამ მოგვიყვანა პროლეტარიატის დიქტატურამდე და ჩვენი კომუნისტური პარტიის წინაშე დასვა ასეთ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანა—ბრძოლა ჩვენი პარტიის მონოლიტობისათვის, რაც აუცილებელი წინასწარი პირობა იყო დიქტატურის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის. უამისოდ შეუძლებელი იყო პარტიის შემდგომი ძლევამოსილი ბრძოლა კომუნიზმისათვის.

პარტიის მე-7-ე ყრილობაზე, ლენინის წინადადებით, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი:

„საჭიროა, ყველა შეგნებული მუშისათვის აშკარა გახდეს, თუ რამდენად საზიანო და დაუშვებელია ყოველგვარი ფრაქციულობა, რომელიც აუცილებლად შეასუსტებს შეთანხმებულ მუშაობას და ხელს შეუწყობს მთავრობის პარტიასთან მიტმასნილ მტრულ ელემენტებს გააღრმავონ უთანხმოება და გამოიყენონ ის კონტრ-რევოლიუციონური მიზნებისათვის“.

ლენინმა მოგვცა მკაფიო პარტიული გეზი, მან არა თუ გადაჭრით დაგმო ფრაქციული ჯგუფების არსებობა, არამედ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მათ და დაგვანახვა, რომ ამ ჯგუფების არსებობა ძირს უთხრის პარტიის მონოლიტობას და მთლიანობას დიქტატურის პირობებში, აი რატომ არის რომ მისი ანდერძი—„მაგრად ხელი-ხელ ჩაკიდებული წავიდეთ წინ“,—ანდერძი, რომელიც მან მოგვცა ჩვენი პარტიის ჩასახვის მომენტში, ძველი „ისკრა“-ს ბრძოლის პერიოდში—რჩება ერთ-ერთ ძირითად ანდერძად ჩვენი ლენინური პარტიისათვის, რომელიც მტკიცედ მიდის სოციალიზმის მშენებლობის გზით.

ლენინის ინსტიტუტის დირექტორი —
ხაველიევი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

ახალგაზრდა ტყეები საფრთხეშია

ჭიათურის წარმოების აღდგენას უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მის აღდგენას შეხარის საქართველოს მუშები და მშრომელი გლეხკაცობა. გაზეთების ცნობებით კონცესიონერის დროს განადგურებული ჭიათურის მრეწველობა, დღეს თან და თან ფეხზე დგება, დღე დღეზე ფართოვდება.

ერთ აუცილებელ საჭირო მასალას ჭიათურის მრეწველობისათვის წარმოადგენს მაღაროების გასამაგრებელი ბიჯგები, რომელთა დამზადება-მიწოდების შესახებაც გვინდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი.

ჩვენის ცნობით ჭიათურის მაღაროების წლიური მოთხოვნილება ამ ბიჯგებზე უდრის 500.000 ცალს. ასეთივე ბიჯგები დაახლოვებით 200.000 ცალამდე ესაჭიროება ტყიბულის მაღაროებს. სულ-კი საქართველოს მრეწველობას ესაჭიროება 700.000 ცალამდე ბიჯგი.

ჯიშების მიხედვით ეს ბიჯგები ნაწილდება ამრიგად: დაახლოებით 70 პროცენტამდე საჭიროა მუხა, ან მისი მსგავსი მაგარი ხე (წაბლი და აკაცია), დანარჩენი 30 პროცენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: წიფელა, კოპიტი, რცხილა, თელა და ნაწილობრივ რთხმელაც.

იბადება კითხვა, შესძლებს თუ არა ჩვენი ტყეები უმტკივნეულოდ მოგვცეს ასეთი დიდი რაოდენობა ახალგაზრდა სალი მერქნისა, და თუ არა, რა ზომებია საჭირო, რომ წარმოებას ბიჯგები ჰქონდეს?

საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ, თითო სწორ ხეში გამოვა ორი ბიჯგი, მაშასადამე დაგვჭირდება 350.000 ძირის მოჭრა, ჰექტარზე ძალიან კარგი ტყე უნდა იყვეს, რომ თითო ჰექტარზე ასი ხე მოიჭრას, მაშასადამე მთელ რაოდენობის მოჭრას დასჭირდება 3.500 ჰექტარ ახალგაზრდა ტყის დასაჩეხება და რადგანაც ასეთი ახალგაზრდა ტყე ერთ ფარგალში არსად არის. მისი ძებნა მოგვიხდება ყველა ტყეებში, რითაც აუნაზღაურებელი ზიანი მიადგება ტყეებს.

გამოსავალი ასეთია: მუხა ჩვენში ცოტა არის. მისი გაკაფვა შემცირებულია, ამიტომ 70 პროცენტი ამ ბიჯგებისა უნდა დამზადდეს ჩრდილო კავკასიის ტყეებში, სადაც უმთავრესად მზადდება მუხის სამაგრი ბიჯგები „დონბასისათვის", დანარჩენი 30 პროცენტი კი დამზადებული უნდა იქნეს ხეთა-ქალადიდის ვაკე ტყეებში. სადაც დღეს ტყის მრეწველობის ტრესტი აწარმოებს ტყის პირწმინდათ ჭრას მასალათ და საშეშოთ. ტყის ტრესტის გამოკვლევით, სხვა მასალებთან ერთად მას შეუძლია ამ ბიჯგების დამზადება და მარგანეცის ტრესტისათვის ხელსაყრელ ვადებში ჩაბარება.

მაგრამ ეს ასე არ ხდება. მარგანეცის ტრესტი დაადგა ისეთ გზას, რომელსაც დიდი ზიანი შეუძლია მიაყენოს ჩვენ ტყეებს—მან გამართა მოლაპარაკება მთელ რიგ წვრილმან ორგანიზაციებთან (გლეხკომები, არტელები და კერძო პირები), რომლებიც მოეფინენ დასავლეთ საქართველოს და ანადგურებენ ახალგაზრდა ტყეს, ეზოებში და ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებში. უკანასკნელად სახელმწიფო ფონდშიაც შეიჭრნენ.

ამ წესით ბიჯგების დამზადება ტყესაც გაანადგურებს და თვით ჭიათურის მრეწველობასაც საფრთხეში ჩააგდებს. მრეწველობის მუშაობა არ შეიძლება დაყრდნობილ იქნას წვრილმან დამამზადებლებზე.

გამოსავალი ერთია, ამ ბიჯგების დამზადება უნდა სწარმოებდეს იქ. სადაც მზადდება სხვა მასალებიც და იმ ორგანიზაციების საშუალებით, ვინც ამ მასალას ამზადებს. ამ წესით ტყესაც დავიცავთ. და ჭიათურის წარმოებასაც უზრუნველვყოფთ საჭირო მასალით.

ნ. ბ.

რა აფერხებს მოჯამაგირეთა შრომის დაცვას

პარტიისა და ხელისუფლების მხრით მოჯამაგირეთა შრომის დაცვის და მათი კულტურული დონის აწევას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. უმაღლეს ორგანოებს გარკვეული დირექტივები აქვთ გამოცემული, თუ რა და როგორ უნდა გააკეთონ ამ დარგში ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებმა.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სამაზრო და სათემო აღმასკომი გულგრილობას იჩენს. ისინი არ ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ მოვალეობას რითაც დიდათ ეშლება ხელი სოფლად მოჯამაგირეთა შრომის პირობების დაცვას.

ქვევით დავასახელებთ იმ მთავარ ვალდებულებებს, რაც სამაზრო და სათემო აღმასკომების მხრით არ სრულდება:

I. სამაზრო და სათემო აღმასკომების მუშაკნი სუსტად იცნობენ, ან და სულ არ იცნობენ მოჯამაგირეთა შრომის კანონმდებლობას.

II. თემის აღმასკომებს არ აქვთ შენილი შრომის კანონმდებლობის წიგნები და პლაკატები, რომლებითაც ისინი ყოველ დღიურად უნდა ხელმძღვანელობდნენ; ხოლო სადაც ასეთი მოიპოვებათ, არ არის გამოყენებული, არავინ კითხულობს ცირკულიარებს და ინსტრუქციებს. არ არის გამოკიდებული პლაკატები; სადაც მოიპოება კანონმდებლობის წიგნები, დაუჭრელი, უხმარად ყრია საარქივო ყუთში და სხვა.

III. ზოგიერთი თემის აღმასკომი სუსტად აწარმოებს დამქირავებელ-დაქირავებულთა შორის ჩამოვარდნილი დავის მოწესრიგებას, არ აწყობენ საჭირო შემთხვევაში მომრიგებელ კომისიებს, ოქმებს არ წერენ დაწესებული ფორმით და უშვებენ მრავალ შეცდომას, მოუგვარებელ საქმეებს ძალიან დაგვიანებით უგზავნიან სასამართლოს, მათ მიერ საკითხების გადაწყვეტა არ არის კანონთან შეფარდებული (ეს ასეც იქნება. თუ კანონში არავინ ჩაიხედავს) და სხვა.

IV. თემის აღმასკომები მოჯამაგირეთა შრომის ხელშეკრულების დადების დროს კი არ კითხულობენ და კი არ ეცნობიან მის შინაარსს, არამედ ისე „ძმა-ბიჭურად" ამოწმებენ მხარეების ხელის მოწერას. ამნაირად, ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურების ნაცვლად ხდება მხარეების ხელის მოწერის „მამასახლისებური" წესით დამოწმება.

V. მოჯამაგირეებზე უფასო წამლობით დახმარების მიცემის საქმეც მოისუსტებს ხშირად მიიღებთ ჯანმრთელობის ადგილობრივი დაწესებულების ხელმძღვანელიდან პასუხს, რომ ბიუჯეტში თანხების უქონლობის გამო მოჯამაგირეებს წამლებს უფასოდ ვეღარ ვაძლევთ.

VI. საქართველოს ცაკის მიერ 1927 წლის აპრილის 22-ის თარიღით და № 22-ით გამოცემული ცირკულიარის თანხმად, სამაზრო აღმასკომებს და ავტონომიურ ერთეულებს ევალებათ შეიძინონ და მიაწოდონ სათემო აღმასკომებს დავთრები მოჯამაგირეთა შრომის ხელშეკრულებების სარეგისტრაციოდ და კონფლიქტების აღსარიცხავად შრომის კომისარიატის მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით. აღნიშნული ცირკულიარის საფუძველზე შრომის კომისარიატმა ფასდადებით დაუგზავნა ყველა სამაღმასკომებს და ავტ. ერთეულებს ეს დავთრები. შორაპანმა, ბორჩალომ და სამხრეთ-ოსეთმა ხსენებული დავთრები უკვე გამოიყიდეს, დანარჩენებმა შეაჩერეს გამოყიდვა და ზოგმაც უკან დააბრუნა ახსნა განმარტებების ბარათებით, რომ მათ ფული არ აქვთ და სხვა. მაგალითად, რაჭა - ლეჩხუმის მაზრაღმასკომმა მოიწერა: „ფინანსიური უსახსრობის გამო, სამაღმასკომს არ აქვს საშუალება გაიღოს თანხა თქვენ მიერ ფასდადებით გადმოგზავნილ წიგნების გამოსაყიდლად". ამავე დროს ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომმა 1928 წელში ავტომობილის საჭიროებისათვის გაიღო 8.000 მანეთი ბიუჯეტის გარეშე, ხოლო იმავე 1928 წელში მოჯამაგირეთა შრომის ხელშეკრულების სარეგისტრაციო დავთრებისათვის მას 72 მანეთი აღარ ამოაჩნდა. ვფიქრობთ, რომ ეს მცირე თანხა მართლაც რომ ბიუჯეტის გარეშე დახარჯოს რაჭა-ლეჩხუმის სამაღმასკომმა, ამით არაფერი დაშავდება, თუმცა ის ვალდებული იყო თავის დროზე გაეთვალისწინებია და შეეტანა ასეთი ხარჯები ბიუჯეტში. მაგრამ ეს მან არ გააკეთა.

ანალოგიური სურათია სხვა მაზრებშიაც. ზემოაღნიშნულიდან ცხადად სჩანს. რომ სოფლად მომუშავე ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოჯამაგირეთა შრომის პირობების დაცვას.

ფ. ლაბაძე.

პენსია გამფლანგველს

სიმონ დავითის ძე პატიაშვილი მთან გარიშედ მუშაობდა ლითონ-ტრესტში, ხოლო შემდეგ „ბებიების" წყალობით ბუხჰალტერად დანიშნეს კალინინის სახელობის ქარხანაში. უკანასკნელი წლის განმავლობაში იგი თვეში ღებულობს ხელფასს 155 მანეთს. მაგრამ რა არის მისთვის ასეთი მცირედი თანხა? პატიაშვილი იწყებს ხელგაშლილ ცხოვრებას და ეძებს ამისათვის დამატებით წყაროს. მან შეაჩვია ხელი ლითონტრესტის ქარხნის სალაროს, საიდანაც მიითვისა 2.000 მანეთამდე. ჩაიდო ჯიბეში მუშების ფულები და „უგზო-უკვლოდ" დაიკარგა. ატირდა პატიაშვილის აგარაკიდან ახლად ჩამოსული ცოლშვილი, მაგრამ მალე გამოუჩნდა მის ოჯახს ჭირისუფალი. დატრიალდნენ ძმა-ბიჭები, ნათესავები, და „უგზო-უკვლოთ დაკარგულ" პატიაშვილის შესახებ სამ დღეში დაგროვდა უამრავი „საბუთები" იმის დასადასტურებლად, რომ პატიაშვილი იყო დიდი „საზოგადო მოღვაწე" და მას „გული შესტკიოდა" საბჭოთა მშენებლობაზე.

ამ საბუთებით პატიაშვილის ცოლი შეიდგა სოცდაზღვევის კომიტეტს, რათა უკანასკნელს „უგზო-უკვლოთ" დაკარგულ „მოღვაწის" ოჯახისათვის დაენიშნა პენსია. სოცდაზღვევის კომიტეტმა მოსთხოვა მას. როგორც წესია, დამატებითი საბუთები, სასამართლოს დადგენილება. პროტექციამ აქაც გამოიღო ნაყოფი. შეცდომაში იქნა შეყვანილი მე-4 უბნის სასამართლო. პატიაშვილის ცოლს გამოაქვს სასამართლოს შესაფერი გადაწყვეტილება და მთელი მასალებით შეიარაღებული ისევ სოცდაზღვევის კომიტეტს ეწვევა.

საქმე გაიჩარხა, სოცდაზღვევის კომიტეტი, პატიაშვილის ცოლს უნიშნავს თვეში პენსიას 51 მან. და 66 კაპ.

გაფლანგვის საქმეს იძიებს სისხლის სამართლის მილიცია, რომელიც, ეჭვი არ არის, იპოვის დამნაშავეს და მიუჩენს მას სათანადო ბინას, ხოლო ამავე დროს სოცდაზღვევის ორგანოები ზრუნავენ გამფლანგველის ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფაზე. დაუჯერებელია. მაგრამ ფაქტია.

პროტექციამ განა ასეთი კურიოზები იცის?!

ჭიოლდი.

დეფექტები სამრეწველო აღმშენებლობაში

მეტი გეგმიანობა სამრეწველო აღმშენებლობაში.— უთავბოლობის რამდენიმე ფაქტები.—კალენდარული ვადა ახალ შენებათა სამმართველოში მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.—საფინანსო დისციპლინა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა.—შტატები ნათლიმამური წესებით ეწყობა.

ორი წლის წინად საქართველოს უმაღლეს მეურნეობის საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული იქმნა ახალი ორგანიზაცია „ახალშენთა სამმართველოს" სახელწოდებით. ამ ორგანიზაციას დაევალა სახელმწიფო აღმშენებლობის ხელმძღვანელობა, როგორც მაგალითად, ახალი ფაბრიკა-ქარხნები, მუშებისათვის ბინები, ელექტრო სადგურები და სხვა.

ამ ორგანიზაციის შექმნა გამოიწვია იმ მდგომარეობამ, რომ ს.მ.ე.ს-ში შემავალი ერთეულები (ტრესტები), ეწეოდნენ აღმშენებლობას ცალ-ცალკე, სტიქიურად და, რაც უარესია, სრულიად უგეგმოდ. მაშინდელ აღმშენებლობას არ ქონდა სათანადო ეკონომიური ნიადაგი და არ იყო შესწავლილი ნედლეულის მარაგიც.

დამუშავებული იქნა ახალ მშენებლობის სამმართველოს წესდება, შედგენილი იქნა სამმართველოს აპარატი და ტრესტების მიერ წამოწყებული მშენებლობა გადაეცა სამმართველოს.

ახალშენთა სამმართველოს ორი წლის მუშაობის პროცესში მიღწევებთან ერთად ჩვენ ვხედავთ მრავალ მნიშვნელოვან უარყოფით მხარეებსაც, რომლებიც მოკლედ იმაში გამოიხატება, რომ თვით აპარატი ვერ აღმოჩნდა იმდენად ელასტიური, რომ საქმე სწორად ეწარმოებინათ.

ავიღოთ სამმართველოს ტეხნიკური განყოფილება, რომელშიაც მუშაობს 35 ინჟენერი და ტეხნიკოსი. ეს განყოფილება ვერ ამუშავებს თავის დროზე ტეხნიკურ გეგმებს, ხარჯთ-აღრიცხვებს, ნახაზებს და სხვა, რაც ძლიერ აბრკოლებს მუშაობას ადგილზე. მუშაობის მწარმოებელი ამა თუ იმ აღმშენებლობაზე მუშაობს დაახლოვებითი მითითებებით, რაც დიდ ზიანს აყენებს აღმშენებლობას. განყოფილება არ ახდენს პერიოდულად სამუშაოთა ადგილების დათვალიერებას. მუშაობა დამოკიდებულია მარტო წერილობითი დირექტივაზე და ადგილობრივ ინიციატივაზე. მუშაობის დამთავრების შემდეგ თავის დროზე არ დგება ტეხნიკური ანგარიშები და სხვა.

როგორ მუშაობს მომარაგების განყოფილება? ის ვერ აწვდის თავის დროზე წარმოებას საჭირო ინვენტარს და საამშენებლო მასალას, როგორც დეფიციტურს, აგრეთვე ისეთს, რომელიც საკმაოდ მოიძებნება ბაზარზე. ამ ნიადაგზე ხდება მუშაობის შეჩერება, წარმოების გაძვირება, მუშების გაცდენა და იქმნება სხვა არანორმალობა.

ამის საილუსტრაციოთ მოვიყვანთ პატარა ფაქტს.

თბილისის მაუდის ქარხნის აღმშენებლობისათვის დამზადებულ იქნა საჭიროებაზე ზევით, ერთ მილიონზე მეტი აგური. ამ დროს კასპში ცემენტის ქარხნის აღმშენებლობაზე აგურის უქონლობის გამო მუშები უსაქმოდ იდგნენ, ნაცდურს კი, რასაკვირველია, იხდიდა აღმშენებლობა. შემდეგ დაკვეთითი წესით მაუდის ქარხნიდან გადაიტანეს აღნიშნული აგური და იგი ერთი ორად დაჯდა.

რა მდგომარეობაა ბუხჰალტერიაში? ეს განყოფილება ძალზე მოიკოჭლებს. ჯერ ერთი მის შტატების გამომუშავებას არ დაადგა საშველი, ბუხჰალტერიამ გამოცვალა 4 ხელმძღვანელი. ყველამ შემოიღო თავისი წესი. ზოგმა ამჯობინა ბუხჰალტერიის ცენტრალიზაცია, ზოგმა დეცენტრალიზაცია და ამ პროცედურების წყალობით ისე აირევა საქმე, რომ ნათელი წარმოდგენა ცალკე აღმშენებლობაზე ძნელია. დაბეჭდილი ყუთებით დოკუმენტების გზავნას ცენტრში და ცენტრიდან ადგილზე (მაგალითად ქუთაისში), ბოლო არ უჩანს, ასეთ პირობებში ძნელია ბუხჰალტერიის სისწორეზე ლაპარაკი.

იმ მდგომარეობით, რომელიც შექმნილია ახალშენთა სამმართველოს ამ სამ მთავარ განყოფილებაში, შეიძლება ახსნილ იქნას მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტები აღმშენებლობის დარგში.

ყოველივე საქმეს და კერძოთ აღმშენებლობასაც უნდა ქონდეს შესრულების კალენდარული ვადა. ამას ვერ ვხედავთ ახალ-მშენებლთა სამმართველოში. მუშაობა, რომელიც უნდა დამთავრებულიყო 1927 წელში, ეხლაც არ არის დასრულებული. არის ისეთებიც, რომელნიც მხოლოდ ნაწილობრივაა დამთავრებული და გახსნილია ექსპლოატაციისათვის. მაგალითისათვის მოვიყვან აბრეშუმის ძაფსახვევ ქარხნებს, რომლებიც გაშვებულია და სავენტილიაციო და სხვა აუცილებელი დარგები მოუწყობელი აქვს.

სამმართველოში საფინანსო დისციპლინა ვერ არის სასურველად დაყენებული. ერთი სამუშაოს წარმოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღებული თანხა იხარჯება მეორე სამუშაოზე, ხშირად ისეთებზე, რომლისაც არც კი აქვს აღმშენებლობისათვის მიცემული თანხა. საილუსტრაციოთ შეიძლება ავიღოთ აჭჰეს - ქუთაისის ელექტრო გადაცემის ხაზი, რომელზედაც სამმართველომ დახარჯა — 300.000 მანეთამდე და ამ სამუშაოზე არც ერთი კაპიკი არ აქვს მიღებული.

სალაროს სიცარიელის გამო თბილისის სადგურზე მოსული საიმპორტო მანქანებით დატვირთული ვაგონები თვეობით დგას გამოუსყიდველი და სამმართველო იხდის გაჩერების გადასახადს, რაც ზრდის ზედმეტ ხარჯებს და აგვიანებს მუშაობის დამთავრებას.

ხელმძღვანელი აპარატის განყოფილებათა დეფექტები გამოძახილს პოვებს ადგილებზედაც, სადაც ეპიდემიური ხასიათი აქვს „გადახარჯვებს" აღმშენებლობაში. (ბარიტის საფეიქრო წისქვილი ქუთაისში, აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა და კირის ქარხანა).

ასეთივე გადახარჯვები უეჭველად არის სხვა აღმშენებლობაზეც, მაგალითად, თბილისის მაუდის ქარხნის აღმშენებლობაზე, აქაც ადგილი აქვს კალენდარული წესის დარღვევას და ამასთან დაკავშირებით, „გადახარჯვაც" იქნება, თუ დროზე არ მივიღეთ ზომები.

სამმართველოს შტატი ძალზე გაბერილია, ასევე ითქმის მაუდის ქარხანაზედაც. თანამშრომელთა მიღების დროს კი, ადგილი აქვს ნათლიმამობას. კავშირის ძირითადი უჯრედები ებრძოდნენ ამ სენს, მაგრამ ამაოდ, მათი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა..

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რომ ღერძი ჩვენი ინდუსტრიალიზაციისა. საქართველოს ახალშენებათა სამმართველო ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში. დღემდე მუშაობის უმთავრეს დეფექტთაგანი ის არის, რომ სამმართველოს აკლდა მტკიცე ხელმძღვანელობა. ფაქტიურად სამმართველოს ხელმძღვანელობდნენ ცალკე განყოფილებათა გამგეები, და მთავარი ინჟენერი.

სმუს პრეზიდიუმმა ბოლო უნდა მოუღოს აღმშენებელთა სამმართველოში არსებულ დეფექტებს, გამოყოს სამმართველოს ხელმძღვანელად სათანადო პირი. განყოფილებებს, და, რაც მთავარია, სამმართველოს მთავარ ინჟენერს, უნდა დაეკისროს მოვალეობის სრულიად და ენერგიულად ასრულება.

აუცილებელია მთავარ ინჟენერის და სხვა ტეხნიკურ ძალების შერჩევა, რომ მათი საქმიანობა და ავტორიტეტი შეეფარდებოდეს იმ დაწესებულებას, რომელსაც ქვია სმუს ახალშენებათა სამმართველო.

ნიკ.

სურათი და სინამდვილე

(სახკინმრეწვის საყურადღებოდ)

რამდენადაც ვიცით სახკინმრეწვს განზრახული აქვს სვანების ცხოვრებიდან სურათის გადაღება. მანამდე, სანამ ეს განზრახვა სისრულეში არ არის მოყვანილი, მინდა შევეხო იმ სურათებს, რომელიც სახკინმრეწვმა წარსულში დადგა მთის ყოფა-ცხოვრებიდან. ამჟამად მხარეთმცოდნეობას ხელისუფლების მიერ დიდი ყურადღება ექცევა. ექსკურსიებზე, ტურიზმზე და სხვ. აურაცხელი ფული იხარჯება. იმისათვის, რომ „მეჟრაბპომს" გადაეღო სურათი სვანთა ცხოვრებიდან („დინა-ძაძუ"), „მეჟრაბპომმა" თავისი კინო-ექსპედიცია სვანეთში მიავლინა სურათის ადგილობრივად გადასაღებად. სასაცილო იქნებოდა, (თუ სატირალი არა), რომ „დინა-ძაძუ"-ში „მეჟრაბპომ"-ს ჩვენთვის ეჩვენებია ცილინდრიანი, ან გალსტუკიანი სვანები, რადგან ეს სინამდვილეს დაშორებულია. მაგრამ როგორც სჩანს ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეუგნია სახკინმრეწვს, ან არ შეუგნია ყოვლად გაუმართლებელი „მოსაზრებებით". რომ ეს ასეა მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს. ავიღოთ სურათი „მამის მკვლელი". როგორც მოგეხსენებათ „მამის მკვლელი" მოხევეთა ყოფა-ცხოვრებაზეა დაწერილი. როგორ გააშუქა ეს ყოფა-ცხოვრება სახკინმრეწვმა?

სურათი გადაღებული იქნა ისეთ ადგილებში, რომლებსაც ხევის ბუნებასთან არავითარი საერთო აქვს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კამეჩი მთაში გამოუყენებელი ცხოველია. ისეთი ზანტი და ვეებერთელა ცხოველი, როგორიც კამეჩია, ვერც სამუშაოდ გამოდგება მთაში და ადვილადაც გადმოიჩეხება, ამიტომ მთელს ხევში კამეჩს ვერ შეხვდებით. სურათ „მამის მკვლელში" კი თქვენ ხშირად დაინახავთ კამეჩებს, რომლებიც სიმინდის ყლორტებს შეექცევიან (სხვათა შორის ხევში არც სიმინდი მოდის და აბა მისი ყლორტები საიდან იქნება). ამავე სურათში სახკინმრეწვი ნუნუს მაყვალს აკრეფინებს, რომელიც აგრეთვე არ მოიპოვება ხევში (ალბათ სახკინმრეწვი „შავი ხილის" ქვეშ (черника) გულისხმობდა მაყვალს). მოხევის ქალებს ამ სურათში აცვია არას დროს არ არსებული მოდის და ფორმის ტანისამოსი და სხვ.

სურათ „ელისო"-ში გამოყვანილ მოხევე ვაჟიას თავს უმშვენებს ქეიფზე მოქცეული კახური პატარა ნაბდის ქუდი, მიუხედავათ იმისა, რომ მოხევეები ყოველთვის ცხვრის ტყავისაგან შეკერილ ქუდით დაიარებიან ხევში არსებული სიცივის გამო. იგივე ვაჟია გამოწყობილია „ჯვარებით" დამშვენებულ ტანისამოსში ხევსურის ყაიდაზე და „ბანდულების", ან „ჩაფხუტების" ნაცვლად აცვია ქართლელის ქალამნები, რომლებიც მთაში სასიარულოდ ყოვლად გამოუსადეგარია და მოხევეები ამ ქალამნებს არას დროს არ იცვამდნენ.

შეიძლება ასეთი „წვრილმანების" მთელი სერიის მოყვანა, მაგრამ აღნიშნულიც კმარა იმისათვის, რომ გავეცნოთ ყოფა-ცხოვრების ზერელედ გაშუქების სისტემას. შეეძლო თუ არა სახკინმრეწვს ამ ნაკლოვანებათათვის გვერდის აევლო?

შეეძლო, მაგრამ არ შესძლო.

რასაკვირველია, წარსულ შეცდომებზე წუწუნი ეხლა გამოუსადეგარია, მაგრამ მომავალ დადგმებისათვის ძველი შეცდომები აღარ უნდა იქნეს გამეორებული.

სახკინმრეწვს კიდევ აქვს განზრახული სურათების დადგმა მთის ყოფა-ცხოვრებიდან, როგორც ზევით აღვნიშნე. მანამდე გვიან არ არის, საჭიროა დასახელებულ ორგანიზაციათა შეთანხმება.

ანდ. ზადუჩი.

ექიმი-ჩინოვნიკი

თბილისში ამჟამად ძლიერ გავრცელებულია ეპიდემიური ავადმყოფობანი, რომლის გამწვავებას ხელს უწყობს საექიმო პერსონალის ზოგიერთი დაუდევარი მუშაკი. მაგალითისათვის შევჩერდები დამზღვევ სალაროს ექ. სერებრიაკოვის საქციელზე.

ჩვენ ასე წარმოგვიდგენია, რომ ექიმობა, არის არა მარტო საპასუხისმგებლო პროფესია, არამედ დიდი საზოგადოებრივი მოვალეობა. ცხადია, ექიმი გატაცებული არ უნდა იყოს მარტო მატერიალური ინტერესებით.

მას უნდა ახასიათებდეს გულშემატკივრობა და სათნოება ავადმყოფისადმი, განსაკუთრებით მშრომელთა ოჯახის წევრ ავადმყოფისადმი. თუ სადმე დაუშვებელია საქმისა და მშრომელთა ინტერესებისადმი დაუდევარი მოპყრობა, განსაკუთრებით ეს ითქმის ჯანმრთელობის დაცვის დარგზე. როგორ შეასრულა ექიმ სერებრიაკოვმა თავისი მოვალეობა?

წარსული წლის 18 დეკემბერს ის მოწვეული იყო ავადმყოფი ბავშის გასასინჯავად. ავადმყოფის მშობლები გრძნობენ, რომ ბავშს სერიოზული ავადმყოფობა აქვს, ტემპერატურა მაღალია, ნერწყვს ვერ ყლაპავს და ტანზე წითლად გამოაყარა. ყველაფერი ეს საკმარისია იმისათვის, რომ ავადმყოფი გულდასმით გასინჯო, შეეცადოთ სწორი დიაგნოზის დასმას. მაგრამ სერებრიაკოვი ასე არ მსჯელობს: ის მიდის ავადმყოფთან, უგულოთ სინჯავს მას და ამბობს: „არაფერია, გაცივებულია და შეიძლება ანგინა იყოს"-ო. არც რჩევა, არც დარიგება. ან თუ სიცხემ მოიმატოს შემატყობინეთ — არაფერი არავის სმენია მისგან. მოვიდა საბჭოთა ჩინოვნიკი, დავთარში აღნიშნა, რომ „შეასრულა" მოვალეობა და გზას გაუდგა.

ავადმყოფ ბავშს თავს დასტრიალებდნენ მეზობლის ბავშები, დიდი, პატარა და არავის შიში აღარ ჰქონდა, რაკი ყველანი ექიმმა დაამედა, რომ ბავშს გადამდები ავადმყოფობა არა აქვსო. როდესაც მეორე დღეს მიმართეს კერძო ექიმს, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ბავშვი ყელჭირვებით არის ავადო.

ამ გვარად სერებრიაკოვის დაუდევრობით შეიძლება ეპიდემია გადაედოს ყველა იმათ, ვინც გამაფრთხილებელი ზომების მიუღებლობის გამო არ დაერიდა ავადმყოფთან მისვლას. მე ურწმუნო თომას არ მჯეროდა და არც ეხლა მჯერა, რომ დამზღვევ სალაროს ექიმები ყველანი ასეთი უსულგულო იყვნენ: სერებრიაკოვები ალბად ერთეულები არ არიან. რომელთა ბიუროკრატიული - ჩინოვნიკური და დაუდევარი მოპყრობა საქმისადმი ჩირქს სცხებს პატიოსან მუშაკებს და ხელს უწყობს ეპიდემიის გავრცელებას.

საჭიროა ამ საკითხს მიექცეს სერიოზული ყურადღება, რომ მით ხელი შეეწყოთ საბჭოთა საექიმო პერსონალის და დამზღვევ სალაროების ავტორიტეტის ამაღლება - განმტკიცებას.

ნარზანი.

მავნე ცირკულიარი

(გორის მ.)

მხედველობაში გვაქვს მიწსაკომის ცირკულიარი, რომელიც მიიღო გორის მაზრის აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებამ სატყეოსათვის. ცირკულიარის მოკლე შინაარსი ასეთია: მიმდინარე საბიუჯეტო წლიდან ტყით მოსარგებლეთათვის შემოღებული იქნება ახალი ფორმის ბარათები, შემდგარი ოთხი ნაწილისაგან. ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ ამიერიდან ბარათები უნდა გაიცეს არა ინდივიდუალურად, არამედ მთელ სოფელზე და უკიდურეს შემთხვევაში ჯგუფურად, ე. ი. ტყით მოსარგებლე უნდა გამოცხადდეს სატყეოში არა მარტო, არამედ მთელ ჯგუფთან ან სოფელთან ერთად. ბარათის გამომწერი ჩასწერს სულყველას ერთ ბარათში, მისცემს მას ერთ რომელიმე გლეხს, ერთის გაუგზავნის ტყის დარაჯს და ორ ცალს იტოვებს თვითონ სხვადასხვა ანგარიშებისათვის. ბარათის წამღები ჯგუფი უნდა წავიდეს ტყეში ერთ და იმავე დროს. უნდა მოსჭრას ტყე ერთ უბანში, გამოიტანოს მასალა ტყიდან ერთ და იმავე დროს და სხვ. გასაგებია, რომ ეს ცირკულიარი გამოიწვევდა გლეხობაში სამართლიან უკმაყოფილებას. ასედაც არის.

რა ხდება სინამდვილეში? ტყის მასალაზე გლეხობას სხვადასხვანაირი მოთხოვნილება აქვს: ზოგს უნდა შეშა, ზოგს საამშენებლო ხე, ზოგს წნელი და სხვა. ამ ცირკულიარული განკარგულებით გლეხს ფაქტიურად ეკარგება იმის შესაძლებლობა, რომ გამოიტანოს ტყიდან ის, რაც მას სჭირდება. ტყეში წასვლა სამუშაოდ უნდა მოხდეს ან სოფლობრივ ან ჯგუფობრივ ან და ერთ და იმავე დღეს.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ბარათით მოსარგებლეთა უმეტესი ნაწილი ვერ მიდის ერთ და იმავე დღეს ტყეში. მათ უხდებათ ცალცალკე წასვლა და ძებნა ტყის დარაჯისა. დარაჯი ემსახურება 1000—2000 დესეტინიან უბანს. ხშირად გლეხმა უნდა სძებნოს ის მთელი დღის განმავლობაში.

სათანადო ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები ამ მავნე და ბიუროკრატიზმის ხელის შემწყობ ცირკულიარის გასაუქმებლად.

კ. გ.

სახლს პატრონი არ ყავს

(თბილისი)

საბინაო საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებათა მუშაობას დიდი ყურადღება ექცევა. ბევრ მათგანს საქმე კარგათ მიყავს, მაგრამ ზოგიერთ ადგილას ისეთ დაუდევრობას აქვს ადგილი, რომელიც შეიძლება ბოროტმოქმედებათ ჩაითვალოს.

ჩვენ გვინდა ამ წერილში შევეხოთ საიჯარო - საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობა № 9-ს. (ლ. დუმბაძის ქ. № 12). ამ ამხანაგობას ყავს გამგეობა, რომლის თავმჯდომარეთაც ითვლება მოქ. ჯაიანი. ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს სახლს. გამგეობამ მოაწყო კანტორა და შიგ პირველყოვლისა გამოკიდა ნოხები, კედლებზედ მიაკრა ბიუროკრატიული წარწერები: სადაც აღნიშნულია მისაღები საათები და სხვა ამგვარი „წესები".

ბინები საჭიროებს საფუძვლიან შეკეთებას. გამგეობამ რემონტისათვის მოიწვია კერძო პირი ვინმე ლეონიძე, რომელსაც წინასწარ მისცა 400 მანეთი. ლეონიძეს ფულის მიღების შემდეგ არაფერი გაუკეთებია. კერძო პირს მისცეს ჩამტვრეული მინების ჩასადგმელათ 350 მანეთი. მაშინ როდესაც სახელმწიფო ან კოოპერატიული დაწესებულება ჩასვამდა 150 მანეთად.

მობინადრეების დიდი ხვეწნის შემდეგ გამგეობამ დაიწყო ბინების „საფუძვლიანი" შეკეთებაც. მცხოვრებლების სიხარულს საზღვარი არ ქონდა, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. გამგეობამ მისცა სამუშაო იჯარით სრულიად უცოდინარ ხალხს. წინასწარ გაიღო 600 მანეთი. ნამუშევარი სრულიად უვარგისი აღმოჩნდა, რაც დაადასტურა აღმასკომის ინჟენერმა. დაიწყო ხელახალი შეკეთება. მობინადრეებს ამ სიცივეში ღამის გათევა უხდებათ აივანზედ.

ეზოებში გადაჭრილია სინათლე, ხშირია შემთხვევა, როდესაც წყალიც არ მოდის ფულის შეუტანლობის გამო.

ამრიგად ბინის შეკეთებას საშველი არ ადგება და უთავბოლოთ იხარჯება გამგეობის დაუდევრობით დიდი თანხა. ამავე დროს გამგეობა ვაჭრობას ეწევა ბინით. ყიდის ოთახს კერძო პირზე 300 მანეთად. გამგეობას ყავს გაბერილი შტატი. სახლში მუშაობს სამი კომენდანტი, რომელთა ჯამაგირიც თვიურათ უდრის 300 მანეთს, სამი მოანგარიშე — თვიურათ ჯდება 210 მანეთი, მეეზოვე და შვეიცარი. უკანასკნელის თანამდებობა შექმნილია გამგეობის თავმჯდომარის განკარგულებით.

საბინაო დავთარში არის მრავალი შეცდომები. ვინმე მაკლერი ივანე მურადოვი, რომელსაც კანტორა აქვს ამავე სახლის ეზოში, რომელსაც ყავს დაქირავებული მუშა-ხელი, წიგნში გატარებულია როგორც პროფკავშირის წევრი და იხდის გადასახადს, როგორც უმუშევარი.

ასევეა გატარებული ნალბანდიანი. რომელიც ვაჭრობს. ამათ მხარს უმშვენებს აზიზოვი, რომელიც პასუხისგებაშია მიცემული სპეკულიანტის დახმარებისათვის და რომელიც ეხლაც ვაჭრობს. ესენი დიდი ხანია კავშირის წევრები არ არიან.

საბინაო დავთარში კი გამგეობას გატარებული ყავს როგორც უმუშევრები.

კიდევ შეიძლებოდა მრავალი ფაქტის მოყვანა ხსენებულ გამგეობის უმოქმედობის დასახასიათებლად, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმაო იმისათვის, რომ სათანადო ორგანოებმა მიიღონ ზომები აღნიშნულ ამხანაგობაში არსებულ უმზგავსოების აღმოსაფხვრელად.

ზ. ქ.

ზარებით მომუშავე დირექტორი

(ქუთაისი)

ქუთაისში უმუშევართან მებრძოლ კოლექტივების სახელით გაიხსნა პაპიროსის ქაღალდის დამამზადებელი ფაბრიკა და მარილის საფქვავი წისქვილი, რომლის დირექტორად მოწვეულია ვინმე მოქალაქე პოჩტარი.

ამ წარმოებაში პირველ შესვლისთანავე, თავს იგრძნობთ გამასწორებელ სახლში.

რაშია საქმე?

დგას დარაჯი ქალი და დაფეთებული იხედება იქით-აქეთ. ბუხჰალტერია, კანტორა, მოლარე არაჩვეულებრივი სახით გამოიყურებიან. კაბინეტში ზის დირექტორი პოჩტარი და მისი თანაშემწე, მაგიდაზე დირექტორს უდევს შიშველი ბრაუნინგი. მოწყობილი აქვს შვიდი ზარი.

ვეკითხებით დარაჯს: „რამდენი ზარია თქვენი".

— ნუ მეკითხები, შენი ჭირიმე, გული შიშისაგან მიკანკალებს, მგონია ორი უნდა იყოს.—

ორ-სამ ოთახში დირექტორს მოუწყვია ყველა მუშაკისათვის ცალკე ზარი

საქმის მწარმოებელს	1 ზარი
დარაჯს	2 ზარი
ბუხჰალტერი	3 ზარი
მოლარეს	4 ზარი

როგორც კი დაირეკება ზარი, მთელი დაწესებულება ფეხზე დგება, ვერ არჩევენ თუ ვის რომელი ეკუთვნის და მიასკდებიან კაბინეტს. დირექტორი იწყებს ყვირილს, ყრის პირიდან დორბლებს:—ნუ მიშლით მუშაობას, ისწავლეთ თქვენ თქვენი ზარებიო.

პოჩტარს ყავდა მექანიკი კომუნისტი. გაუბედა მუშური რჩევა, მაშინვე მოხსნა და მოიყვანა სხვა. მემანქანედ მოიყვანა მღვდლის ქალიშვილი ცინცაძე.

ახალგაზრდა ბუხაიძის შესახებ, რომელსაც დააბრალა გაზეთში წერილის მოთავსება, ასე განაცხადა პოჩტარმა: „მომაბეზრა თავი მისი წერილებითო" ამ განცხადებიდან შესაფერი პრაქტიკული დასკვნა გააკეთა, გასცა ბრძანება: 1 იანვრიდან მოიხსნას ადგილიდანო.

თავის თავს პოჩტარი უწოდებს ძველ ჩეკისტს. პარტიიდან კი გამომაგდესო. ვერ გაგვიგია—რით უნდა იქნას გამართლებული პოჩტარის მოწვევა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

ნემსი.

პროტექციის ხელი ბათომიდან

ფოთის ფოსტა - ტელეგრაფის კანტორაში მსახურობდა თანამშრომელი ქალი ბუკია. ამ უკანასკნელის ძმა მსახურობს ბათომში. ბუკიას ძმა არც თუ ისე „პატარა კაცია".

ბუკიას ქალი პირველი დეკემბრიდან გადაყვანილ იქნა ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში თანამშრომლად. თავის თავათ ცხადია, რომ ამის მოწყობა ფოთიდან არავის შეეძლო. ეს საქმე დამოკიდებული იყო ბათომის ფ.-ტელ. კანტორის ადმინისტრაციაზე და ბათომის საოლქო გამგეობაზე. დანამდვილებით ვიცით, რომ ბათომის ფოსტაში თანამშრომლის ადგილი არ იყო და, თუ იყო, იქ უმუშევართა საამისო კადრიც არის.

აშკარაა, რომ აქ ადგილი ქონდა პროტექციას. საინტერესოა რა პასუხს გასცემს ამ საკითხზე ბათომის ფ. ტ. კანტორის ადმინისტრაცია და ფ. ტ. საოლქო გამგეობა.

ფოთელი.

თავხედი წითელი მეთაური

(ჭიათურა)

წარსული წლის დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ჭიათურას მოევლინა სამხედრო პირი, წითელი მეთაური ილია დარჩია, რომელიც მსახურობს № ქართულ ლეგიონში სასანგრო საქმის გამგეთ. დარჩია მოელოდა, რომ ჭიათურა მას სალიუტით და პარადით შეეგებებოდა. ეს ასე არ მოხდა. მატარებელი, რომლითაც მოემგზავრებოდა განათლებული პირი დარჩია, ჩვეულებრივად ჩამოდგა ჭიათურის სადგურში. ადგილობრივი ხელისუფლება და მოქალაქენი გართული იყვნენ ყოველდღიური მშვიდობიან მუშაობით. დარჩიას, სჩანს, ეს აინუნში არ დაუჯდა. მას აქვს საშუალება, თუ ნებით არა, ძალით მიიპყროს ჭიათურის ყურადღება.

გადმოვიდა თუ არა მატარებლიდან, გავიდა მდინარე ყვირილას გაღმა, ქალაქის მარჯვენა მხარეზე ამოიღო ნაგანის სისტემის რევოლვერი და შვიდჯერ დაცალა ჰაერში. შეინძრა მშვიდობიანი, შრომით გართული მარგანეცის ქალაქი. მილიციამ მართლაც მიაქცია ყურადღება უცხო და არაჩვეულებრივ სტუმარს. წამსვე გამოცხადდა მილიციის მუშაკები დარჩიასთან და სთხოვეს, რომ გაჰყოლოდა ის მათ მილიციის სამმართველოში. დარჩიას ეუცხოვა ასეთი წინადადება. როგორ, მე, — წითელი მეთაური, მე — ილია დარჩია, და მილიციის სამმართველოში ნების წინააღმდეგ წასვლა! მაგრამ, მოგეხსენებათ, ძალა აღმართს ხნავს. ჩვენი გაგულისებული სტუმარიც იძულებული გახდა ცოტა კილო შეეჩერებია და გამგზავრებულიყო მილიციის სამმართველოში.

დაიწყეს ოქმის შედგენა, დარჩია ამბობს „მხოლოდ თავის სახელსა და გვარს, მოწმობები კი მას თურმე „სახლში დარჩა". თან რიხსაც უმატებს. ჩემი სიტყვა დოკუმენტია. გეუბნებით —უნდა დამიჯეროთ. მილიციაშიც ვერ გამოიჩინეს სათანადო სიმტკიცე და დაკმაყოფილდნენ უცხო, ყოყოჩ სტუმრის ზეპირ განცხადებით. მაგრამ იჭვები მაინც გაუფანტავი დარჩა არავინ იცოდა დანამდვილებით თუ რა „ჩიტი" მოფრინდა ჭიათურაში, „სათადან და სადაური", ამიტომ რამდენიმე დღის შემდეგ როცა დარჩია აპირებდა ჭიათურიდან უკან გამგზავრებას, ქალაქის მილიციის უფროსმა მიმართა რკინის გზის პოლიტსამმართველოს აგენტს, რათა მას დაებარებია საეჭვო პიროვნება და შეემოწმებია მისი ვინაობა. აგენტმაც თავაზიანად სთხოვა სადგურზე მყოფ დარჩიას წაყოლოდა მას სამორიგეო ოთახში და ეჩვენებია პირადობის მოწმობა. დარჩია დათანხმდა. მივიდა სამორიგეო ოთახში და, როგორც იქნა, დაიმცირა თავი, ამოიღო პირადობისა და შვებულების მოწმობა. მაგრამ თან განრისხდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ისროდა, რა უფლებით შემკადრეთ თქვენ სამორიგეო ოთახში დაბარებაო. იცით თუ არა, ვინა ვარ? მე გახლავართ ცაკის წევრი და არავითარი უფლება აქეთ მომთხოვოთ საბუთებიო. დარჩიას მოსთხოვეს ცაკის წევრობის მოწმობა. მან აქაც დემონსტრატიულად განაცხადა — ჯერ დამაპატიმრეთ და შემდეგ გიჩვენებთ ცაკის მოწმობასო. რკინის გზის პოლიტსამმართველოს აგენტიც იძულებული გახდა გაენთავისუფლებია დარჩია.

ამით გათამამებული ილია დარჩია გამოვიდა სადგურის ბაქანზე და ნაცნობ ქალიშვილებს ყურები ტრაბახით გამოუჭედა. ვის დარჩენია ჭიათურის მილიციის უფროსი და პოლიტსამმართველოს რკინის გზის აგენტი. ჩავალ თბილისში და იქედან განკარგულებას გავაცემინებ, რომ იმ შეურაცყოფისათვის, რომელიც მე მომაყენეს, შესაფერისად დაისაჯონ „დამნაშავენიო".

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ცაკის პრეზიდიუმი, თუ დარჩია მართლაც არის ცაკის წევრი, შესაფერის პასუხს მოსთხოვს მას ისეთ თავხედობისათვის, რომელიც გამოიჩინა ჭიათურაში ყოფნის დროს. ამასთან ერთად დარჩიამ პასუხი უნდა აგოს, როგორც წითელ მეთაურმაც. მისი უმზგავსო მოქმედება სახელს უტეხავს ხელისუფლებას და ჩვენს სახელოვან წითელ არმიას.

ჭიათურლები.

უმზგავსოებანი საბინაო დარგში

(ქუთაისი)

კომუნალურ მეურნეობამ დიდი ვაივაგლახით და საკმაო თანხების გაღებით შეაკეთა მესამე ინტერნაციონალის ქუჩაზე საბჭოთა სახლი. მრავალი უბინაო მუშა მადლობას უგზავნიდა კომუნალურ მეურნეობას, რომ ის ზრუნავდა მუშების ბინების შეკეთებისათვის, მაგრამ სასტიკად მოტყუვდნენ.

ახლად შეკეთებული ბინა დაიკავა ვინმე ა. პაპავამ. პაპავას აქვს ოთხი თვალი ბინა ზდანოვიჩის ქუჩაზე.

კომუნალური მეურნეობის მდივანს კაჭახიძეს, ჯულაშვილის ქუჩაზე აქვს საკუთარი სახლი, ამავე დროს მას ლენინის ქუჩაზე უკავია საბჭოთა სახლში სამ ოთახიანი ბინა.

ი. დევდარიანს ვოლოდარსკის ქუჩაზე აქვს დიდი სახლი, რომელიც გაქირავებულია, მას კი უჭირავს ოთხი თვალი ბინა საბჭოთა სახლში.

ამავე დროს მრავალი მუშა-მოსამსახურე ან მთლად უბინოთაა, ან აუტანელ საბინაო პირობებში ცხოვრობს.

სამაზრო პარტკომის ინსტრუქტორს ამხ. მამარდაშვილს მისცეს ორდერით საბჭოთა ბინა,(ასე ფიქრობდა მამარდაშვილი და სხვებიც), მაგრამ მას, თბილისიდან მიადგა ვილაც ყოფილი პოლკოვნიკი მიქელაძე და ვინ იცის, თუ რამდენი დამცირება და დევნა განიცადა ამხ. მამარდაშვილმა. მიქელაძე კი ლაპარაკობდა ძალიან რიხიანად, ვილაცას იმედით. ამხ. მამარდაშვილიც გამოსახლებული იქნა ბინიდან.

პარტიული კომიტეტის თანამშრომელ ს. მესხს მოსვენება არა აქვს სახლის პატრონ გაბუნიასაგან. „40 მანეთს სხვა მაძლევს და შენი 20 მანეთი არ მინდა, მომშორდი"-ო, ეუბნება მას სახლის პატრონი.

ვილაც ვაჭარი მამაგიშვილი პუშკინის ქუჩაზე დევნის კავშირის წევრს პატარიძეს იმისთვის, რომ ორ თვალ პატარა ოთახში (30 კვად. არშ.) არ აძლევს 50 მანეთს. სახლის პატრონს საჩივარი შეაქვს უბნის სახალხო სასამართლოში. საქმე გაირჩა 30 ნოემბერს და როგორ ფიქრობთ.

სასამართლო ადგენს:

ვინაიდან პატარიძეს პირველ თვეში მიუცია ბინაში ხუთი თუმანი, და შემდეგ სამი თუმნის მეტს არ აძლევს, დასცალოს პატარიძემ ბინა. არ გვესმის, ვისთვის დაიწერა ბინის ტარიფი? განაჩენი გასაჩივრებულია, ვნახოთ რა იქნება.

შეიძლება მრავალი მაგალითები. მოვიყვანოთ, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია მკითხველისთვის, რომ თავისი დასკვნა გამოიტანოს: იმის შესახებ, თუ როგორ მდგომარეობაში ყოფილა ბინის საკითხი ქუთაისში, სადაც ბინის კრიზისს თან დაერთო მთელი უბნის განადგურება საშინელი ხანძრით.

სიტყვა ეკუთვნის მუშელიხის.

საფიჩხელი.

მილიციის უფროსი მკლავკაცის როლში

(ოზურგეთი)

გასული წლის 31 დეკემბერს ოზურგეთის ფ.-ტელ. კანტორის ტელეგრაფში მორიგეობდა ტელეფონისტკა კვაშალიას ქალი.

ღამის 8 საათი იყო, როცა ანასეულის საცდელ სადგურის ახლოს ცეცხლი გაჩნდა ტყეს, რაიც ეცნობა სამაზრო მილიციას.

მილიციის უფროსი 20 წუთის შემდეგ აღელვებული იძახის: „შემიერთე სასწრაფოთ ანასეულის საცდ. სადგური"-ო. განკარგულება შესრულებული იქნა კვაშალიას ქალის მიერ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი ღონისძიება იქნა მიღებული მორიგ ტელეფონისტკის მიერ, ანასეულმა არ უპასუხა ხანგრძლივ ძახილზე.

— როგორ... მე ლავრენტი სოსელია მაზრის მილიციის უფროსი... ვეძახი.. ვინ ბედავს, რომ არ მიპასუხებს... მე გაჩვენებთ თქვენ სეირს, წამოიძახა მან და ტელეფონს მოშორდა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ტელეგრაფის კანტორაში შემოვარდა მთვრალი სოსელია (ალბათ ახალწელს მიეგება). მოხსნილი ხარ მორიგეობიდან... გაეთრიე აქედან! ხვალ კი მე ვიცი, შენ „დუხსაც" არ გავაჩერებ აქო", მიმართა მან მორიგ ქალს.

ანასეულმა ამასობაში გასცა ძახილზე პასუხი, მაგრამ გამხეცებული მილიციის უფროსი არ კმაყოფილდება ამით და ისევ განაგრძობს ლანძღვა-გინებას, ყვირილს.

მორიგე ქალი გაშეშებული იდგა თავის ადგილზე და ვერ აეხსნა მილიციის უფროსის ასეთი თავხედობა, არ იცოდა ვისთვის შეჩივლა.

„არ გესმის? გაეთრიე აქედან, განაგრძობდა ის, მაგრამ ყვირილით რომ ვერაფერს გახდა, ქუჩური გინებით, ხელის კვრით, კარის ტეხით გამოაგდო სამორიგეო ოთახიდან მორიგე ქალი და დაატუსაღა კიდეც.

კანტორის გამგის კითხვაზე თუ რისთვის და რა უფლებით მოხსენი თანამშრომელი მორიგეობიდანო, სოსელიამ ასეთი პასუხი გასცა:

— მე, მაზრის მილუფროსი ლავრენტი სოსელია ვეძახდი ანასეულს, როგორ გაბედეს და არ მიპასუხეს... ხომ იცით მე ვინა ვარ!.."—ეს იყო მისი პასუხი.

ამ სცენას, სხვათა შორის, დაესწრო მუშკომის თავმჯდომარეც, მაგრამ ენის ამოღებაც ვერავინ გაბედა.

დატუსაღებული კვაშალიას ქალი ცოტა ხნის შემდეგ განთავისუფლეს (ალბათ ღვინის მონელების შემდეგ), მაგრამ ამ თავდასხმამ იმდენად იმოქმედა მასზე, რომ ლოგინად ჩავარდა და ამჟამად დამზღვევ სალაროზეა გადარიცხული.

სოსელია ეხლა ყოველგვარ ხრიკებს ხმარობს იმისათვის, რომ თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას, მაგრამ ერთი რამ უდაოა, მისი მოქმედება წარმოადგენს უფლებების გადაჭარბებას და თანამდებობის ბოროტად გამოყენებას.

სიტყვა რესპუბლიკის მილიციის უფროსს ეკუთვნის.

არმე.

გააუმჯობესოთ გლეხკომების მუშაობა

(საქ. კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილების გამო გლეხკომების მუშაობის შესახებ)

საქ. კ. პ. ა. კ. საოლქო კომიტეტმა თავის ინსტრუქტორების საშუალებით მოახდინა გამოკვლევა გლეხკომების მუშაობისა აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოში, რის შემდეგ მან სპეციალური დადგენილება გამოიტანა. რა შედეგები მოგვცა გამოკვლევამ? ჩვენ აქ შევეხებით ნაკლოვანებებს გლეხკომების მუშაობაში.—

1. ბევრგან ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებები. მოქმედი დებულების მიხედვით გლეხკომი არსდება, როცა ამაზე თანახმაა ამა თუ იმ სოფლის მშრომელი მოსახლეობა; უმცირესობა ვალდებულია დაემორჩილოს უმრავლესობის გადაწყვეტილებას. მაგრამ დებულების ეს მუხლი ჯერ არ არის ცხოვრებაში გატარებული, რითაც მახინჯდება გლეხკომების ორგანიზაციული სახე. მაგ., თუ თემი ან სოფელი შესდგება 700 სულისაგან და გადაწყვეტილია გლახკაცობის მიერ გლეხკომის დაარსება, მაგრამ თუ ფაქტიურად გლეხკომას წევრად შედის უმნიშვნელო რიცხვი, ეს ნიშნავს გლეხკომ. დებულების ხსენებულ მუხლის დარღვევას. სასტიკად უნდა იქნეს ცხოვრებაში გატარებული გლეხკომების ჩამოყალიბება კოლექტიურ ნებაყოფლობის საფუძველზე.

2. გლეხკომების მუშაობა ატარებს შემთხვევითი ხასიათს, რაც ხელს უშლის, რომ ისინი გადაიქცნენ ღარიბ და საშუალო გლეხობის „ნამდვილ მასიურ“ ორგანიზაციად. გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებების კომიტეტი, ანუ გამგეობა, ცხადია, უნდა მუშაობდეს წინასწარ შემუშავებულ გეგმით. გამგეობაში უნდა სწარმოებდეს კოლექტიური მუშაობა. არც ერთი საკითხი არ უნდა სწყდებოდეს დამოუკიდებლად ერთი პიროვნების მიერ, როგორც ეს არის ბევრ ადგილას ეხლა, არამედ უნდა დაისვას გამგეობაში და განხილულ-გადაჭრილ იქნეს კოლეგიალურად. ამას, სხვათა შორის, აქვს აღმზრდელობითი მნიშვნელობა,

3. გლეხკომების მუშაობაში არ არის მტკიცედ დაცული კლასიური ხაზი. გლეხკომებმა თავის რიგებში უნდა შეაკავშირონ ჩვენი სოფლის მოსახლეობის მხოლოდ ღარიბი და საშუალო გლეხობა, რომ გაჭირვების შემთხვევაში მათ აღმოუჩინონ სხვადასხვა სახის დახმარება. მოკლეთ გლეხკომებმა თავის მუშაობით სასტიკად უნდა გაატარონ კლასიური ხაზი. მაგრამ სინამდვილეში ხშირად ამას ვერ ვხედავთ. ბლომად მოიპოვება კლასობრივი ფრონტის დამახინჯების ასეთი საკითხები: გლეხკომები საფონდო მიწებს დასამუშავებლად იჯარით კულაკებს აძლევენ, ნივთიერ დახმარებას აწვდიან კულაკებს და მოკულაკო ელემენტებს; სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, რომელიც მათ განკარგულებაში არის, აძლევენ საექსპლოატაციოდ კულაკებს; შრომითი დახმარებას უწევენ შეძლებულებს, კულაკებს. გლეხკომები ეწევიან ვაჭრობას და სხ.

ყველა ის მამულები და საწარმონი, რომელნიც გლეხკომებს გადასცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ გლეხკომებმა უნდა აწარმოონ თვითონ სამეურნეო წესით. მათი იჯარით გაცემა ყოვლად შეუძლებელია. გლეხკომების ფონდის შესაძლებლობა როგორც ფულადი, შრომითი და სასურსათო უნდა მოხმარდეს სესხის და ერთდროული დახმარების სახით სოფლის მხოლოდ მშრომელ ელემენტებს, ე. ი. ღარიბ და საშუალო გლეხობას. გლეხკომებმა თავისი მუშაობით ხელი უნდა შეუწყონ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს სოფლის მოსახლეობის ფენებად დაყოფის საკითხის გამორკვევაში. უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს გლეხკომების მხრით კლასიური ხაზის გამრუდებას და დარღვევას.

4. გლეხკომები სისუსტეს და ნაკლებ თაოსნობას იჩენენ სოფლის მშრომელ მოსახლეობის მომარაგებაში გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ღარიბი და საშუალო გლეხობის საწარმოვო-კოოპერატიულ მეურნეობაში ჩაბმას. გლეხკომების პირდაპირი მოვალეობაა ღარიბი და საშუალო გლეხობა დარაზმონ თავიანთ რიგებში და აგიტაცია-პროპაგანდით და პრაქტიკული ღონისძიებებით ჩააბან სხვადასხვა სახის კოოპერატიულ მშენებლობაში. მუშაობის ამ დარგის გლეხკომებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. ამ მხრივ მათ წინაშე დიდი სარბიელია სოფლად გადაშლილი.

5. გლეხკომების ორგანიზაციულ წყობაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ ძირითად ორგანიზაციებს, ე. ი. სოფლის და თემის გლეხკომებს, რადგანაც პრაქტიკულ ყოველდღიურ მუშაობას ისინი აწარმოებენ. დანარჩენი ორგანიზაციები და სამაზრო გლეხკომები და გლეხკომების ცეკა უწევენ ძირითად გლეხკომებს საერთო ხასიათის ხელმძღვანელობას, როგორც წერილობით, ისე ცოცხალი კავშირით. რადგანაც ძირითად ორგანიზაციებში ჯერ კიდევ გამოუცდელი მუშაკები მუშაობენ, საჭიროა როგორც გლეხკომების ცეკამ, ისე (უმთავრესად) სამაზრო გლეხკომებმა და სხვა სამაზრო ორგანიზაციებმა ხშირად გზავნონ თავიანთი ინსტრუქტორები ძირითადი გლეხკომების მუშაობის გამოსარკვევად და პრაქტიკული მითითებების მისაცემათ, ეს ზომა ძალიან გამოაჯანსაღებს და ასწევს გლეხკომების მუშაობას.

6. გლეხკომების მუშაობას დიდად აფერხებს ის გარემოება, რომ ძალიან ხშირად გლეხკომების მუშაკებს ხსნიან და ისინი გადაყავთ სხვა ადგილებზე. ამ მოვლენას არევ-დარევა შეაქვს გლეხკომების საქმიანობაში. არის შემთხვევები როცა გლეხკომების მუშაკს ხსნიან სამუშაოდან იმიტომ, რომ მან არ შეასრულა ადგილობრივი პასუხისმგებელი მუშაკის უკანონო და შეუფერებელი განკარგულება. ყველაფერ ამას ბოლო უნდა მოეღოს.

7. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ან სულ არ აქცევენ ყურადღებას გლეხკომების მუშაობას, წინააღმდეგ პარტიის უზენაესი ორგანოების გარკვეული დადგენილებების და განკარგულებათა. გლეხკომების ხელმძღვანელობაში, განსაკუთრებულ დაუდევრობას და სისუსტეს იჩენენ ადგილობრივი პარტიული უჯრედები. ჩვენ პრაქტიკიდან ვიცით რომ სადაც პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებით ეპყრობიან გლეხკომების კარგ მუშაობას და კარგ ხელმძღვანელობას უწევენ მათ, გლეხკომები წარმატებით მუშაობენ. საჭიროა, რომ პარტიული ხაზით გლეხკომების მუშაობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

ქ. ხომერიკი.

სამეურნეო დახმარება ღარიბ მოსახლეობას

საქართველოს სახკომსაბჭომ წინადადება მისცა „სოფლის კავშირს“ და ყველა სამაზრო და საქალაქო აღმასკომებს, რათა მანქანა-იარაღები გასაქირავებელი და თესლის გასაწმენდი პუნქტებიდან პირველ რიგში ღარიბ მეურნეობათ მიაქირავონ. ის მანქანა-იარაღები, რომელთაც მოსახლეობა არ იცნობს, ან ნაკლებად იცნობს, სარგებლობისათვის პირველ რიგში უნდა გადაეცეს ღარიბებს, შეძლებისდაგვარად უფასოდ, ან ძალიან დაბალ ფასებში. იმ მანქანა-იარაღების სარგებლობისათვის, რომელნიც შემოსულია უკვე საერთო ხმარებაში, უნდა დაწესდეს დიფერენციალური გადასახადი იმ პირობით, რომ ღარიბ მეურნეობათ მანქანა-იარაღები დაეთმობა ისეთ ფასებში, რაც დაქირავების თვითღირებულებას არ უნდა აღემატებოდეს; საგრილებელი პუნქტებით სარგებლობისათვის უნდა დაწესდეს შეღავათები ხსენებულ დადგენილების წესის მიხედვით.

მიწსახკომს, სამაზრო აღმასკომებს და კოლმეურნეობის ცენტრს წინადადება მიეცა დაავალონ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს ის ინვენტარი, რომლითაც საკუთარ მეურნეობათა საჭიროებას დააკმაყოფილებენ, გადასცენ ხოლმე ახლო მდებარე ღარიბ მეურნეობათ ისეთ ფასებში, რაც სარგებლობის თვითღირებულებას არ უნდა აღემატებოდეს; საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა საწარმოთა ღარიბების მიერ სარგებლობისათვის უნდა დაწესდეს შეღავათიანი ფასები საგლეხო მეურნეობათა სხვა ჯგუფებთან შედარებით.

გზატკეცილების მშენებლობა

950.000 მან. რესპუბლიკანური გზებისათვის

მიმდინარე საბიუჯეტო წელში საქართველოს რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს მიერ გადადებულია — 950.000 მანეთი.

ეს თანხა საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს საშუალებას მისცემს გაადიდოს რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების ქსელი 472 კილომეტრიდან—590 კილომეტრამდე.

გზების ქსელის გაფართოება ხდება ზოგიერთი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რესპუბლიკანური გზების ქსელში შეტანის ხარჯზე. მაგალითად: რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების ქსელში გადადის თელავ-სიღნაღის გზატკეცილი (150 კილომეტრი), ზუგდიდ-ანაკლიის გზატკეცილი (32 კილომეტრი) და ახალქალაქი-ყარზახის გზატკეცილი (35 კილომეტრი).

ყველა ეს გზები სამაზრო აღმასკომების განკარგულებიდან გადავა ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს განკარგულებაში, რომელიც ამიერიდან მოუვლის და თვალყურს ადევნებს მათ.

გადადებულ კრედიტიდან გამოიყოფა განსაზღვრული თანხა სურამ-ძირულის გზატკეცილის სააღმშენებლო სამუშაოების გასაგრძელებლად. ამ გზისათვის მდ. ძირულაზე აგებული იქნება ხიდი, რაზედაც დაიხარჯება — 130.000 მანეთი.

ამასთანავე გაგრძელდება მუშაობა ჯავა-როკის გზატკეცილის გასაყვანად. გორიდან—ცხინვალამდე აგებული იქნება რამოდენიმე ხიდი. ამ სამუშაოებზე დაიხარჯება—150.000 მანეთამდე.

გზატკეცილთა სამმართველოს მიმდინარე წლის სამუშაო პროგრამაში შედის მდ. ალაზანზე, გურჯაანის პირდაპირ და მდ. ყვირილაზე (ქუთაის-აბასთუმანის გზატკეცილზე) ასაგებ ხიდების დეტალური პროექტის შედგენა.

კომკავშირის თბილისის სამაზრო-საქალაქო მე-16 კონფერენცია

მეშვიდე სხდომა

კონფერენციის მეშვიდე სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. პ. აზარაშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. ბარძიმაშვილი, კომკავშირელების ჩაბმა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში სუსტია. გარდა ამისა ის კომკავშირელებიც, რომლებიც კოლექტივში არიან გაერთიანებული, საკმაო აქტივობას ვერ იჩენენ. ის ყველა თემებზე არ ითქმის. სართიჭალის თემის სას. სამ. კოლექტივს, „სოფლის კავშირი“ დაპირდა 75 ფუთ ხორბალს. მაგრამ ის დაპირებად დარჩა. ჩვენი თემი (სართიჭალა) შეფად აყვანილი ყავდა მუშკოოპს, მაგრამ გადის წლები და „შეფის“ წარმომადგენელს ვერ ვხედავთ.

ამხ. იმხანოვი ვრცლად ჩერდება საკავშირო მუშაობის ფორმებს და მეთოდების გადაკეთებაზე, კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიაზე, საქარხნო საფაბრიკო სკოლების მუშაობაზე, სასკოლო უჯრედებზე და ამბობს რომ სასკოლო უჯრედები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სკოლას. ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ სკოლების პროლეტარიზაციაზე, წარმოებებთან დაკავშირებაზე და სხვა საკითხებზე, რასაც სასკოლო უჯრედები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

სასკოლო უჯრედების მუშაობა ფესვიანად უნდა შეიცვალოს. ასევე უნდა ითქვას სასკოლო თვითმართველობაზე, რომლებიც თითქმის არაფერს არ აკეთებენ.

ამხ. ბალაჯარაშვილი მოითხოვს, რომ სოფლად გაიგზავნოს კარგათ მომზადებული ამხანაგები. მეტი ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობის გამოგონების საკითხს, ლიტერატურით მიწოდებას და სხვა.

მშვიდობაძე ლაპარაკობს ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ხელფასის გადიდებაზე, თვითკრიტიკაზე და სხვა.

ამხ. ბაქიძე ეხება საბინაო მშენებლობას და ამბობს, რომ როდესაც ტრამვაის მუშებისათვის აგებულ ბინების სამი კორპუსი დამთავრდა, კომკავშირელები გამოვიდნენ კომკავშირის აქტივის კრებაზე და აღნიშნეს ამ ბინების უვარგისობა. მაშინ დაწყებული არ იყო სხვა კორპუსები. ამის შემდეგ აშენდა ახალი კორპუსები რომელნიც უფრო ცუდათაა აგებული. საავადმყოფოებში ყველაფერი თავის რიგზე არ არის, ადმინისტრაციის დაუდევრობის მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. ჩვენი ორგანიზაცია საკმაო ყურადღებას ვერ აქცევს კოოპერაციას. კოოპერაციაში ადგილი აქვს მთელი რიგ არა ნორმალობას. ნოქრები ხშირად კერძო ვაჭრებს, ბიძაშვილებს და მ[illegible]შვილებს აძლევენ საქონელს. ორატორი ეხება თამბაქოს წევას და ალკოგოლიზმის მავნებლობას და მოითხოვს მეტ აღმზრდელობით მუშაობას კომკავშირელებში.

ამხ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ „მსუბუქ კავალერიის“ მუშაობა მიმართულია ჩვენი სახ. აპარატის გაჯანსაღებისაკენ; მას გადამწყვეტი იერიში მიაქვს ბიუროკრატიზმისა, პროტექციონიზმის და სხვათა წინააღმდეგ. კომკავშირის კომიტეტებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ ამ ჯგუფებს.

გარდა ამისა კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. არჯევანიძემ, კერვალიძემ, კაკაბიშვილმა, ბეჟანოვმა, ბატალიამ, ყარამანაშვილმა, ინასარიძემ და ვართანოვმა.

კომკავშირის სამხრეთ სლავიის ორგანიზაციის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. მარკოვი.

ქ. ქ. ქალაქის რაიონის დელეგაციის სახელით შემოტანილ იქნა პრაქტიკული წინადადებები საკავშირო მუშაობის გადაკეთების შესახებ.

ამ წინადადებების მიხედვით 25 იანვრიდან 25 თებერვლამდი უნდა მოეწყოს თვიური მუშაობის ახალ ფორმებზე გადასვლა იმ მითითებით რომელიც გამომუშავებული აქვს საქ. კომ. ა. კ. საოლქო და საქ. ცენტრალურ კომიტეტს. ქალაქის ორგანიზაციის აქტიური მუშაკები გაგზავნილი იქნას სოფლად რამოდენიმე თვით. რისთვისაც უნდა გამოინახოს სათანადო თანხები.

ქალაქის რაიონის დელეგაციის პრაქტიკული წინადადებები კონფერენციამ მთლიანად მოიწონა.

მერვე სხდომა

კონფერენციის მერვე სხდომაც მოუნდა კამათს ამხ. პ. აზარაშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. გრატიაშვილი ამბობს, რომ სოფლად ხშირად ცირკულიარები იგზავნება მარტო ერთ ენაზე; საჭიროა არა ერთი, არამედ ორ ან სამ ენაზე გაგზავნა. სოფლად არა გვყავს ისეთი ამხანაგები, რომ სხვა ენაზე გამოგზავნილი ცირკულიარი გაიგოს. სოფლად კომკავშირელების დაწინაურებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ამხ. ნადირაშვილი ეხება მუშა-ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვას კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში გაგზავნას. ზოგიერთ ადმინისტრატორის უპასუხისმგებლობას, პარტხელმძღვანელობის სისუსტეს და სხვა.

ამხ. ბაქაძე, უმთავრესად შეჩერდა უმაღლეს სასწავლებლების მდგომარეობაზე, აგრონომ-სტუდენტების გამოყენებაზე სოფლის მეურნეობაში; აღნიშნა ზოგიერთ მასწავლებლების არაპედაგოგიური საქციელი, მათი მასიურ მუშაობაში ჩაბმულობა და სხვა.

ამხ. კაკაბაძე ამბობს, რომ განათლების კომისარიატი ნაკლებად ზრუნავს ახალგაზრდა პედაგოგიურ პერსონალის გადამზადებაზე. ფაქტია ის, რომ ჩვენი ახალგ. მასწავლებლობა მეთოდიურად მოუმზადებელია. რომელთა კვალიფიკაციის მომენტს განათ. ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს. ქალები ვერ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში.

გარდა ამისა კამათში გამოვიდა ამხ. სედონია, შაქამოვი ანუსი, კოკნაძე, კამალიანი, ტკაჩენკო ბერიკაშვილი, მიხაილოვი; ჯანელიძე და გორგიჯანოვი.

კომკავშირის 26 რაიონის დელეგაციის მიერ წარმოდგენილ იქნა რამოდენიმე პრაქტიკული წინადადებები მუშაობის გაჯანსაღების მიზნით, რომელიც კონფერენციამ მოიწონა.

25.000.000 მანეთი სატყეო ტრესტს

ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე განიხილა სატყეო მრეწველობის ტრესტის მიერ წარმოდგენილი ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის მეორე ვარიანტი, რომელიც გულისხმობს 25 მილიონი მანეთის დახარჯვას სატყეო მრეწველობის განსავითარებლად.

ტრესტის წარმომადგენელმა ინჟ. ავალიანმა პრეზიდიუმის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ ამ თანხით მომავალი 5 წლის განმავლობაში ჩატარდება ტრესტის ქარხნების რეკონსტრუქცია და გაფართოება. ამას გარდა აგებული იქნება სატყეო მრეწველობის ახალი კომბინატები, ფოთში, ახმეტაში (კახ. მაზ.) და ბაღდათში (ქუთ. მაზ.). აგებული იქნება აგრეთვე ახალი სატკეჩე ქარხანა ოზურგეთში.

5 წლიანი გეგმის განხილვის და განმარტებების მოსმენის შემდეგ ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

აღინიშნოს, რომ 5 წლიანი გეგმის მეორე ვარიანტი ითვალისწინებს სატყეო მრეწველობის ტრესტის საერთო პროდუქციის გადიდებას მომავალი 5 წლის ბოლოსათვის, 1927—28 წლის პროდუქციასთან შედარებით, შემდეგი რაოდენობით: საამშენებლო და სახერხი მასალების პროდუქცია—338 პროც., საყუთე მასალების—427 პროც., წიფლის ტკეჩის — 286 პროც. და ვენურ სკამების—201 პროც.

წინადადება მიეცეს ტრესტს, რომ საამშენებლო და სახერხ მასალათა კომერციული თვითღირებულების დაკლება დაიყვანოს 34 პროცენტამდე 1927—28 წელთან შედარებით. საამშენებლო მასალათა გასასყიდი ფასები დაკლებულ იქნეს 29 პროცენტით. მიმდინარე წლიდან შემოღებულ იქნეს ორწყება მუშაობა მარელისის გრეხილ-ავეჯეულობათა ფაბრიკაში, ბორჯომის სატკეჩე ქარხანაში და მცხეთის სახერხ ქარხანაში.

7 საათის სამუშაო დღე შემოღებულ იქნეს მიმდინარე წლის განმავლობაში მცხეთის სახერხ ქარხანაში, ბორჯომის სატკეჩე ქარხანაში და მარელისის ფაბრიკაში.

სატყეო მრეწველობის ძირითადი საკითხების შესასწავლად დაწყებულ იქნეს სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოები, რისთვისაც გათვალისწინებულ იქნეს ხარჯი 100.000 მანეთის რაოდენობით.

ახალი სამკურნალო წყლები

საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი უკანასკნელ ხანებში ფართოდ აწარმოებს საქართველოს მინერალური და სამკურნალო წყლების გამოკვლევას.

ამჟამად ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ქიმიური ლაბორატორია იკვლევს 336 სხვადასხვა სამკურნალო და მინერალურ წყაროს წყლებს. ეს წყაროები მდებარეობენ საქართველოს ტერიტორიაზე.

ზემოხსენებულ ლაბორატორიის გამგის ამხ. რ. კუპცისის ცნობით, გამოკვლეულ წყაროებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ეგრედ წოდებული „კობის ნარზანი“, რომელიც თავისი თვისებით მაღლა სდგას ცნობილ „ნარზან“-ზე. ეს წყარო მდებარეობს კობის რაიონში და მისი დებეტი იმდენად დიდია, რომ თამამად აამუშავებს რვა წისქვილს.

ალაზნის ველზე (კახეთი) აღმოჩენილია ე. წ. მწარე წყალი“, რომელიც თავისი თვისებებით თუ არ აჯობებს, ყოველ შემთხვევაში არ ჩამოუვარდება ცნობილ „ფრანც იოსების“ წყლებს.

ხევსურეთში აღმოჩენილია ვაჟა ფშაველას სახელობის კირიან-გოგირდიანი წყლები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ კუჭის კატარის მკურნალობაზე.

ზუგდიდის მაზრაში აღმოჩენილი კირიანი წყალი მეტად დადებითად მოქმედობს კუჭის იარაზე. 1928 წელში ამ წყლებით მკურნალობდა 15.000 ავადმყოფი.

ოსეთის სამხედრო გზაზე, შოვიდან 12 ვერსის დაშორებით მდებარე უწერის წყალი“ თვისებებით უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ბორჯომის წყალი.

გარდა ჩამოთვლილ წყლებისა, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ლაბორატორია იკვლევს მრავალ სხვა მინერალურ და სამკურნალო წყაროებს.

ჭიათურა

სამთო-სამრეწველო სკოლა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის ერთ-ერთ ქუჩაზე ძველ და უვარგის შენობაში (ოდესღაც ამ შენობაში ყოფილა მგონი სამიკიტნო) მოთავსებულია სამთამადნო კავშირის სამთო-სამრეწველო სკოლა.

უეჭველია, ჭიათურის მრეწველობისათვის უაღრესად საჭიროა პროფტექნიკური სკოლა, სადაც ახალგაზრდა მუშები შეიძენენ ცოდნას სამთო დარგში, აამაღლებენ თავის კვალიფიკაციას, ასეთი სკოლა მოამზადებს კვალიფიციურ გამოცდილ მუშა ხელს, რაც ასე სჭირია ჭიათურას.

მიუხედავად ამისა, სამთო-სამრეწველო სკოლა, რომელიც ემსახურება ზემოდ დასახულ მიზნებს, იმყოფება ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში და, თუ მას დროზე არ მიექცა ყურადღება, იგი დაიხურება უსახსრობის გამო.

ჯერ კიდევ 1927 წელში სამთამადნო კავშირის მეოხებით ჭიათურაში გაიხსნა ერთწლიანი პროფტექნიკური კურსები, სადაც მეცადინეობდა მრეწველობაში ჩაბმული 32 მუშა.

კურსები დაამთავრა წარმატებით ყველა 32 მუშამ. ეხლა ეს მუშები გაფანტულნი არიან ჭიათურის სხვადასხვა მაღარო-ქარხნებში ზოგი ათისთავად, ზოგი მემანქანედ, ზოგიც მექანიკოსების თანაშემწეებად. ერთი მუშაობს ექსკავატორზე.

1928 წლის 10 თიბერვალს კურსები გადაკეთებულ იქნა ორწლიან სამთო-სამრეწველო სკოლად. სკოლაში მიღებული იქნა 25 ახალგაზრდა 16-დან 20 წლამდე.

მოწაფეები ყველა მუშების და ღარიბ გლეხების შვილებია. ყველანი—კომკავშირის წევრებია.

მეცადინეობა უხდებათ ფრიად ცუდ პირობებში. სკოლას აქვს ორი სახელოსნო: სადურგლო და საზეინკლო.

სადურგლო სახელოსნოში მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორ დღეს. მაგრამ, სახელოსნოში არ არის დაზგების საჭირო რაოდენობა. (სულ არის 4 დაზგა). არ არის აგრეთვე საჭირო იარაღები. მთავარი კი არის მასალის უქონლობა. სახელოსნოს გამგემ შემომჩივლა, რომ მას არა აქვს შესაძლებლობა ამეცადინოს მოწაფეები, რადგან არ არის თანხა მასალის შესაძენათ.

გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია საზეინკლო სახელოსნო.

ამ სახელოსნოს გამგე დიდათ კმაყოფილია მოწაფეებით.

ერთი წლის განმავლობაში მოწაფეებს შეუძენიათ ბევრი რამ. მათ მიერ დამზადებულია მრავალი იარაღი და ხელსაწყოები. როდესაც ათვალიერებ ამ იარაღს, გგონია რომ ჩაქუჩები, ცირკულები და მრავალი სხვა იარაღი დამზადებულია სპეციალურ ქარხანაში.

მაგრამ, აქაც მუშაობას ხელს უშლის მასალის უქონლობა.

სკოლას აქვს თავისი სამჭედლო, თუ კი ნახევრად დანგრეულ შენობას სადაც მოთავსებულია ერთი ძველებური ქურა შეიძლება ეწოდოს სამჭედლო. აქ მუშაობს რამოდენიმე მოწაფე, რომლებიც ჭედავენ რკინას.

სამჭედლოში პირდაპირ შეუძლებელია მუშაობა. აქ არ არის დაცული არავითარი შრომის კანონი. თუმცა კი შესაძლებელია სამჭედლოს გადატანა უფრო კარგ შენობაში, შენობები ამისათვის მოიპოვება ჭიათურაში.

მუშაობა სახელოსნოებში სწარმოებს დღის 12 საათამდე. საღამოთი მიმდინარეობს თეორიული მეცადინეობა.

რადგან სკოლას არა აქვს ამისათვის განსაკუთრებული შენობა, ამიტომ მოწაფეები მეცადინეობენ ადგილობრივ 9 წლედის შენობაში, რაც ფრიად უხერხულია.

თეორიულ საგნებს კვირაში დათმობილი აქვს 30 საათი. მოწაფეები სწავლობენ ქართულ და რუსულ ენას, საზოგადოებათ მეცნიერებას ეკონომიურ გეოგრაფიას, ანგარიშს, გეოგრაფიას, ფიზიკას, ქიმიას, გეოლოგიას; მინერალოგიას; სამთო ხელოვნებას; მასალათა მცოდნეობას და ტეხნიკურ ხაზვას.

რადგან მოწაფეებს სკოლის დამთავრების შემდეგ მოუხდებათ მუშაობა ჭიათურის ქარხანა-მაღაროებში ამიტომ ხშირად იმართება ექსკურსიები ჭიათურის მაღაროებში. ერთი წლის განმავლობაში მოწყობილ იქნა 8 ექსკურსია.

მოწაფეებს არა აქვთ საერთო საცხოვრებელი ბინა, რის გამო ბევრს უხდება სიარული შორეულ სოფლებიდან. სკოლას არა აქვს ბიბლიოთეკა. არ არის აგრეთვე სახელმძღვანელოები.

სკოლის ფიზიკური კაბინეტი მოთავსებულია კერძო ბინაზე, რის გამო შეუძლებელია სარგებლობა ამ კაბინეტით.

დღიდან სკოლის გახსნისა, დახარჯულია მაზე სულ 14.481 მანეთი. აქედან: ინვენტარ-იარაღის შესაძენათ დაიხარჯა 5.186 მანეთი მოწაფეთა სტიპენდიაზე—4.600 მანეთი, მიეცა ხელოსნად მასწავლებლებს—5.144 მანეთი.

სკოლის შესანახად სამთამადნო კავშირი ყოველთვიურად იღებს 1.057 მანეთს, სხვა არავითარ თანხებს სკოლა არსაიდან არ ღებულობს.

აუცილებლად საჭიროა, რომ სკოლას მიექცეს სათანადო ყურადღება და გამოსწორდეს მისი მდგომარეობა.

სკოლის გამგე-ინჟინერი ა. გოგავა—ამბობს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ სკოლა უზრუნველ ყოფილი იქნება, იგი მოუტანს დიდ სარგებლობას ჭიათურის მრეწველობას, მიაწოდებს რამას კვალიფიციურ მუშებს.

საჭიროა, რომ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეტანილი იქნეს საკითხი სკოლის შესახებ.

განათლების სახ. კომისარიატმა უნდა თავისი მხრივ იზრუნოს სკოლის უზრუნველყოფაზე ყველა საჭირო მასალით, ხელსაწყოებით და სახელმძღვანელოებით.

ჭიათურის შავი ქვის ტრესტმა, რომელსაც დღემდის არავითარი გაუკეთებია სკოლისათვის, უნდა აღმოუჩინოს მას დახმარება ყოველ მხრივ.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა,
18 იანვარი.

„ჩააცვით გიჟის ხალათი“

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიის დასკვნა)

გაზეთ „რაბოჩაია პრავდა“-ში (2 დეკ. 1928 წ. № 278) მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „ჩააცვით გიჟის ხალათი“. ამ.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის განკარგულებით, ხსენებულ წერილის გამო შესდგა სპეციალური კომისია, რომელმაც დაჰკითხა მთელი რიგი ინციდენტში უშუალოდ მონაწილე პირები და აგრეთვე გაეცნო საქმის შესახებ დაგროვილ მასალას.

გამოირკვა, რომ ინციდენტში დამნაშავე ყოფილა უქსი, რომელიც სულ მოკლე დროს განმავლობაში რამდენიმე, ერთი მეორის საწინააღმდეგო, განკარგულებას იძლეოდა. მას ორი ორდერი გაუცია ერთსა და იმავე ოთახზე, და ამ გარემოებას გამოუწვევია ორდერის ორი პატრონის ერთმანეთთან შეჯახება.

პერსონალურად ზემოხსენებულში პასუხისმგებელი აღმოჩნდნენ უქსის ყოფილი გამგე ამხ. ბრეგვაძე, საბინაო სექციის გამგე ამხ. გაბუნია და სახლის კომენდანტი ამხ. ბაჯალოვი (გუდოვიჩის ქ., № 12).

ოთახის დაკავების ნიადაგზე ერთმანეთის შეურაცხყოფა მიაყენეს სტუდენტმა მელავორიანმა და ამ.-კავკასიის მუშგლეხინის კანცელარიის გამგემ შახნაზაროვმა.

ამხ. შახნაზაროვი, პასუხისმგებელი მუშაკი, არ შეეცადა ინციდენტის უმტკივნეულოდ მოგვარებას, თუმცა ეს მოსახერხებელი იყო. მელავორიანს კი აღმაშფოთებლად ეჭირა თავი. მან შეურაცხყოფა მიაყენა მილიციას.

გამოირკვა, ისიც, რომ მელავორიანის გამოსახლების დროს მილიციამ ზეგავლენის დაუშვებელ მეთოდებს მიმართა, რასაც საჭიროება არ მოითხოვდა.

ამასთანავე ზემოდ აღნიშნულ შენიშვნაში მოყვანილი ფაქტები არსებითად დამტკიცდა, თუმცა შახნაზაროვის წინააღმდეგ წამოყენებული ზოგიერთი ბრალდება გადამეტებულია.

ამ.-კავკასიის მუშგლეხინის წინადადებით, ამ საქმის გამო საქართველოს მუშგლეხინმა გამოიტანა ინციდენტში დამნაშავე პირთათვის დისციპლინარული სასჯელი.

1. უქსის საბინაო სექციის გამგეს გაბუნიას გამოეცხადა საყვედური ბინის განაწილების დროს გამოჩენილი ბიუროკრატიზმისათვის.
2. ამხ. ბრეგვაძის შესახებ საკითხი მოიხსნა, რადგანაც ის ამჟამად უქსში არ მსახურობს.
3. გამოეცხადა სასტიკი საყვედური უფროს მილიციონერს ჩხეიძეშვილს ზეგავლენის დაუშვებელი მეთოდების ხმარებისათვის.
4. გამოეცხადა საყვედური სტუდენტ მელავორიანს მილიციის შეურაცხყოფისათვის.
5. სასტიკი საყვედური გამოეცხადა აგრეთვე ამხ. შახნაზაროვს თავშეუკავებლობისათვის.

ქრონიკა

აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა შემოწმება

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს „გლაველექტრო“-ს კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ პროფესორი გრაფტიო, გეოლოგი სოვარენსკი, „დნეპროსტროი“-ს ამერიკული კონსულტაციის მთავარი ინჟინერი ფაიფერი და სხვები, დაამთავრა აჭარისწყალის ჰიდრო-სადგურის მშენებლობის გამოკვლევა და თბილისში დაბრუნდა.

ამ დღეებში კომისია საქართველოს სახკომსაბჭოს წარუდგენს მოხსენებას გამოკვლევის შედეგების შესახებ და მოსკოვში გაემგზავრება (ადს).

„ყველ-კარაქ კავშირი“

3 თებერვალს „სოფლის კავშირში“ შესდგება სრულიად საქართველოს მერძევეთა არტელების წარმომადგენლების პირველი ყრილობა, რომელზედაც ჩამოყალიბებული იქნება მერძევეთა კოოპერაციის სპეციალური ცენტრი „ყველ-კარაქ კავშირი“.

საპონი

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რეგულირების სამმართველოს ცნობით, საქართველოს საპნის ქარხნებმა იანვრის განმავლობაში დაამზადეს 166 ტონა ბირთვის და 165 ტონა მარმარილოს საპონი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: ცეკავშირს მიეცა 192 ტონა, აფხაზეთის კოოპ. კავშირს —18 ტონა, მუშკოოპს—59 ტონა, „ზაკტპო“-ს—37 ტონა და „ზაკვოენპო“-ს—25 ტონა საპონი.

მიმდინარე წლიდან საქართველოს საპნის მრეწველობა მთელ თავის პროდუქციას გადასცემს „ზაკტორგს“, რომელიც საპონს გაუნაწილებს კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **მთავარი საავადმყოფოს გახსნა.** დამთავრდა რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს შენობის შეკეთება. საავადმყოფო გაიხსნება ამ დღეებში.

◆ **სანიტარულ-ჰიგიენური გამოფენა.** საქ. ექიმთა მე-5 კონგრესის გახსნის დღისათვის ბათომში იწყობა დიდი სანიტარულ-ჰიგიენური გამოფენა. გამოფენის ექსპონატების ნაწილი უკვე გაგზავნილია ბათომში, სადაც გაიხსნება კონგრესი.

სხვადასხვა

◆ **სამეცნიერო მუშაკთა კონფერენცია.** დღეს განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნება სამეცნიერო მუშაკთა კონფერენცია.

◆ **შრომის კანონთა კრებული.** ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს ამჟამად მოქმედ შრომის კანონთა სრული კრებული.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** სამშაბათს, 22 იანვარს საღ. 8 საათზე შესდგება ლენინის მოსაგონარი საღამო. ამხ. მ. ორახელაშვილი წაიკითხავს მოხსენებას „ხუთი წელი ულენინოთ“.

სახელგამში

◆ **ლენინის დღეებისათვის.** სახელგამის სამმართველოში ლენინის [illegible] 5 წლისთავის აღსანიშნავად თანამშრომელთათვის მოეწყობა საღამო მოგონებებით.

◆ **ლენინის თხზულებანი [illegible].** სახელგამის ყველა მაღაზიებში ლენინის ხსოვნის დღეების განმავლობაში მოეწყობა ლენინის სხვადასხვა თხზულებათა (ქართულ ენაზე) გაყიდვა 40 პროც. ფასდაკლებით.

◆ **გრიბოედოვის კომედია ქართულად.** მწერალ გრიბოედოვის გარდაცვალებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავად, სახელგამი ბეჭდავს გახსენებულის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“. წიგნს დართული იქნება რ. კალაძის წერილი გრიბოედოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

◆ **ოსური სახელმძღვანელოები.** სახელგამი შეუდგა ოსური სახელმძღვანელოების ბეჭდვას ცხინვალში.

„მნათობი“

◆ გამოვიდა ჟურ. „მნათობი“ № 11—12, შემდეგი შინაარსით: გალაკტიონ ტაბიძე—ეპოქა (პოემა). ნ. ზომლეთელი—ღელვა პლიაჟზე. ალ. აბაშელი—მამის სიკვდილი. ვ. გორგაძე—მე და ცეიბა. ვარ. ჟღენტი—წიკლაურის სამშობლო, ვ. გაბესკირია—სოფლად. გიდ. გუგუნავა—გამგზავრება სამშობლოში. ნ. ლორთქიფანიძე—ბილიკებიდან ლიანდაგზე (დასასრული), ნ. მიწიშვილი—„ალექსანდრიკ“, გიორგი წერეთელი—გულქან (დასასრული), ანასტასია ერისთავ-ხოშტარია—სალი (დასასრული), მ. გორკი—არტამანოვების საქმე.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე პროფ. შ. ნუცუბიძის და ს. ხუნდაძის წერილები ჩერნიშევსკის შესახებ. მიხეილ ჯავახიშვილის წერილი და ვ. ბახტაძის კრიტიკული შენიშვნები.

სახელგამის ახალი გამოცემები

რედაქციამ მიიღო სახელგამის შემდეგი ახალი წიგნები:

ფ. მახარაძე — საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები 64 გვ., 20 კ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის რეზოლიუციები 60 გვ., 20 კ.

ე. ნინოშვილი — მოსე მწერალი 70 გვ. ფ. 20 კაპ.

ი. დავითაშვილი—ჩრდილი ლექსები. 32 გვ. ფ. 10 კაპ.

ვ. ლორთქიფანიძე—სამკურნალო სტატისტიკა და სოციალური სნეულებანი 298 გვ., ფ. 3 მ. 40 კაპ.

პროლეტარული მწერლობა № 12, 80 გვ. ფ. 50 კაპ.

კიზილ შეფიკ (საბ. ჟურნალი) № 12, ფ. 35 კაპ.

რკინისგზეზე

ორთქლმავლის დამსხვრევა

18 იანვარს ღამით მატარებელმა (№21) ხაშურში მისვლის დროს გაიარა ისრები და შეიჭრა მეოთხე ხაზზე. ამ ხაზზე მანევრებს აწარმოებდა მეორე მატარებელი. მატარებელ № 21-ს მემანქანემ ვერ შესძლო შემადგენლობის გაჩერება და დაეჯახა სამანევრო მატარებელს.

დაჯახების გამო მატარებელ № 21-ს ორთქლმავალი გადავარდა ლიანდაგიდან და დაიმსხვრა. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. სასწრაფოდ იქნა გამოძახებული მუშები, რომლებიც შეუდგნენ ორთქლმავლის ამოღებას და ხაზების გაწმენდას. ორთქლმავალი ამოიღეს და ხაზები გასწმინდეს სამი საათის განმავლობაში.

შემთხვევის მიზეზებს ეძებენ.

აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებათა გამგეების
სრულიად საქართველოს თათბირი
გაიხსნება დღეს 20 იანვარს
საღამოს 6 საათ., საქ. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში

წარმომადგენლობის ნორმა და დღის წესრიგი რჩება უცვლელად.
შესვლა სპეციალური მანდატებით და პარტბილეთებით.
მანდატების გაცემა იწარმოებს დღეს დილის 10 საათიდან 1 საათამდე აგ. ტპრ. განყოფილებაში.

ორშაბათს, 1929 წლის 28 იანვარს თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (კირკის ქუჩა)

მოწვეულია

თბილისის მე-9 პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1. პარტიის თბილისის კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის თბილისის კომიტეტის თანამოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენება.
4. მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე.
5. მუშაობა სოფლად.
6. არჩევნები.

საქართ. კომპარტიის (ბ) თბ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

კელოგის პაქტის რატიფიკაცია ამერიკის მიერ. — იმპერიალისტები შეიარაღებას აძლიერებენ. — პოლონეთი მეორე პასუხს ამზადებს. — მორიგი კონფლიქტი სეიმსა და პილსუდსკის შორის. — გერმანია-საფრანგეთის კავშირის იდეა. — მდგომარეობა ავღანისტანში.

ჩრდილოეთ ამერიკის სენატმა ამ დღეებში მოახდინა კელოგის პაქტის რატიფიკაცია. თუ ამ პაქტზე ხელმოწერის დროსაც (1924 წ. 27 აგვისტო) ცხადი იყო იმპერიალისტების „პაციფისტური“ ჟესტის ნამდვილი ღირებულება, ეხლა ბრმებმაც კი უნდა დაინახონ, რომ კელოგის დოკუმენტი, ისე როგორც ბურჟუაზიული დიპლომატიის ბევრი სხვა „სამშვიდობო“ აქტი ქაღალდის უბრალო ნაგლეჯს წარმოადგენს.

სხვათა შორის, ამერიკის ზოგი სენატორი კელოგის პაქტის დამტკიცებასთან დაკავშირებით, აღნიშნავდა, რომ პაქტი საჭიროა მხოლოდ „ფსიქოლოგიური ეფექტებისათვის“-ო. მაგრამ უდავოა, რომ იგი ასეთ ეფექტსაც ვერ იწვევს. ამიტომაა, რომ ის ხალხიც, რომელიც თავის დანიშნულებას ხედავს იმპერიალისტების ყოველგვარი „სამშვიდობო“ ნაბიჯებისათვის ხოტბის შესხმაში, ეხლა უკვე იძულებულია ერთგვარი თავდაჭერილობა გამოიჩინოს. თითქმის არაფერი დარჩა იმ თვალთმაქცური „საზეიმო“ განწყობილებიდან, რომელიც ახლდა კელოგის პაქტზე ხელის მოწერას. ეს გასაგებია: მასების მოტყუება ყოველთვის როდი შეიძლება.

სხვათა შორის, ის შენიშვნები, რომლებიც ამერიკის სენატმა დაურთო პაქტის რატიფიკაციას, ზედმეტად შეუძლებელს ხდიან კელოგის „შემოქმედების“ პერსპექტივების ოპტიმისტურ შეფასებას. ჯერ ერთი, კანონიერადაა აღიარებული „თავდაცვითი“ ომი. ჩვენ კი ვიცით, რომ იმპერიალისტები ყოველგვარ დაპყრობით ომს თავდაცვად ნათლავენ. შემდეგ: პაქტი არ საზღვრავს, პირიქით, თურმე გულისხმობს მონროეს დოქტრინას, რომლის მიხედვით ამერიკა ამერიკელებისათვის უნდა იყოს, ე. ი. ჩრდილოეთ ამერიკა „უფლებას“ ინარჩუნებს დაიმონოს ლათინური ამერიკა, რაც ამავე დროს ნიშნავს ბრძოლის გამწვავებას ინგლისთან; რომელიც თავის მხრივ ცდილობს იქ ძველი პოზიციების შენარჩუნებას. ამასთან, პაქტი არ უარყოფს სხვა ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც ძალადობაზე არიან აგებულნი და ომის საფრთხეს შეიცავენ. თუ ამას დაუმატებთ, რომ ლონდონს აქვს თავისი „მონროეს დოქტრინა“, მსოფლიოს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პუნქტები, რომლებზედაც კელოგის პაქტი არ უნდა გავრცელდეს; თუ იმ გარემოებასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ საფრანგეთის თვალსაზრისით კელოგის პაქტმა მისი სამხედრო ხელშეკრულებათა სისტემა ხელუხლებლად უნდა დასტოვოს, — ნათელი შეიქნება, რომ პარიზის აქტი ვერ შეუწყობს ხელს მშვიდობიანობის განმტკიცებას, კიდევ მეტი: იმპერიალისტები ცდილობენ მის გამოყენებას თავისი აგრესიული საომარი მიზნებისათვის.

* * *

თითქო ამ აზრის ნათელსაყოფად ამერიკის სენატი, კელოგის პაქტის რატიფიკაციასთან ერთად, იხილავს სამხედრო საზღვაო მშენებლობის უდიდეს პროგრამას, რომელიც 15 ახალ გიგანტ კრეისერის აგებას ითვალისწინებს. ამავე დროს საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მიიღო პროექტი საზღვაო ფლოტის გაძლიერების შესახებ. ამან ხელი არ შეუშალა ბრიანს პალატაში წინადადება შეეტანა, რომ მან კელოგის პაქტის რატიფიკაცია მოახდინოს. ბრიანის აზრით, კელოგის პაქტი ომის აკრძალვის შესახებ სრულიად არ ეწინააღმდეგება შეიარაღებას და, მაშასადამე, ომისათვის მზადებას.

საყურადღებოა აგრეთვე გერმანიის სამხედრო მინისტრის გრენერის საიდუმლო მემორანდუმი, რომელიც ინგლისურმა ჟურნალმა „რევიუ ოფ რევიუს“-მა გამოაქვეყნა, მემორანდუმი აღნიშნავს ქვეყნის „მწყობრი თავდაცვითი ძალის არსებობის“ აუცილებლობას — პოლონეთის თავდასხმის აცილების და იმ კონფლიქტებში გერმანიის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებშიც დასავლეთის ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას. მეტად საეჭვოა, რომ გერმანიის აღორძინებულ იმპერიალიზმს შეიარაღება მარტო თავდაცვითი მიზნებისათვის, საჭიროებდეს. ამავე დროს დამაფიქრებელია მემორანდუმის ის მუხლი, რომლის მიხედვით გერმანიის ჯავშნოსნებმა უნდა მოახდინონ „საბჭოთა კავშირის მძლავრი სამხედრო ფლოტის უპირატესობის ნეიტრალიზაცია“. რა თქმა უნდა, გერმანიის მმართველთ უნდა ესმოდეთ, რომ საბჭოთა კავშირი არც ერთი ქვეყნისათვის, მათ შორის გერმანიისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. ჩვენი მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკა, კერძოდ გერმანიასთან არსებული ნორმალური დამოკიდებულება ამ მხრივ გრენერებისათვის ურყევ საბუთს უნდა წარმოადგენდეს. ასეთ პირობებში აბსურდულია ლაპარაკი (მეტი რო არა ვსთქვათ) ჩვენი „სამხედრო ფლოტის უპირატესობის ნეიტრალიზაციაზე“.

გრენერი ამბობს, რომ გერმანიას სამხედრო ძალა ესაჭიროება ნეიტრალიტეტის დასაცავად საერთაშორისო კონფლიქტების დროს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას აქ მხედველობაში აქვს ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტების მხრივ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიის გამოყენების ცდა. მაგრამ ხომ არ შეიძლება გერმანიის სამხედრო გაძლიერება გადაიქცეს ამ შემთხვევაში ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფის საშუალებიდან საბჭოთა სახელმწიფოებზე გამოლაშქრების იარაღად!

კაპიტალისტურ ქვეყნების შეიარაღების ზრდა, მათი მეტოქეობა ამ დარგში ხდება კელოგის პაქტის არსებობის გვერდით, რაც იმპერიალისტებს სრულიად ნორმალურ მოვლენად მიაჩნიათ. ისინი აშკარად ემზადებიან ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტისათვის. აქედან ერთხელ კიდევ ცხადი ხდება ყველასათვის, რომ მშვიდობიანობის უზრუნველყოფა შეიძლება არა კელოგის პაქტით და იმპერიალისტების სხვა მსგავსი „პაციფისტური“ დოკუმენტებით, არამედ საყოველთაო შეიარაღების გატარებით. ესაა ის გზა, რომელზედაც საბჭოთა მთავრობა მიუთითებს.

* * *

იმპერიალისტების აგრესიულ ზრახვებს კარგად ამჟღავნებს ის გარემოებაც, რომ ისინი აჭიანურებენ თვით კელოგის პაქტის რატიფიკაციასაც. თუმცა იგი მხოლოდ მორალურ ვალდებულებებს შეიცავს ომის აკრძალვის დარგში, ისიც იმგვარი შენიშვნებით, რომელნიც ამ ვალდებულებებს ყოველგვარ ფასს უკარგავენ. ის გამოხმაურება, რომელიც ევროპაში გამოიწვია პოლონეთისადმი მიმართულ საბჭოთა მთავრობის წინადადებამ, კელოგის პაქტის დაუყონებლივ ძალაში შეყვანის შესახებ, ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც ყოველ შემთხვევას იყენებს მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის, თავის დროზე, შეუერთდა კელოგის პაქტს. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, დაფარული არ არის, რომ ეს პაქტი იმპერიალისტების თვალთმაქცობაა, რომ მათ სურთ იგი აქციონ იარაღათ თავიანთი ბნელი მიზნებისათვის. ჩვენმა მთავრობამ ხელი მოაწერა პაქტს, რომ ეს ზრახვები ჩაფუშოს და იგი გამოიყენოს ომის საფრთხის შესამცირებლად, რამდენადაც ეს შეიძლება. ამიტომ მისცა მან ხსენებული წინადადებაც პოლონეთს, რომლის პოლიტიკა სერიოზულ მუქარას წარმოადგენს მშვიდობიანობისათვის აღმოსავლეთ ევროპაში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ვარშავამ ყურით მოთრეული საბუთებით არსებითად უარჰყო იგი. მკითხველი გაცნობილია აგრეთვე ამხ. ლიტვინოვის საპასუხო ნოტას, რომელმაც ამ საბუთების უსუსურობა აშკარა გახადა.

ეხლა ვარშავაში (უფრო სწორად: პარიზში) კვლავ ამზადებენ პასუხს. ისევ გაისმის ხმები, თითქო საბჭოთა მთავრობის ნაბიჯი „ინტრიგაა“ პოლონეთის წინააღმდეგ, რომ ვითომ ჩვენ „სახიფათოდ“ ვიყენებთ კელოგის პაქტს და სხვ. დეპუტატთა პალატაში ბრიანის გამოსვლა ცხადყოფს, თუ როგორი იქნება პოლონეთის პასუხი: პოლონეთი დასთანხმდება საბჭოთა წინადადებაზე, „მაგრამ იმ პირობით, რომ ეს პაქტი არ განისაზღვროს პოლონეთით და რუსეთით, არამედ გავრცელდეს ევროპის ყველა ქვეყნებზე, რომელნიც უშუალოდ აკრავენ რუსეთს, დაწყებული რუმინეთით და გათავებული ბალტიის მხარის სახელმწიფოებით“.

არა გვგონია აღმოჩნდეს ისეთი გულუბრყვილო ვინმე, რომელიც ბრიანის მიერ საკითხის ასე „ფართო მაშტაბით“ დაყენებას მიიჩნევს საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის მშვიდობისმოყვარეობის დამამტკიცებელ არგუმენტად. ჩვენს წინადადებაში გარკვევით იყო აღნიშნული, რომ ყოველ სახელმწიფოს შეუძლია მას შეუერთდეს. თუ მიუხედავად ამისა, ბრიანი (და პოლონეთის მთავრობა) „მზრუნველობას“ იჩენს რუმინეთის და ბალტიის ქვეყნების მიმართ და მოითხოვს მათ შეთანხმებულ გამოსვლას, ეს იმით აიხსნება, რომ იმპერიალისტებს სწადიათ გაართულონ და გააჭიანურონ საქმე, რათა ჩვენი მეზობელ ქვეყნების მხრით კელოგის პაქტის რატიფიკაციამ ხელი არ შეუშალოს ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის ცდას. თვით ეს რატიფიკაცია მათ სურთ გამოიყენონ ანტისაბჭოთა ძალების შესაკავშირებლად. ყველაფერი ეს იმდენად ნათელია, რომ იმპერიალისტები გზა-კვალს ვერავის აუბნევენ.

* * *

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომ პოლონეთის სეიმის ყოველი სესიის დროს იწყება ლაპარაკი სეიმის გარეკვის და სახელმწიფოებრივი გადატრიალების შესახებ. სეიმი, რომელსაც პილსუდსკიმ მეძავ ქალების დაწესებულება უწოდა, დიდი ხანია მხოლოდ ქაღალდზე არსებობს; მას არავითარ ანგარიშს არ უწევენ ნამდვილ ძალაუფლების მქონე ფაშისტური ჯგუფები.

აი ეხლაც: პილსუდსკი „სახალხო წარმომადგენლობას“ აბუჩად იგდებს; იგი დემონსტრატიულად არ გამოცხადდა სეიმის კომისიაზე, რომელიც მთავრობის სამხედრო ბიუჯეტს იხილავდა, იქ თავისი წარმომადგენელიც არ გაგზავნა. „სამხედრო ბიუჯეტის განხილვას არ შეიძლება დაესწროს არც თვით მარშალი, არც რომელიმე მაღალი რანგის ოფიცერთაგანი, ვინაიდან შესაძლებელია რომელიმე დეპუტატთაგანმა მოინდომოს მათ შეურაცხყოფა მიაყენოს“-ო,—ასე განმარტა პილსუდსკიმ ხსენებული ნაბიჯი. ე. ი. სამხედრო კასტა ვერ მოითმენს კრიტიკას („შეურაცხყოფას“) სეიმის მხრით, „მუნდირია“ ყველაფერი, სეიმი არაფერი—ასეთია პილსუდსკის რეჟიმი.

მაგრამ პილსუდსკის მომხრენი უკიდურესი მემარჯვენეებიდან ამითაც არ კმაყოფილდებიან: მათ სურთ ფორმალურადაც მოახდინონ პარლამენტარიზმის ფიქციის ლიკვიდაცია. ბევრი იქამდეც კი მიდის, რომ პოლონეთში მონარქიის აღდგენას მოითხოვს.

ჩვენ მაინც არ ვფიქრობთ, რომ ამჟამად გადატრიალება მოხდება. პილსუდსკი ამას ალბად გაბედავს: შინაური მდგომარეობის გართულება პირველ ყოვლისა ხელს შეუშლის ამერიკაში სესხის მიღებას, რასაც ვარშავის მთავრობა ცდილობს, და საერთოდ შეარყევს მის ისედაც სუსტ საერთაშორისო პოზიციებს.

მორიგი გალაშქრება სეიმის წინააღმდეგ მიზნად ისახავს აიძულოს სეიმი შეუკვეცელად დაადასტუროს გაბერილი სამხედრო ბიუჯეტი და დასთანხმდეს კონსტიტუციის შეცვლაზე პრეზიდენტის უფლებების გაფართოების მიზნით. თუ ამ მხრივ სეიმი ურჩობას გამოიჩენს, ბოლოს და ბოლოს შეიძლება სეიმის გარეკვითაც გათავდეს საქმე. მაგრამ არა გვგონია, რომ სეიმმა ასეთი „გამბედაობა“ გამოიჩინოს. უფრო მოსალოდნელია, რომ ის კვლავ წამოიჩოქებს პილსუდსკის წინაშე.

ფაშისტები ნიღაბ ახდილ დიქტატურისკენ მიიწევენ. პოლონეთის მაგალითზე მჭერმეტყველურად მოჩანს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის უძლურება და გახრწნილება.

მშრომელ მასების წინაშე სდგას ამოცანა ბრძოლის გაძლიერებისა, როგორც ამ პარლამენტარიზმის, ისე ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ. ამას ხელს შეუწყობს მთავრობისა და სეიმის დაუსრულებელი კონფლიქტი.

* * *

გერმანიის პრესის ნაწილი დაუბრუნდა გერმანია-საფრანგეთის პოლიტიკური კავშირის შექმნის მივიწყებულ იდეას. მსხვილმა კაპიტალისტმა რეხბერგმა, რომელიც ამ იდეის აპოლოგეტია, კვლავ წამოყო თავი. მისი აზრით, ეს კავშირი, რომელსაც შემდეგ ინგლისიც შეიძლება შეუერთდეს, ერთი მხრით საფრანგეთის პოლიტიკურ კომპენსაციას მისცემს რეინის ოლქის დაცლისათვის და უზრუნველყოფს მის უშიშროებას, მეორე მხრით იგი გაანეიტრალებს ამერიკის კონკურენციისაგან ევროპის მრეწველობის დაცვის საჭიროებიდან. ამასთან, ჩვენ ვიცით, რომ რეხბერგი გერმანია — საფრანგეთ — ინგლისის ანტანტის მომხრეა კერძოდ საბჭოთა კავშირთან ბრძოლის მიზნით. ამ ანტანტაში მონაწილეობისათვის, ფიქრობს რეხბერგი, ინგლისმა და საფრანგეთმა გერმანიას უნდა მოხსნან ვერსალის ტვირთი.

ცნობილია, რომ გერმანიის ზოგიერთი სამრეწველო ჯგუფები ეკონომიურად დაინტერესებული არიან საფრანგეთთან დაკავშირებით, და უმთავრესად ეს უდევს საფუძვლად რეხბერგის გეგმას. მაგრამ აღნიშნულ კავშირის შექმნას წინ ეღობება გადაულახავი დაბრკოლებანი. გერმანელ კაპიტალისტების ცდა, რომ საფრანგეთის საშუალებით დაიპყრონ პოზიციები უცხოეთში და თვით საფრანგეთში, მიზანს ვერ აღწევს. ამას მედგარ წინააღმდეგობას უწევს საფრანგეთის მრეწველობა (გაიხსენეთ უთანხმოებანი ევროპის ფოლადის ტრესტში). ამასთან შეუძლებელია გადალახვა იმ ნაციონალური მტრობისა, რომელიც საფრანგეთსა და გერმანიას შორის მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა დასთესს. დასავლეთისაკენ აღებულმა ცალმხრივმა ორიენტაციამ გერმანიას მხოლოდ იმედების გაცრუება მოუტანა. ამან არამც თუ არ გააუმჯობესა, არამედ გაუარესა მისი საერთაშორისო მდგომარეობა. ამ გარემოებამ და ეკონომიურმა აუცილებლობამ გერმანიის ხელმძღვანელები იძულებული გახადეს საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის გზას დასდგომოდნენ.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცდა გერმანია—საფრანგეთის თუ გინდა დროებითი შეთანხმების მიღწევისა არ გაგრძელდება. რეხბერგების გარდა, გერმანიაში მოიპოვებიან სხვა ელემენტებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ კაპიტალისტურ დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მომავალ შეტაკების დროს გერმანიას შეუძლია ძვირად გაყიდოს ესა თუ ის გადაწყვეტილება. ასეთ აზრს პირდაპირ გამოსთქვამს უკიდურესი ნაციონალისტების ორგანო „დეიჩე ცეიტუნგ“.

ამგვარ ავანტიურას ჯერჯერობით ნიადაგი არ აქვს, მაგრამ „შესაფერ“ მომენტში, ვიმეორებთ, ამ მიმართულებით ინგლის—საფრანგეთის ბლოკი, უდავოა, განაახლებს ვაჭრობას გერმანიის მმართველ წრეებთან. „დეიჩე ცეიტუნგ“-ის და რეიხბერგის ხსენებული გამოსვლები ამ მხრივ დამახასიათებელია და ამავე დროს ერთგვარად გამაფრთხილებელიც.

* * *

ავღანისტანში ამბები უკანასკნელად სწრაფად ვითარდებოდნენ. ამანულა ხანის შემდეგ გადადგა მისი ძმა ინაიატულაც, რომელსაც მხოლოდ ერთი თუ ორი დღე ხვდა ფადიშახად ყოფნა. ქაბული აიღეს აჯანყებულებმა, რომლებსაც მთავრობის ჯარებმა ვერ გაუძლეს უმთავრესად იმის გამო, რომ მათი ნაწილი აჯანყებულთ მიემხრო.

აჯანყებულთა სარდლობა აცხადებს, რომ მეფედ იქნება მათი წინამძღოლი ბაჩა-საკი. უკანასკნელი ინგლისის იმპერიალიზმის ბრმა იარაღს წარმოადგენს, მაგრამ საეჭვოა, რომ მისი მდგომარეობა განმტკიცდეს. საქმე ის არის, რომ იგი ჩვეულებრივი ყაჩაღია, რომელსაც, ამასთან, არაფერი აქვს საერთო სამეფო გვარეულობასთან. ამიტომ ადვილად შესაძლებელია, რომ მისმა ტახტზე ასვლამ უკმაყოფილება გამოიწვიოს ცალკე ტომების მეთაურთა დიდ ნაწილში, რომ არ ვილაპარაკოთ მეფის მაძიებელ პირებზე, რომელთაც ამისათვის „კანონიერი“ უფლება აქვთ. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია მდგომარეობის გართულება.

თავისთავად, რა თქმა უნდა, სულ ერთია, ბაჩა-საკი იქნება ფადიშახად, თუ, მაგალითად, ომარხანი, ტახტის პირდაპირი პრეტენდენტი, რამდენადაც ორივე ერთნაირად ინგლისის პოლიტიკის გამტარებელი არიან. მაგრამ ამას მნიშვნელობა იმ მხრივ აქვს, რომ ბრძოლა ტახტისათვის პროგრესიულმა ელემენტებმა შეიძლება თავის მიზნებისათვის გამოიყენონ.

რეაქციის გამარჯვება, რა თქმა უნდა, დროებითია. ყოველგვარ ძალას აღემატება ისტორიული ჩარხის უკან მოტრიალება და საშუალო საუკუნოების წყობილების დიდი ხნით შენარჩუნება. ეჭვს გარეშეა, რომ ახლო მომავალში მეტის ენერგიით განახლდება ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმისა და ქვეყნის ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციის წინააღმდეგ. გლეხობის აქტიური ჩაბმა ამ ბრძოლაში მისი წარმატებით დამთავრების უტყუარი საწინდარი იქნება. ეხლა კი გლეხობის მასა, რომლისთვისაც დამხობილ ხელისუფლებას არაფერი მიუცია და რომელიც ძველებურად მონურ მდგომარეობაში იყო დატოვებული, თავისთავად ცხადია, ვერ გამოდგა ქვეყნის განახლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალად. ამ ძირითადი გაკვეთილის გათვალისწინება და აქედან პრაქტიკულ დასკვნის გამოტანა დააჩქარებს ავღანისტანის თავისუფლების განმტკიცებას და მის წარმართვას პროგრესის გზაზე.

ზ. კ—ლი.

კინო

„კომუნარის ჩიბუხი“

კინო-სურათი შვიდ ნაწილად.

დადგმა და სცენარი ქ. მარჯანიშვილის, ოპერატორი ზაბოზლაევი

კინო-მეგობართა საზოგადოებამ 18 იანვარს მოაწყო სახკინმრეწვის ახალი სურათის „კომუნარის ჩიბუხი“-ს საზოგადოებრივი განხილვა. სურათის სცენარი წარმოადგენს მწერალ ილ. ერენბურგის ერთ-ერთ გადაკეთებულ მოთხრობას სერიიდან „30 ჩიბუხი“. სცენარის შინაარსი აღებულია პარიზის კომუნის ცხოვრებიდან.

პრუსიის მიერ დამარცხებული პარიზი საშინელ სასურსათო კრიზისს განიცდის. დამშეული ხალხი არბევს საწყობებს, იწყება აჯანყება. შეშინებული ბურჟუაზია გარბის ვერსალში, რომ პრუსიელების დახმარებით შეუტიოს აჯანყებულ პარიზს, რომელსაც სათავეში მოექცევა მუშა-მოსახლეობა. მუშა-რევოლუციონერი პოლი პატარა ოჯახის მამაა: ჰყავს ახალგაზრდა ცოლი და ოთხი წლის ვაჟი; მის ოჯახსაც საშინლად უჭირს, ცოლი ჰყიდის უკანასკნელ ფეხსაცმელს რომ ბავშვისთვის ერთი გირვანქა პური იყიდოს; ქმარს არ სცალია. იგი ბასტიონზეა: სხვებთან ერთად ემზადება ვერსალელთა დასახვედრათ. მის ლამაზ ცოლს შეუჩნდება ყასაბი, რომელიც იხვეწება მიატოვოს ოჯახი და გაჰყვეს მას ვერსალში. დიდი სულიერი ტანჯვის შემდეგ ქალი თანხმდება. სტოვებს პატარა ვაჟიშვილი მიყავს მამას ბასტიონზე. ბავშვს გასართობად პირში უჭირავს მამის ძველი ჩიბუხი. იწყება ვერსალის შემოტევა. სხვებთან ერთად ბრძოლაში მონაწილეობს პატარა კომუნარიც. კომუნა მარცხდება. პოლი კვდება ბასტიონზე. დამარცხებული კომუნარები მიჰყავთ დასასჯელათ, დატყვევებულია პატარა კომუნარიც. პარიზში ბრუნდება პატარა კომუნარის დედა. რომელიც სხვა პატიმართა შორის იცნობს თავის შვილს. ბავშვის დასჯას მოინდომებს გარყვნილი კორტიზანკა ბონჟავეტი, რომელიც ბავშვის ჩიბუხს თოფს უწოდებს. ამას შეამჩნევს დედა, მიეშველება ბავშვს მაგრამ გასროლილი ტყვია ბოლოს უღებს პატარა კომუნარს.

როგორც ფილმის შინაარსიდან სჩანს, რეჟისორის წინაში იდგა დიდი ამოცანა; ეჩვენებია მაყურებლისათვის პარიზის კომუნის ამაღელვებელი დღეები. სამწუხაროდ რეჟისორმა ეს ვერ შესძლო. ის მომენტი, რომელიც საბჭ. მაყურებელს ამ ამბავში ყველაზე მეტად აინტერესებს, დაჩრდილული და თითქმის სავსებით მიჩქმალულია. ბუმბერაზ პარიზის რევოლუციონურ აფეთქებას ჩრდილავს პატარა ბავშვი თავის ჩიბუხით. მაყურებლის ყურადღების ცენტრი ბავშვია და არა ორი კლასის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება, ბავშვი ჩიბუხით არის არა მნიშვნელოვანი დეტალი არამედ ფილმის მთავ. მამოძრავებელი ღერძი. აქედან გამომდინარეობს სურათის დანარჩენი ნაკლიც. რაკი რეჟისორის მხედველობიდან დაეკარგა პარიზის პროლეტარიატის აჯანყება, ფილმმა დაჰკარგა დინამიურობა. რეჟისორს აინტერესებს მხოლოდ ბავშვის ბედ-ღბალი და გვიჩვენებს მას, დედისაგან მიტოვებულს ბავშვს ბარიკადებზე. ბავშვს ტყვეთ ჩავარდნილს და ბავშვს თოფის ლულის წინ. ბრძოლა არა სჩანს, და, სადაც სჩანს, უფერულად.

ბურჟუაზია სტოვებს პარიზს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს იგი სტოვებს ქალაქს პროლეტარიატთან შეთანხმებით, სრული ნებაყოფლობით. მაყურებელი არ მოელის, რომ იგივე ბურჟუაზია თოფ-ზარბაზნებით შემოიჭრება პარიზში. თვით პროლეტარიატსაც თითქოს იმედი აქვს, რომ მას უკვე შეტაკება აღარ მოუხდება. მართალია, იგი ბასტიონებს ამაგრებს. ყუმბარებსა და ზარბაზნებს ამზადებს, მაგრამ სიფხიზლესა და ნერვიულობას მაინც არ იჩენს. კომუნარები ზარბაზანს მხოლოდ მაშინ გაისვრიან, როცა მტრის ყუმბარა თვალწინ გასკდება. ფილმს აკლია მოქმედების თანდათანობითი გამძაფრება; მოძრაობა მოდუნებულია, არ იწვევს მაყურებელში ნერვების დაჭიმვას. თვით ბრძოლის მომენტებს აკლია გრანდიოზულობა. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ერთ ბასტიონს. სადაც იბრძვის 7—8 კაცი და ერთ ბარიკადს ვიწრო ქუჩაზე; ვერსალის მხრიდან კი—200—300 ქვეით ჯარის კაცს და ცხენოსან რაზმს. პარიზის კომუნის ბრძოლის ასპარეზი მეტად დაპატარავებულია. მთელი რევოლუცია პატარა კომუნარის მოქმედების ფონად არის ქცეული, და ეს ფონი ბავშვის სიდიდეს არ აღემატება.

შემსრულებლებს—უშ. ჩხეიძეს, ვ. ანჯაფარიძეს, თ. ჭავჭავაძეს, როგორც კინო-მსახიობებს ეტყობათ პროგრესი. თუმც თეატრალობის დაღი კიდევ აზის. კარგია შ. ღამბაშიძე; შეუდარებელია პატარა კომუნარის როლში ზაბოზლაევი, რომელსაც თავისი უშუალობით გააქვს სურათი ბოლომდე; მხოლოდ ამ ბავშვისთვის ღირს სურათის ნახვა.

სურათის გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. რეჟ. ქ. მარჯანიშვილმა ფილმის ნაკლი ახსნა უსახსრობით, პარიზის კომუნის ნამდვილი სურათის მოსაცემად საჭირო იყო 500—700 ათასი მანეთი, მოგვცეს კი 70 ათასი მანეთი. ასეთ პირობებში იძულებული ვიყავით ასპარეზი შეგვევიწროვებია და დავკმაყოფილებულიყავით პარიზის კომუნის დამახასიათებელ ეპიზოდების გადმოცემით.

კინო-მეგობართა კრებამ სურათი დამაკმაყოფილებლად სცნო.

ვ.

საქ. სახკინმრეწვში

● **სახკინმრეწვის ჟურნალი.** დღემდე გამოშვებულია „სახკინმრეწვის ჟურნალი“-ს 6 ნომერი, რომლებშიაც ნაჩვენებია: საქართველოს მრეწველობის ზრდა, მშენებლობა მეზობელ რესპუბლიკებში, საქ. სამხ. გზა ზამთარში და ზაფხულში, შავი ზღვის სანაპიროები ზამთარში და უცხოეთის ქრონიკა. ახლო ხანში გამოვა კულტურული ფილმები „შრომის დღე ყარაჩაიში“ „საქართველოს კურორტები“ (ზამთარში და ზაფხულში, „ჩაქვი“ (ჩაის მეურნეობა), „დაღესტანი“ და „თუშეთი“.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა სახკინმრეწვს შეუკვეთა კულტურული ფილმი, რომელშიაც დახასიათებული უნდა იქნეს მარგანეცის დამუშავება ჭიათურის სარეწავებში.

● **მუშების მივლინება საბჭოთა კავშირის ქალაქებში.** სახკინმრეწვის გამგეობამ დაადგინა გაგზავნოს კიევში. მოსკოვში და ლენინგრადში მუშების ჯგუფი გადაღების განყოფილების გამგის სიდამონ-ერისთავის მეთაურობით. სადაც ისინი უნდა გაეცნონ უკრაინის სახკინმრეწვის „სოვკინოს“ და „მეჟრაბპომ-ფილმი“-ის ფაბრიკების მუშაობას. ჯგუფში შედიან ლაბორატორიის, სამონტაჟო განყოფილების სადურგლო, განათების და გადაღების ცეხების მუშები.

● **შეკვეთები სურათებზე.** სახკინმრეწვში მიღებულია მთელი რიგი შეკვეთები უკანასკნელად გამოშვებულ სურათებზე: კერძოდ, გამოშვებულია „ელისო“-ს 84 ეკზემპლიარი (წინად არც ერთი სურათი არ დამზადებულა 35 ეკზემპლიარზე მეტი).

● **სახკინმრეწვის სურათები უკრაინაში.** სახკინმრეწვის გამგეობამ ხელშეკრულება დასდო უკრაინის ფოტო-კინო სამმართველოსთან საქ. სახკინმრეწვის სურათების რეალიზაციის შესახებ. სულ შეკვეთილია 230.000 მანეთის სურათები.

● **სურათების მიღება უშუალოდ მოსკოვიდან.** აქამდე სურათებს თბილისის ეკრანებისათვის ღებულობდენ სახკინმრეწვის როსტოვის განყოფილებიდან. სურათები მოდიოდა დაგვიანებით და საკმაოდ გაცვეთილი, რაც იწვევდა მაყურებლების საყვედურს. ამჟამად მოგვარებულია საკითხი სურათების უშუალოდ მოსკოვიდან მიღების შესახებ რაც უზრუნველყოფს სურათების უფრო ჩქარა მიღებას.

სასამართლო

ყაჩაღი „ანგლია“

მოსე გიორგისძე იმერლიშვილი ს. ლამისყანაში (გორის მაზრა) ცნობილი იყო თავისი ბნელი წარსულით. კაცის მკვლელი, თავდამსხმელი და მშვიდობიანი მოსახლეობის ამწიოკებელი,—აი როგორ იცნობდნენ მას თანასოფლელები. მაგრამ ეს იყო წინად, რამდენიმე წლის წინად. მან ჩადენილ დანაშაულისათვის სასჯელიც მოიხადა.

გავიდა დრო. სოფლელები დარწმუნებულნი იყვნენ რომ იმერლიშვილი ციხემ გამოასწორა. რადგან ციხიდან გამოსვლის შემდეგ იმერლიშვილმა მუშაობას მიჰყო ხელი და პატიოსან მშრომელ გლეხს დაემსგავსა. მალე 50 წლისაც გადააბიჯა იმერლიშვილმა. ასე, რომ ამ გარემოებამაც განამტკიცა გლეხებში ის აზრი რომ იმერლიშვილი ბანდიტი აღარ ბუდობდა.

მაგრამ მაინც გაიღვიძა ბანდიტის სულმა იმერლიშვილში. შრომა და ჯაფა მას არაფრად ეპიტნავა. გაიხსენა ძველი დრო, როცა უშრომლადაც განცხრომით ცხოვრობდა.

იმერლიშვილს ყაჩაღად გასვლა სურს, მაგრამ უთოფობა უშლის ხელს. მისი ერთად ერთი მიზანია იარაღის ხელში ჩაგდება.

მან იცოდა რომ მის მეზობელ კომკავშირელ ჩინგაშვილს თოფი ჰქონდა. იმერლიშვილმა შეარჩია ისეთი დრო, როცა ჩინგაშვილისას არავინ იყო სახლში. გასტეხა ჩაკეტილი კარი, შეიპარა ოთახში და მოიპარა ჩინგაშვილის ვინტოვკა თავისი ვაზნებით. ეს იყო გასული წლის მაისში.

ამის შემდეგ იმერლიშვილი გაყაჩაღდა. მან დაირქვა მეტ სახელად „ანგლია“ და შეუდგა თავის ძველ ხელობას. ჯერ მეზობლიდან დაიწყო. შეუთვალა მეზობელ მაყაშვილს: თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია, ამა და ამ ადგილას ფული გამომიგზავნეო.

მაყაშვილისას იმ ხანებში მარტო ქალები იყვნენ სახლში. მათ ფული არ გაიმეტეს და სამაგიეროდ პირი გაუგზავნეს „ანგლიას“, რომელმაც არც ეს იუკადრისა.

„ანგლია“ ხვდება ცხენოსან მგზავრს, აჩერებს მას და სთხოვს ფულს მოკვლის მუქარით, მგზავრს ფული არ აღმოაჩნდა. არც აქ გაუმართლა „საქმე“ ყაჩაღს, მაგრამ ხელცარიელი მაინც არ წავიდა—წაართვა მგზავრს ჩოხა და ყაბალახი.

„ანგლია“ უგზავნის „ნოტებს“ სხვადასხვა პირებს, მაგრამ ვერსად ვერ აღწევს მიზანს ჩავარდა საგონებელში „ანგლია“ და ერთ დღეს გადაწყვიტა „თვითგანიარაღება“. მოპარული თოფი გაუგზავნა პატრონს. თვითონ კი დაიწყო მალულად ცხოვრება.

შორს ვერ მიდიოდა ყაჩაღი. ისევ თავის სოფლის ბაღებს აფარებდა თავს. მაგრამ დიდხანს აღარ დასჭირდა მალვა. მალე შეპყრობილ იქნა.

იმერლიშვილი გაასამართლა გორის მაზრის სასამართლომ ამხ. გახოკის თავმჯდომარეობით.

იმერლიშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა წლით სასტიკი იზოლაციით.

რატომ მოკლა ძმამ ძმა

ს. ალბულაში (სართიჭალის რაიონი) გასულ წელს ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: ძმები დავით და თედო დათუნაშვილები ერთად წავიდნენ საქეიფოდ მეორე სოფელში, სადაც ისინი მიწვეული იყვნენ ნათესავის ოჯახში.

მანამდე ძმებს შორის უკმაყოფილებას ადგილი არ ჰქონია. ერთად-ერთი, რაც საწყენად ჰქონდა გულში უნცროსს ძმას თედოს—ის იყო. რომ უფროსმა ძმამ დავითმა თედო საქორწილო არ გააყოლა მთაში [illegible] სულ უმცროსი ძმა—ვასოს გაყოლება. ეს ძალიან ეწყინა თედოს. ამას ამოწმებენ ოჯახის წევრები. მაგრამ არავინ ფიქრობდა და არც დღეს ფიქრობს, რომ ეს უბრალო უსიამოვნება საფუძვლად დაედებოდა იმ ალმაშფოთებელ ბოროტმოქმედებას, რომელიც მოხდა გასული წლის 12 ივლისს.

როგორც ვსთქვით, დავითი და თედო ნათესავს ეწვივნენ. იქ მათ გაუმასპინძლდნენ. უკან დაბრუნებისას გზაში უმცროსმა ძმამ თედომ ხანჯლით აჩეჩა უფროსი ძმა დავით დათუნაშვილი. რომელსაც აღმოაჩნდა 48 ჭრილობა სხეულზე და აგრეთვე ყელი ძვლამდე გადაჭრილი.

გუშინ გაარჩია ეს საქმე თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. ლ. ბურკაძის თავმჯდომარეობით. სასამართლოში უდაოდ დადასტურებულ იქმნა, რომ თედომ მოკლა თავისი ძმა დავითი, მაგრამ ათასნაირ ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩვენებების გამო ყოვლად შეუძლებელი გახდა მკვლელობის ნამდვილი მიზეზის გამოკვლევა. ბრალდებული თედო დათუნაშვილი, თვითონ გარკვევით არაფერს ლაპარაკობს. მოკლულ დავით დათუნაშვილის ცოლი ერთად-ერთ მიზეზად ზემო-მოყვანილ გარემოებას ასახელებს. სხვა უკმაყოფილებას მათ შორის ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ თედო დათუნაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით სასტიკი იზოლაციით.

გერ.

შემთხვევები

ტრამვაის ვაგონის დაჯახება ავტომობილზე

19 იანვარს ტრამვაის ვაგონი № 237, მარშრუტი მეოთხე) პუშკინის ქუჩაზე (№ 29 სახლის პირდაპირ) დაეჯახა შრომის ბირჟის ავტო-მანქანას. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. მანქანა დაზიანდა. შოფერი ლევან აშიახიძე და ვატმანი საბაშვილი დაპატიმრებულია.

თავის მოწამვლა

სასტუმრო „ნაციონალ“-ში (ამხანკომის ქ. № 1) თვითმკვლელობის მიზნით თავი მოიწამლა კაპიტონოვა ანდრიას ასულმა ტოლკინკომ.

უბედური შემთხვევა

გუშინ კინო „პროლეტარი“-ს აივნიდან გადმოვარდა ლეონ აიკას ძე არუთინოვი (14 წლისა, მცხ. რაბადის ქ. № 15), რომელიც მძიმედ დაშავდა. არუთინოვი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

გარყვნილების ბუდე

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა: გიორგი მიხეილის ძე სარქისოვი, ვართან ზაქარიას ძე საკოვი, იოსებ არტემის ძე მუჩაიძე და ლევან მიხეილის ძე სარქისოვი, რომელთაც კალოუბნის ქუჩაზე სახლში № 26 მოწყობილი ჰქონდათ გარყვნილების ბუდე.

არასრულწლოვანი დამნაშავენი

1928 წლის დეკემბრის თვეში არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ კომისიაში (განათლების კომისარიატთან) შემოსული იყო სულ 41 საქმე. ბრალი ედებოდა 52 ბავშვს, (მათში ერთ ქალს). დამნაშავეთაგან 18 იყო ქართველი, 8 რუსი, 20—სომეხი, 5—თურქი და 1 ეზიდი. ასაკის მიხედვით: 8 წლის—1, 10 წლის—2, 12 წლის—5, 13 წლ.—9, 14 წლის—17, 15 წლის—17 და 16 წლის—4.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა: ალექსანდრე ბეგლარის ძე ბოქსოვი, მიხეილ ვასილის ძე სტეფანოვი, ვალო ივანეს ძე შაღოიანი, ნიკოლოზ კონსტანტინესძე ნასელსკი და ალექსანდრე პავლეს ძე რაჩაგოვი, რომელთაც ბრალი ედება ქურდობა.

ჯიბგირობა

სერგო გიგერს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 70 მანეთი;—თამარ ვართანოვას „თბილისის ვაჭრობის“ მაღაზიაში მოჰპარეს ფული და სხვადასხვა საბუთები;—გასან ახმედ-ოღლის ვიღაც ბოროტმოქმედმა ჯიბიდან ამოაცალა 95 მანეთი.

ქურდობა

როზა შტოიდს თავისუფლების მოედანზე მოჰპარეს 48 მანეთი;—ამხანკომის ჯანმრთელობის განყოფილებიდან მოიპარეს ელექტრონის ფენი. გაქურდეს შალვა ქაბაბიანის ბინა, წაიღეს 150 მანეთის ნივთები;—მარიამ შაქარაშვილის ბინიდან (კლარა-ცეტკინის ქ. № 22) მოიპარეს 100 მანეთის ნივთები.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) ა. მარი



შამათი ორ სვლაში

(ეტიუდი) გ. რინკი



თეთრები იგებენ

პარტია № 12 (ინდიური)

გათამაშებულია თბილისის საკვალიფიკაციო შეჯიბრში 23/XII—28 წ.

თეთრ ბი: შიშოვი შავები: კარლინსკი

1. d2-d4, მg8-f6 2. c2-c4, e7-e6 3. მb1-c3, კf8-b4 4. ლd1-c2, c7-c5 (ამ მდგომარეობაში საუკეთესო სვლაა, რომლითაც შავები უშლიან თეთრებს e4 თამაშს და თანაც ცდილობენ ინიციატივა ხელთ იგდონ) 5. მg1-f3, მb8-c6 6. e2-e3, c5:d4 7. მf3:d4, (სუსტი სვლაა. რომელიც შავებს რამოდენიმედ აძლევს შეტევის შესაძლებლობას, სჯობდა 7 ed) 7..., e6-e5 8 მd4:c6 უკეთესი არაფერი იყო, 8. მf5 მოჰყვებოდა 0-0 და შემდეგ d5 შავების პოზიციის დიდი უპირატესობით) 8..., d7:c6 9. კc1-d2, 0-0 10 ეa1-d1, ლd8-e7 11. კf1-d3, კc8-g4 12. f2-f3, კg4-e6 13. 0-0, h7-h6 14. ეf1-e1, მf6-d7 15. a2-a3, კb4-d6 16. მc3-e4, კd6-c7 17. მe4-g3 (f5 საწინააღმდეგოდ) ლe7-h4 18 კd3-f5, e5-e4! 19. f3-f4, კe6:f5 20. მg3:f5. ლh4-f6 21. g2-g4 (თეთრებმა არ მოისურვეს მf5-g3 პაიკის მოგება, მაგ: 21. მg3, ეf-e8 22. კc3, ლe7 23. მ:e4, ლ:e4 24. ლ:e4 24. ე:e4 25. ე:d7, კb6 26. კd4 ალბად კc3 უფრო ძლიერად მიიჩნიეს) 21..., ლf6-e6. 22. კd2-c3, მფg8-h7 (პაიკის შეწირვა, როგორც მას პარტიის მსვლელობა შემდეგში გვიჩვენებს, მართებულია) 23. კc3:g7, ეf8-g8 24. ლd2-c3, f7-f6 (ერთად ერთი, მაგრამ სრულიად დამაკმაყოფილებელი სვლა) 25 ეd1-d7, ლe6:d7 26. ლc3:f6, ეg8:g7 27. ლf6:h6+, მფh7-g8 28. მf5:g7, ლd7:g7 (აქ შავებს შეეძლოთ სამუდამო ქიშით g4 და f3 აეძულებინათ თეთრები ყაიმზე) 29. ლh6:g7+, მფg8:g7 30. ეe1-d1, ეa8-b8 31. ეd1:d8, კc7:d8 32. a2-a4, მფg7-f7 33. მფg1-f2, მფf7-e6 (გაუგებარია! რატომ კარგავენ შავები ტემპებს, ბევრად სჯობდა კa5, კd მუქარით, რის შემდეგ პარტიის მოგება თეთრების მიერ შეუძლებელია, ეხლა კი შავებმა უნდა წააგონ) 34. მფf2-g3, a7-a5 35. h2-h4, კd8-e7 36. h4-h5, მფe6-f6 37. g4-g5+, მფf6-f5 38. h5-h6, კe7-f8 39. მფg3-h4, მფf5-g6 40. f4-f5+?? (უხეში შეცდომა, რის შემდეგ აქამდის ნამუშევარი უქმად ჩაივლის. მფg4—შემდეგ შავებს დაბების გარდა, არაფერი რჩებოდათ) 40..., მფf6:f5 41 მფh4-h5, კf8-d6 42. c4-c5? (თითქო ძლიერი სვლაა, ნამდვილად კი შეცდომა. პაიკის დატოვება მოწინააღმდეგის კუს ფერის მინდორზე არ ვარგა. შავებს პაიკის აღება არ შეუძლიათ h7 გამო 42..., კd6-e5 43. b2-b4, კd6-c3 44 g5-g6, მფf5-f6 45. g6-g7, მფf6-f7 46. მფh5-g5, კc3-b4 47. მფg5-f5, კb4:c5 48. მფf5:e4, კc5-e7 49. მფe4-f5, კe7-b4 50 მფe4-e5, კb4-e1 51. მფe5-d4? (შეცდომა, რაც შესაძლებელი იყო პარტიის წაგების მიზეზად გამხდარიყო) 5 ..., b7-b5? (თავიანთი მხრივ არც შავები თამაშობენ უკეთესად. მათ უნდა ეთამაშათ 51..., კd4 52. მფc5, კg5 53. მფb6, კ:h6 54. მფ:b7, კ:e3 55. მფ:c6, კd2 პარტიის მოგებით, ეხლა კი ყაიმია) 52. მფd4-e5 დათანხმდენ ყაიმზე, რადგანაც თამაში მოგებაზე არავითარ შედეგს არ იძლევა, მაგ. 52..., b5 53. ab, cb 54. მფd5, b4 55. მფd4, კh4 56 მფe4, კg5 57. მფb5, კe3 58. მფ:a5, კd2 ყაიმი. მიუხედავად მრავალ შეცდომისა, საინტერესო პარტიაა.

მე-9-ე №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა ხვინგიასი შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. ლd8-g8!

I. 1. . . ., მფe4:d3 2. ლg8-c4× შამათი II. 1. . . ., მფe4-f5 2. მf1-g3× III. 1. . . . მფe4-d4 2. ლg8-c4× IV. 1. . . ., f6-f5 2. ლg8-c4×

ამოცანა ტყეშელაშვილის, შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. მe3-d5!

I. 1. . . ., ლd7:d5 2. ეc6-c6× II. 1. . . ., ეb8:a8 2. მd5-c3× III. 1. . . ., ეg2-e3 2. ლg3-e3× IV. 1. . . ., კa2:d5 2. ეc6-c4× V. 1. . . ., ეb8-b3. 2. ეc6-c4×

მე-3-ე №-ში მოთავსებულ კასპარიანის ამოცანის (მდგომარეობა; თეთრები: მფa8, ეb4, ეd4, კe6, h6, მc6, g3, პაიკები: a5, b2, b5, e3, g5 (12) შავები: მფc5, ეf1, h4, მf8 კh5 (5) მეორე გადაწყვეტის 1. კe6-e3! გასაბათილებლად (გადაწყვეტა ეკუთვნის ალისო დობორჯგინიძე. აბასთუმანი) საჭიროა შემდეგი შესწორების შეტანა: თეთრების ეტლი d4 უნდა გადაისვას d8-ზე და ამის გარდა დაიმატოს თეთრი პაიკი g5-ზე სათანადოთ შეიცვლება ამოცანის გადაწყვეტის პირველი სვლაც 1 g5-g6.

პასუხი მკითხველებს.

ხვინგიას ამოცანის სწორე გადაწყვეტა გამოგზავნეს: გ. თოდუამ (ზუგდიდი), ა. წურწუმიამ ახალ-სენაკი) ს. ომანიძე, ქ. მახარაძემ, დ. შარაშიძემ და მ. საყვარელიძემ (თბილისი), ვლ. ტყეშელაშვილმა (თბილისი) და ვ. მშვიდობაძემ (თბილისი).

ტყეშელაშვილის ამოცანის სწორე გადაწყვეტა გამოგზავნეს: ს. ომანიძემ და ხვინგიამ (თბილისი).

მიქაძეს და ჩომახიძეს: თქვენი ამოცანა დასაბეჭდათ არ გამოდგება. თქვენ მიერ გამოგზავნილი ხილის ამოცანის გადაწყვეტა არ არის სწორი.

კალანდაძეს: თქვენი ამოცანა ცოტა გადაამუშავეთ. პაიკის g3-ზე არსებობა საჭიროა შამათისათვის, მაგრამ ეს ამარტივებს შამათს (არა მf2-g4 შამათი, არამედ ლg8-g3×, თუკი შავები ითამაშებენ მფe5-f4).

ფეხბურთი

ამხანაგური შეჯიბრებები

დღეს, 20 იანვარს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ორი ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში.

დღის 12 საათზე თამაშობენ „მედსანშრომა 1“ და „ოდო“. შეჯიბრება საინტერესო უნდა იყოს, რადგან მედსანშრომის კავშირის გუნდი ითვლება პირველი კატეგორიის გუნდათ, „ოდომ“ კი შემოდგომის სეზონში პირველობა აიღო მეორე კატეგორიის გუნდებს შორის.

ნაშუადღევის 1 ნახ. საათზე თამაშობენ გემო-კვების მუშაკთა კავშირის გუნდი და საბჭოთა - სავაჭრო მუშაკების კავშირის ნაკრები გუნდი.

რადიო-გადაცემა

კვირა, 20 იანვარი

დღეს, 20 იანვარს თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დილით: პიონერთა რადიო-გაზეთი; საბავშვო კონცერტი; გლეხთა რადიო-გაზეთი; კონცერტი გლეხებისათვის.

საღამოს: კომკავშირის რადიო-გაზეთი; საუბარი ციკლიდან—„დახმარება გლეხებს“. გლეხთა ცენტრალურ სახლის ინფორმაცია: კონცერტი სტუდიიდან; კომკავშირის რადიო-გაზეთი; ტექნიკური კონსულტაცია; ამინდის ბიულეტენი.

ორშაბათი, 21 იანვარი

წითელ-არმიელთა რადიო-გაზეთი; მუშათა რადიო-გაზეთი; ტრანსლიაცია ლენინის ხსოვნისათვის მიძღვნილი თბილისის საბჭოს სამგლოვიარო სხდომისა.

შრომის ბირჟაში

ხვალ, 21 იანვარს თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

მშენებელ მუშათა სექციიდან: [illegible] ბარსუმიანი, გრიგოლ [illegible] გრიგორიანი, [illegible] გვერდწითელი, [illegible] თანოვი ნიკოლოზ სიმონოვი, მიხეილ ეგიაზაროვი, არამ გასპაროვი, არტემ მურადოვი, ჰარუმ პოლოსოვი, კალისტრატე სურმავა, ივანე ნადირაშვილი, გარეგინ ბასიშვილი, ვასილ ურუმბეგაშვილი, არამ ხაჩატუროვი, არუთინ ოგანოვი, მიხეილ პაპიაშვილი, ტელემაკ კირაკოსიანი, ალექსანდრე ტატიევი, დავით მუსერიძე, ალექსანდრე ჩოჩიევი, გრიგოლ ტატიანცი, მოსეს მოსესიანცი.

მედსექციიდან: ნატალია ბოლოტოვა — ტურკესტანოვა, ვასილ ფერაძე, ამასთან სექციას ესაჭიროება ერთი ფარმაცევტი ქ. ჭიათურაში გასაგზავნათ.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ერვანდ ასლანოვი, ოგანეზ ოგანეზოვი, არშაკ ბარსეგოვი, ნიკოლოზ პოპოვი, ხაჩიკ ავეტისოვი, ალექსანდრე დალაქიშვილი, სონა ქარუმიძე, ანტონ რაზმაძე, გიორგი მოსესოვი, ალექსანდრე პარხინოვსკი, სტეფანე ბოსიაკოვი, იაგორ ამირაგოვი, არშაკ გეორგოვი, ანუშკინ შაცაკანოვი, ისაკ რაპორტი, ვასილ მთიაშვილი, ბაგრატ ავალოვი, გიორგი არუთინოვი, ნიკოლოზ მარდანაშვილი.

პარტიული კალენდარი

ხუთშაბათს, 24 იანვარს, საღ. 6 საათზე მუშათა ახალ კლუბში შესდგება ყველა კომუნისტ-ქალების საქალაქო კრება.

ოთხშაბათს 23 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაობის კაბინეტში შესდგება კაბინეტთან არსებულ ბიბლიოთეკის მკითხველთა კონფერენცია.

ბიბლიოთეკის ყველა მკითხველთა დასწრება სავალდებულოა.

ღრმად დამწუხრებული დედა ჯახანა მამა ბესა ესეს ძე დანელია და ძმა ხუტა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

კახია (იგივე ალექსანდრე) ბესას ძე დანელიას

უეცრად გარდაცვალებას. დასაფლავების დღეთ დანიშნულია სამშაბათი, 22 იანვარი სოფ. [illegible]

ნ. 214

უსაზღვროდ დამწუხრებულნი მეგობრები: ქსენია იოსელიანი, [illegible], ელიკო ციგარელი, საშა მეხუზლა, ფედოსია გორდეზიანი, თამარა ოცხელი, ცუცა ჩაჩხიანი, ქეთო ფხაკაძე, ტალია იოსელიანი და ნადია სადრაძე, აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათი მეგობარი

ელენე სილოვანის ასული

შუბლაძე-შარაშიძისა

დაკრძალვა კვირას, 20 იანვარს, 3 საათზე ქ. ქუთაისში 189

საქართველოს კოლმეურნეობის ცენტრის თანამშრომელნი ვ. ცაგარელი, ა. ქანთარია, ა. ხაბურზანია, ი. ქავჟარაძე, ალიბეგაშვილი, ა. ნაკაიძე, გალ. მარდალეიშვილი, ნ. ჯალიაშვილი, გ. კვირკველია, დ. ზაქარეიშვილი, ა. ცხვარაძე, გ. კარაპეტოვი, სტ. სახაროვი, ნ. დგვარელი, და ქ. შანიძე—მწუხარებით იუწყებიან კოლმეურნეობის ცენტრის თანამშრომლის ამხ. გრიშა კახაძის ძმის

ტიხონ სამსონის ძე კახაძის

უდროოდ გარდაცვალებას 194

გულდათუთქულნი მშობლები: ხინა და გიორგი, და ანიკო შვილებით: მარგალიტა და ქეთო კანდელაკები, ძმები: საშა ცოლით მარგარიტათი და შვილებით რუსიკო და ავთანდილით, განო ცოლით ნადიათი; გოგო ცოლით ვეროთი და შვილი ჯუმბერი ლორთქიფანიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ა/წ 18 იანვარს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მარიამ (მარუსა) გიორგის ასული

ლორთქიფანიძე

გამოსვენება 27 იანვარს, 3 ს. [illegible] შეს. № 28 დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე

სახკინმრეწვის კინოებში

განთიადი	ისტორიული სურათი **ჯანყი** მეორე სერია რეჟისორი—ა. წუწუნავა. ოპერატორი—ა. დიღმელოვი.	5 წუთი
არფასტო		ჯანყი მე-2 სერია
სოლეი		5 წუთი
აპოლო		ჯანყი მე-2 სერია
პალასი		5 წუთი
მინიონი	მხატვრული სურათი კედლის იქით	
დარბაზი	მეორე ქორწინება	ჯანყი 1 სერია
პროლეტარი ავლაბარი	ამერიკელი ქალის თავგადასავალი 1 და 2 სერია	ამერიკელი ქალის თავგადასავალი 3 და 4 სერია

0—16

მალე კინო-თეატრებში:

პალასი-სოლეი-არფასტო

საუკეთესო სურათი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან

გილანის ასული

რეჟისორი ლეო მური, ოპერატორი ი. ფროლოვი

ნ. 2151

აზერბეიჯანის სახ. კინომრეწველობის ნაწარმოები.

ცირკი

კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს

განსაკუთრებული სანახაობა

ატრაქციონების პროგრამა 3 განყოფილებად

დღეს მსოფლიო ატრაქციონი

კაცი ცეცხლის რკალში ეროსი

აგრეთვე მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

კვირას, 20 იანვარს,

დღის დიდი სანახაობა ახალი პროგრამით

დღისით გამოვა კაცი ცეცხლის რკალში **ეროსი**

დასაწყისი დღის 2 საათზე.

2 2 ნ. 2143

იჩქარეთ ნახოთ!

პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!

სამხეცე ცხოველთა სამყარო

უოკეი კლუბის (ყოფ. არტოს) ბაღში



ჩამოყვანილია იშვიათი ეკზემპლიარები

მფრინავი ძაღლები

ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ეკზემპლიარები.

სამხეცე ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?

ი. 2082 ს 6.

ლენინის

გარდაცვალებიდან 5 წლის თავის შესრულების გამო

საქ. სახელმწიფო კინომრეწველობა უშვებს სურათს

5 წუთი

სცენარი და რეჟისურა:

ა. ბალიხინი და გ. მ. ზელონჯევ-შიპოვი

ოპერატორები

ი. დ. ანოშჩენკო და გ. ა. კაბალოვი

ორშაბათიდან, 21 იანვრიდან

კინო-თეატრებში

პალასი-მინიონი-სოლეი-განთიადი

4. 74

დღეს, იანვრის 20, დილ. 10 საათზე განათლების მუშ. სახლში (ფურცელაძის ქ. № 3)

გაიხსნება

საქართვ. მეცნიერების მუშაკთა

კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. მოხსენება მეცნ. მუშ. სექციის ცენტრალურ საბჭოს მე-5 პლენუმის მუშაობის შესახებ.
2. დელეგატების არჩევა სექციის მე-3 საკავშ. ყრილობაზე.

ნის. 21:0. მეცნ. მუშ. სექციის ბიურო.

ახალი სახალხო სუფრის ღვინო

საქართველოს მიწად-მოქმედების კომისარიატის

სახალხო მამულთა ტრესტმა

გამოუშვა გარზაკის ტიპის ნატურალური თეთრი მოტკბილო ორიგინალური **ღვინო**

ფერსათი № 12

ბოთლი ღირს 75 კაპ. კვარტი 1 მან. 30 კაპ. იყიდება მუშკოოპის, „ზაკტპოს“, „ზაკვოენპოს“ მაღაზიებში და აგრეთვე ყველა რესტორნებში.

მთავარი სარდაფის მისამართი: პეტრიაშვილის ქ. № 1. ტელ. 3—66.

ნ. 2149

ოზურგეთის უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი

მ. მაქსიმენიშვილი

აცხადებს, რომ ა. წ. 22 იანვარს დღის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება შემოქმედ-ს თემში სოფ. მაკვანეთში ალექსი ნიკოს ძე ლომჯარიას კუთვნილი ორი თვალი პატარა სახლი წაბლის ხის მასალიდან აგებული, დახურული ისლით გადასატანათ. ოზურგეთის შინამრეწველთა საკრედიტო ამხანაგობის გ-ლის დასაკმაყოფილებლად თანახმად ოზურგეთის სახელმწიფო სანოტარო კანტორისაგან 24 ივლისის 1928 წლ-ს თარიღით № 51 გაცემული პროტესტქმნილი თამასუქისა. გასაყიდი ქონება შეფასებულია 220 მანეთად, რომელი თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. თუ რაიმე მიზეზის გამო აღნიშნულ რიცხვს ვაჭრობა არ შესდგა, იმ შემთხვევაში ხელმეორე საჯარო ვაჭრობის დღეთ დანიშნულია 1929 წლის 29 იანვარი.

196

---

1 თებერვლიდან

მასიური მუშური გაზეთი

„მუშა“

გაზეთი „მუშა“ მ ზნად ისახავს გახდეს პოპულიარული და მუშათა ფართო მ სების თვის სავსებით მისაწვდომი, როგორც შინაარსით, ისე ფ სით.

გაზეთი „მუშა“ გამოვა შე ცირებული ფორმატით

ეღირება მხოლოდ 2 კაპ.

გ. ზ. „მუშა“-ზე ხელის-მოწერის პირობები:

გაზეთი ეღირება

1 წლით—5 მან.
6 თვით—2 მ. 60 კაპ.
3 თვით—1 მ. 35 კაპ.
1 თვით— 50 კაპ.

ჟურნალ **ტარტაროზი**-ს დამატებით

გაზეთი ეღირება

1 წლით—7 მ. 40 კაპ.
6 თვით—3 მ. 80 კაპ.
3 თვით—1 მ. 95 კაპ.
1 თვით— 70 კაპ.

ორშაბათიდან

21 იანვრიდან

კინო-დარბაზში

უკანასკნელად თბილისში

ჯანყი

1 სერია

რეჟ. ალ. წუწუნავა

კინო-თეატრებში

არფასტო-აპოლო

ჯანყი

მე-2 სერია

ნ. 2151

მათემატიკოსი

ხუციშვილი

ამზადებს მათემატიკაში და ფიზიკაში უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად.

მისამართი ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქ. № 26. 127 4—4

შრომის საამშენებლო არტელი

„მარდი“-ს ცენტრალური გამგეობა

აცხადებს სამუშაოების მოცემთა საყურადღებოთ, რომ არტელის მიერ 1928 წლის 1-ლ ოქტომბრამდე ყველა გაცემული

მანდატები და რწმუნებები ჩაითვალოს გაუქმ ბულად.

2—1 179. ც. გამგეობა.

სახელგამისთვის საჭიროა გამოცდილი აგენტები

ჟურნალების გასავრცელებლად

აუცილებელია რეკომენდაცია. მისამართი: რუსთაველის პრ. № 22, სახელგამი, პერიოდ-სექტორი ოთახი 11. ნ. 2147

როიალი

ბეკერის ძლიერ კარგი და ტანთსაცმელის შკაფი

იყიდება

პლეხანოვის პროსპ. № 183, დაბლა სართული. 188

ჭრა-კერვის გაკვეთილები

ქართულ და რუსულ ენებზე

ბოლგარსკაია

კალინინის ქ. № 83, საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

94 24—2

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ქ. ქუთაისი

ექიმი

თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგან სნეულება— სპეციალ ფილტვების ავადმყოფობა.

გროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით.

ნ. 25—11

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა

აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

ბონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)

მიღება: დილით 12—1 საათ საღამოს 7—8 საათ

გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 4. ნ. 10. 25—3

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. —12 67 ნ. 21—1

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს

(ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14 23. 25—1

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს

მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედისა № 47, ელსმენი № 5—90.

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან 109 25 1

ოზურგეთის სამაზრო ადმასკომის მმაჩ-ის განყოფილებაში შემოიტანა განცხადება შუხუთის თემის ცხოვრებმა მოქ. ალექსი დრია ანთიძის ძემ ანთიძის ძეს იძის თავისი გვარის „ასათიანის“ გვარზე შეცვლის შესახებ.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე დ. ნიკოლაიშვილი

მმაჩ-ის სამაზრო ბიუროს გამგე: თ. კვაჭაძე

196

დავკარგე, პირველ კომისარიატიდან გაცემული სააღრიცხვო მოწმობა გიორგი ივანეს ძე გოდაბრელიძის სახელზე. ჩ. გ. 195

დავკარგე, რკინის გზის დამზღვევ სალაროს საპენსიო წიგნაკი და პირადობის მოწმობა № 13 ფ [illegible] სოფრომის ასულ ბასილაძის სახელზე, ჩ. გ. 193

დაკარგულია ქვითარი № 45 გაცემული ს.ხ. მამტრესტის მიერ ა. წ. 14 იანვრიდან 116 მ. და 45 კ. შეტანაზე იხვ. კოოპ. ხ-დი „ახალი ცხოვრების“ სახელზე. ჩ. გ. 140

დავკარგე: ხელოვნების მუშაკთა კავშირის წიგნაკი, გაცემული ელენე კონსტანტინეს ასული ერისთავი ულენტის სახელზე. ჩ. გ. 191

დავკარგე: სამხედრო წიგნაკი გამოცემული, მიღებული ქარ. ცხენოსნ-ლეგიონიდან ალექსანდრე გრიგოლის ძე ერისთავის სახელზე, ჩ. გ. 192

დავკარგე რკ. გზ. სამგზავრო მოწმობა სურათით № 6/5 თამარა ხაბელაშვილის სახელზე. ჩ. გ. 187

დავკარგე: ლომბარდის ქვითარი № 029.024 ვარვარა სტეფანეს ასულ ბერიძის სახელზე, ჩ. გ.

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.